www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 26 ნოემბერი, 2009 წელი. №258 (2296) | ფასი 1 ლარი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

იხილეთ ჩანართი




კურილიის კუნძულებზე მხარეებს კვლავ შეურიგებელი პოზიციები აქვთ

A8



# გადატვირთვა არ არის თამაში ნულოვანი შედეგით

## ინტერვიუ საქართველოში აშშ-ს ელჩთან ჯონ ბასთან

მაია ქალაგანიძე

- მოხარული ვარ, რომ ვარ საქართველოში და სასიამოვნოა, რომ თქვენს მკითხველთან შეხვედრის საშუალება მეძლევა.

**- რას ფიქრობთ, რა უნდა იცოდეს ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ელჩზე ქვეყანამ, სადაც სამუშაოდ ჩამოხვედით?**

- ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი დიპლომატი ვარ და ამ დროის დიდი ნაწილი გარდამავალ პერიოდში მყოფ სხვადასხვა ქვეყნებში ვიმუშავე - ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოებიდან დაწყებული - იმ ევროპით დამთავრებული, რომელსაც ჩვენ ახლა ვიცნობთ.

ჩემი სამსახურეობრივი ცხოვრების დიდი ნაწილი ვცდილობდი, დახმარება გამეწია საზოგადოებისთვის, რათა მათ თავად განესაზღვრათ და აერჩიათ საკუთარი მომავალი, თავად შეემუშავებინათ საკუთარი ქვეყნის მართვის სისტემა და ეკონომიკური მოდელი. თავად აერჩიათ ურთიერთობების ფორმები სხვა ქვეყნებთან.

გაგრძელება A3 გვერდზე



ხათია ჯიჯეიშვილის ფოტო

# ასეთი ნანატრი "ცივი ომი"

თეიმურაზ ზაქრაძე

აზრი მატერიალურია, სათანადოდ აზრსაც და აზროვნებასაც ახასიათებს ყველა ის თვისება, რაც გააჩნია მატერიალურ სხეულებს. აჩქარება, შენელება, ინერტულობა, ინერცია. აზრიც არის და აზრიც, ზოგი პატარაა, ზოგი დიდი, ზოგი ძალიან დიდი. ერთია ბურთის ინერცია და მეორეა-სამოცვაგონიანი მატარებლის. აზრების, იდეების დაპირისპირებამ კაცობრიობა "ცივი ომის" ფენომენამდე მიიყვანა. მსოფლიო ორ ბანაკად ბერლინის კედლით იყო გაყოფილი. ქალბატონი კლინტონის სიტყვებით, "ვარსებობდით შავ-თეთრ გარემოებაში". პერიოდულად სხვადასხვა ადგილებში დაპირისპირება ცივი კი არა, ცხელი და სისხლიანი იყო. ომის დროს (ომი ომია, ცივია თუ ცხელი), რაც არ უნდა შემაძრწუნებლად ჟღერდეს, ადამიანების ცხოვრება უფრო გასაგები და იოლად გასააზრებელია. სამყარო ზუსტადაა გაყოფილი მტერსა და მოყვარეზე.

ცივი ომი დამთავრდა, მასთან ერთად დამთავრდა საბჭოთა კავშირიც. მისმა მემკვიდრემ დამარცხება აღიარა და განაცხადა: გამოვსწორდი და თქვენსავით დავიწყებო ცხოვრებას. ყველამ ღრმად ამოისუნთქა. ცხოვრება გამოცოცხლდა. ფერებმა იმატა. ახალმა გამოგონებებმა ჩვენი ცხოვრება კატასტროფული სიჩქარით შეავსო. დღეს კაცობრიობას ვერც კი წარმოუდგენია, როგორ ცხოვრობდა აქამდე ინტრნეტისა და მობილურის გარეშე. დემოკრატიული მშენებლობა რთული საქმეაა და, აქედან გამომდინარე, რუსული დემოკრატიის "გადახვევები' განიხილებოდა "მშენებლობის ბუნებრივ სირთულეებად", "რუსული მენტალობის თავისებურებებად". თავად ევროპაში ბევრია ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ ევროკავშირის გაერთიანება ძალიან ჰგავს რუსეთის სახელმწიფოს მოწყობას. ევროპაც და რუსეთიც მრავალეროვანი გაერთიანებებია. ბუნებრივია, რომ ევროპელი ობივატელისთვის სავსებით დამაჯერებელია იმის მტკიცება, რომ რუსეთში შესაძლებელია დემოკრატიის აშენება. რუსი იდეოლოგები ევროპულ ფაქტორს დიდ ყურადღებას აქცევენ. უფრო მეტიც, ჩვენ ევროპაზე ადრე გავაერთიანეთ ხალხებიო?! გარდა ამისა, აქტიურად მიუთითებენ ევროპას სულიერებისკენ. საკმარისია რუსეთის პატრიარქის გამოსვლები ვნახოთ.

გაგრძელება A12 გვერდზე

# შეთანხმება ალასანიას გუნდის გამოკლებით

## საარჩევნო კოდექსზე პარლამენტში იმსჯელებენ

*საარჩევნო კოდექსის შეთანხმებულ მუხლებს მუშა ჯგუფში შემავალმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა უკვე მოაწერეს ხელი. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს და ჯგუფს არ უერთდება "ალიანსი საქართველოსთვის", მასში შემავალი სამი პოლიტიკური სუბიექტით ("ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები," "რესპუბლიკელები", "მემარჯვენეები"). მმართველი გუნდი და ალიანსი ერთმანეთს ხისტ პოლიტიკაში ადანაშაულებენ.*

"ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ" საარჩევნო კანონმდებლობაზე NDI-ს ფორმატში მომუშავე ჯგუფს ინიციატივით მიმართა და 26 ნოემბრამდე ყველა შეთანხმებული საკითხის ხელმოწერით დადასტურებისკენ მოუწოდა. ედპ-ს ინიციატივა უკვე გაიზიარეს "ქრისტიან-დემოკრატებმა", "ქართულმა დასმა", "დემოკრატიულმა პარტიამ" "ტრადიციონალისტებმა", "ჩვენ თვითონ" და "მრეწველებმა". გუშინ შეთანხმებას ხელი მოაწერა მმართველმა პარტიამ.

ბარიერი ის საკითხია, რის გამოც ირაკლი ალასანიას გუნდი ხელმომწერებს შორის ვერ ვიხილეთ. მმართველი პარტია ედპ-ს ინიციატივას ჩიხიდან გამოსვლის მცდელობად აფასებს. სახელისუფლებო გუნდი აცხადებს, რომ მან შეთანხმებას მიაღწია ყველასთან, გარდა ერთი გამონაკლისისა. საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილებით, კოდექსზე მუშაობა პარლამენტში გაგრძელდება. პოლიტიკური სუბიექტები, რომლებმაც შეთანხმებებს ხელი მოაწერეს, ერთობლივ კანონპროექტს მოამზადებენ.

ჯერ კიდევ 18 ნოემბერს, როცა ჯგუფის შეკრება გადაწყვეტილების გარეშე დასრულდა, სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენელმა პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, რომ საარჩევნო კოდექსზე მუშაობა საპარლამენტო ჭრილში გადაინაცვლებდა. ამით, კუბლაშვილმა ალასანიას ალიანსს მიანიშნა, რომ უმრავლესობა ბარიერის საკითხში არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებდა.

საბოლოო ჯამში, ჯგუფში შემავალი პოლიტიკური სუბიექტები, სხვა საკითხებთან ერთად, 30-პროცენტიან ბარიერზე შეთანხმდნენ. ალიანსი კი 50-იან ბარიერს ითხოვს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ჩინური კომპანია ZTE Corporation - მაგთიკომის არასაიმედო პარტნიორი

ZTE中兴

A4

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა სია

1. **გვალია ნუგზარი** - დროებით უმუშევარი;
2. **ლიპარტელიანი ეკატერინე** - დროებით უმუშევარი;
3. **თათარაშვილი იოსები** - საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებში წარმომადგენლობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
4. **ჩხეტია ნანა** - დროებით უმუშევარი;
5. **ხომასურიძე ნინო** - №26 თ/წყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის - წევრი.

## ცვლილება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში

ეკა შარაშიძე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი აღარ არის. მის ადგილს დაიკავებს თემურ ჯანაშია, რომელიც ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე მიხეილ სააკაშვილის დაცვის უფროსი იყო. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უკვე ყოფილი უფროსის თანამდებობიდან წასვლის შესახებ გუშინ კულუარებში ორი ვერსია გავრცელდა. ორივე ვერსიის მიხედვით, ამ ფაქტის მიზეზი ეკა შარაშიძესა და პრეზიდენტს შორის მომხდარი უთანხმოებაა. რაც შეეხება თანამდებობიდან წასვლას, აქ ვერსიები ერთმანეთისგან განსხვავდება: ერთის მიხედვით ეკა შარაშიძემ დატოვა თანამდებობა, მეორეს მიხედვით, იგი პრეზიდენტმა გაათავისუფლა. პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ ეკა შარაშიძე პრეზიდენტის გუნდში რჩება, იგი მისი ეკონომიკური მრჩეველი იქნება და ინვესტიციების მოზიდვაზე იმუშავებს. პრესსპიკერის თქმით, ეს ცვლილება პრეზიდენტისა და ეკა შარაშიძის შეთანხმების შედეგია. უთანხმოების შესახებ ინფორმაცია მანანა მანჯგალაძემ არ დაადასტურა, თუმცა არც უარყო.

ინვესტიციების მოზიდვაზე ეკა შარაშიძე ეკონომიკის მინისტრთან, ეკონომიკის სამინისტროში არსებულ საინვესტიციო სააგენტოსთან და პრემიერ-მინისტრის აპარატთან შექმნილ სპეციალურ უწყებასთან ერთად იმუშავებს.

*საკუთარი ინფორმაცია*

## ნიკა გილაური დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა

მთავრობის კანცელარიის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში პრემიერ-მინისტრი ინგლისის ოფიციალურ პირებთან შეხვედრებს გამართავს. ნიკა გილაური საგარეო პოლიტიკის საკითხებში ლიბერალ დემოკრატების წარმომადგენელს ედუარდ დეივის (Edward Davey), ჩრდილოვან საგარეო საქმეთა მინისტრს უილიამ ჰაგს (William Hague) და ევროპის საკითხებში ჩრდილოვან მინისტრს მარკ ფრანსუას (Mark Francois) შეხვდება.

ამასთან, დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის და დიდი ბრიტანეთის ჩრდილოვანი თავდაცვის მინისტრის ლიამ ფოქსის (Liam Fox), დიდი ბრიიტანეთის პარლამენტის საგარეო საქმთა კომიტეტის თავმჯდომარის მაიკ გეიპის (Mike Gapes), ევროპის საკითხებში მინისტრის კრის ბრიანტის (Chris Bryant) და ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) პრეზიდენტის თომას მიროუს (Thomas Mirow) შეხვედრები.

აგრეთვე, დიდ ბრიტანეთში ყოფნისას, პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური ლონდონში გახსნის ბიზნეს ფორუმს "Invest in Georgia".

პრემიერ-მინისტრთან ერთად ლონდონში საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ზურაბ პოლოლიკაშვილიც ჩავიდა. ისინი

29 ნოემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრებიან. ნიუ-იორკში გამართულ კონფერენციაზე " Georgia Investment " ნიკა გილაური სიტყვით გამოვა.

## გრიგოლ ვაშაძე პარიზში

საგარეო უწყების ინფორმაციით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბერნარდ კუშნერს შეხვდა, სადაც ქართულმა მხარემ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის და მედვედევი-სარკოზის 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულების საკითხები დააყენა. ასევე შეხევდრაზე ვაშაძე ფარნგ კოლეგასთან ტირძნისიდან გატაცებული ბავშვების საკითხსაც დააყენებს და აღნიშნულთან მიმართებაში ქმედითი ნაბიჯების გადაგმისკენ მოუწოდებს. შეხვედრის შემდეგ საქართველოსა და საფრანგეთის მთავრობებს შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შეთანხმებაზე ხელმოწერის ცერემონია გაიმართება.

საფრანგეთში ვიზიტის ფარგლებში მინისტრი ასევე ევროპულ საქმეთა სახელმწიფო მდივანს პიერ ლელუშს, ეროვნული ასამბლეის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს აქსილ პონიატოვსკის და იუნესკოს ახლადარჩეულ გენერალურ დირექტორს ირინა ბოკოვას შეხვდება.

ამასთან, საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანგულ გაზეთებს Le Figaro, le Monde, Liberation, le Parisien ინტერვიუებს მისცემს. პარიზში, 26 ნოემბერს, კი ვაშაძე სიტყვით საერთაშორისო ურთიერთობათა ფრანგული ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე "What Are Georgia's Foreign Policy Options" გამოვა.

გროგოლ ვაშაძე საფრანგეთში ვიზიტს 28 ნოემბერს დაადრულებს.

# შეთანხმება ალასანიას გუნდის გამოკლებით

პირველი გვერდიდან

**"ბარიერის შესახებ ალიანსის შემოთავაზებები არაკონსტრუქციულია,"** - შენიშნა "24 საათთან" საუბრისას პავლე კუბლაშვილმა. უმრავლესობის წევრი ალიანსის "ზედმეტ ამბიციებსა" და "ხისტ პოლიტიკაზე" საუბრობს. კუბლაშვილმა გუშინ იმედი გამოთქვა, რომ დედაქალაქის მერის არჩევნებში ბარიერის გამო დავა "ალიანსისთვის" თვითმიზანი არ არის და ისინი გარკვეულ დათმობაზე წავლენ.

როგორც "24 საათს" "ალიანსი საქართველოსთვის" წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ განუცხადა, ბარიერი მათთვის პრინციპული საკითხია და ისინი გადაწყვეტილებას არ შეცვლიან. ალიანსელთა განმარტებით, NDI-ის ფორმატი კონსენსუსს ითვალისწინებდა და არა რომელიმე პარტიის მიერ რაღაც დოკუმენტებზე ხელმოწერას.

გუშინ ალიანსის წარმომადგენლები საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს შეხვდნენ. მათ დიპლომატებს გააცნეს როგორც ალიანსის, ასევე "ნაციონალური მოძრაობის" ხედვა საარჩევნო რეფორმაზე. **"ამით დიპლომატებს შესაძლებლობა მივეცით, ობიექტური დასკვნა გაეკეთებინათ,"** - შენიშნა აბაშიძემ. აბაშიძის თქმით, საარჩევნო კოდექსი "ნაციონალურ მოძრაობაზე" არ უნდა იყოს მორგებული. ალიანსელების განმარტებით, მმართველი პარტია ხისტ, "ხელის გადაგრეხის" პოლიტიკას მიმართავს. ალიანსში შემავალი სამივე პოლიტიკური სუბიექტი მოითხოვს, რომ ხელისუფლება მოლაპარაკებათა NDI-ს ფორმატს დაუბრუნდეს.

ამასთანავე, ალიანსი დაელოდება, საბოლოოდ რა სახეს მიიღებს საარჩევნო კანონი და ამის მიხედვით იმსჯელებს, გადახედოს თუ არა თავის გადაწყვეტილებას თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის შესახებ.

"24 საათი" შეეცადა, გაერკვია, რამდენად მისაღებია 30-პროცენტიანი ბარიერი დანარჩენი ოპოზიციური სპექტრისთვის. ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენელ ლევან ვეფხვაძის განმარტებით, ისინი პრაგმატული მოსაზრებით მოქმედებენ. **"ჩვენ ვიცოდით, რომ ხელისუფლება არასდროს დასთანხმდებოდა 50-პროცენტიან ბარიერს და იძულებულები გავხდით, კომპრომისზე წავსულიყავით,"** - დასძინა ჩვენთან საუბრისას ლევან ვეფხვაძემ.

"ქართული დასის" ლიდერი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტია არა ბარიერი, არამედ საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირება. **"საყოველთაოდ ცნობილია, რომ არჩევნებს იგებს ის, ვინც ხმებს ითვლის. ოპოზიციის მთავარი ამოცანაა, მიაღწიოს იმას, რომ ისიც და ხელისუფლებაც საარჩევნო კომისიებში თანაბარი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი,"** - განუცხადა ბაღათურიამ "24 საათს".

"ქართული დასის" ლიდერი პატივს სცემს ალიანსის პოზიციას, თუმცა მისი აზრით, ბარიერის საკითხი ასე აქტუალური არ იქნებოდა, ოპოზიციაში თანხმობა რომ მიღწეულიყო. **"ჩვენ რომ საერთო კანდიდატი გვყავდეს, მაშინ ბარიერის პრობლემა მოიხსნებოდა,"** - დასძინა ბაღათურიამ.

"მრეწველთა" ლიდერ ზურაბ ტყემალაძისთვის მისაღებია ის შეთანხმებული საკითხები, რაზეც ხელი მოაწერა.

რაც შეეხება ბარიერს, ტყემალაძეს მიაჩნია, რომ ხმის მიმცემთა 50-პროცენტიანი ბარიერის დაწესება ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხისთვის საკმარისი არ არის. როგორც ტყემალაძე განმარტავს, თუ გვინდა მაღალი ლეგიტიმაცია, ასევე უნდა ვიფიქროთ არჩევნებში მონაწილეთა ბარიერზე.

26 ნოემბერი ანუ დღევანდელი დღე შეთანხმებაზე ხელის მოწერის ბოლო ვადაა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# საკონსტიტუციო ცვლილება - საბჭოთა წარსულში დაბრუნების წინააღმდეგ

თამარ ივანიძე

*ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატები" სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას საკონსტიტუციო ინიციატივით მიმართავს. კონსტიტუციაში შეტანილი მორიგი ცვლილება, "ქრისტიან-დემოკრატთა" თქმით, იმის გარანტია იქნება, რომ საქართველო არასდროს გახდება არც ერთი პოსტსაბჭოთა ალიანსის წევრი.*

შესაბამისი ინიციატივა გუშინ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრმა ნიკა ლალიაშვილმა სპეციალურ ბრიფინგზე გააჟღერა. "ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივის თანახმად, კონსტიტუციაში შემდეგი შინაარსის მუხლი ჩაიწერება: **"1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებისა და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე, საქართველო უარს აცხადებს იმ სახელმწიფოთა მონაწილეობით შექმნილ პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ ან სხვა გაერთიანებებში რაიმე ფორმით გაერთიანებასა და მონაწილეობაზე, რომლებიც არ ცნობენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით."**

კონსტიტუციას ასევე დაემატება ჩანაწერი იმის შესახებ, რომ **"საქმიანობა, რომელიც მიმართულია აღნიშნულ გაერთიანებებში საქართველოს ჩართვისკენ, განიხილება საქართველოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოდ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებად და ისჯება სისხლის სამართლის წესით."**

ასეთი ჩანაწერის ინიცირების იდეა, ლალიაშვილის თმით, "ქრისტიან-დემოკრატებს" რუსეთის პოლიტიკურ წრეებში არსებულმა განწყობებმა უკარნახა:

**"რუსეთის პოლიტიკურ წრეებში სულ უფრო ხშირად ისმის მტკიცება, რომ საქართველოში მხოლოდ სააკაშვილი და მმართველი კლასია დასავლური ღირებულებების მატარებელი და როგორც კი ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა მოხდება და ქვეყნის სათავეში ოპოზიცია მოვა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორი მკვეთრად შემობრუნდება ჩრდილოეთის მიმართულებით. რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ისტებლიშმენტი ამტკიცებს, რომ საქართველოს დსთ-ს სივრცეში დაბრუნება გარდაუვალია,"** - განაცხადა პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე საკონსტიტუციო ცვლილებების ერთ-ერთმა ავტორმა და ინიციატორმა ნიკა ლალიაშვილმა.

ცნობისათვის - სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც "ქრისტიან-დემოკრატები" ამ ინიციატივას წარუდგენენ, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 8 ივნისის ბრძანებულებით შეიქმნა. კომისიამ 2009 წლის დეკემბრისთვის ახალი კონსტიტუციის პროექტი (ან, როგორც მოგვიანებით გაირკვა - პროექტები) უნდა წარუდგინოს საზოგადოებას. კომისიაში, არაერთგზის შეთავაზების მიუხედავად, არ მონაწილეობენ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები. თუმცა კომისიაში სრულად არის წარმოდგენილი საპარლამენტო ოპოზიცია, ასევე შედიან არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები.

საინტერესოა, რომ "ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივას ანალოგი გააჩნია ბალტიისპირეთის ქვეყნების კონსტიტუციებში. თუმცა, აქვე საინტერესოა ისიც, რომ კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად საჭიროა სიითი შემადგენლობის ორი მესამედის მხარდაჭერა. შესაბამისად, საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერის შემთხვევაში "ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივა არსებულ კონსტიტუციაში, ახალი კონსტიტუციის მიღებამდეც შეიძლება შევიდეს. ინიციატივის შინაარსიდან გამომდინარე, ასეთი მხარდაჭერა დღევანდელი უმრავლესობისგან ძნელი მოსაპოვებელი არ უნდა იყოს. თუმცა, აქვე საინტერესოა ისიც, რომ თუ საქართველოში ხელისუფლების ცვლილების მავნე ტრადიცია შენარჩუნდა და საპარლამენტო ხელისუფლებაში მორიგი პოლიტიკური ძალა ისევ დამთრგუნველი უმრავლესობით მოვიდა, ცხადია, ამ ჩანაწერის ამოღებას კონსტიტუციიდან იგივე ორი-მესამედი, ანუ სულ 94 ხმა დასჭირდება. ამიტომ, იმ გარანტიების შექმნას, რომელზეც "ქრისტიან-დემოკრატები" საუბრობენ, აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების გარდა, ისეთი დემოკრატიული სივრცის შექმნაც სჭირდება, რომელიც საპარლამენტო ხელისუფლების რევოლუციურ და თითქმის 100-პროცენტიან შეცვლას გამორიცხავს და საკონსტიტუციო ცვლილებების უპრობლემოდ, ჯოხის ერთი აქნევით მიღების პრაქტიკას მოშლის.

# პარტიული დაპირისპირება რეგიონში

ეკა ჯანაშია

"ნაციონალების" ფრაქციის წევრი და "ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატი ბეჟან ხურციძე თანაპარტიელს კრიმინალის მფარველობაში ადანაშაულებს. როგორც ხურციძემ "24 საათს" განუცხადა, ვანის გამგებლის მოადგილემ დავით კაკაბაძემ რაიონის ბიუჯეტი შეჭამა და დასაჭერია.

**"კაკაბაძემ მთელი ვანი გაძარცვა, მაგრამ არ იჭერენ, იმიტომ რომ ვანის "ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე და ნაციონალების დეპუტატი პაატა ლეჟავა მფარველობს. პარტიაში დავწერე წერილი, მოაცილეთ ეს კაცი-მეთქი. ის გამგებლის მოადგილეობიდან მოხსნეს, მაგრამ კონტროლის პალატის რეგიონული დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ დანიშნეს, ანუ დააწინაურეს. კონტროლის პალატის უფროს ლევან ბეჟაშვილსაც ველაპარაკე და მითხრა, დავარეგულირებთო. ველოდები, რას დაარეგულირებს,"** - ამბობს ბეჟან ხურციძე.

ორიოდე დღის წინ ვანში არსებული ვითარების შესახებ "რესპუბლიკური პარტიის" ვანის რეგიონულმა ორგანიზაციამ სპეციალური ბრიფინგი გამართა. ბრიფინგი ცენტრალურმა არხებმაც გააშუქეს. "რესპუბლიკელებმა" განაცხადეს, რომ ვანის ბიუჯეტი არამიზნობრივად დაიხარჯა. მათი ბრალდებების ობიექტი ვანის გამგებლის ყოფილი მოადგილე დავით კაკაბაძე იყო. "რესპუბლიკელთა" თქმით, კაკაბაძემ ვანის ბიუჯეტი მთლიანად "შეჭამა" და ამის გამო რაიონში არაფერი გაკეთებულა.

"რესპუბლიკელების" ბრალდებებს ბეჟან ხურციძეც ადასტურებს: **"როცა პარტიას ვეუბნები კაცზე დასაჭერია-მეთქი, ამის პასუხად ეს კაცი არ უნდა დააწინაურონ, არ უნდა მისცენ ოპოზიციას ლაპარაკის საფუძველი. ოპოზიციური პარტიები ყველაფერს მართალს ამბობენ. მიუხედავად ამისა, ჩემს პარტიას პრობლემას არ შევუქმნი, მაგრამ მე, ბეჟან ხურციძე, ვიძლევი გარანტიას, რომ კაკაბაძეს დაიჭერენ. ჩემი წინამორბედი დეპუტატი მელორ ტყეშელაშვილი ვანის გამგებელ მელქაძეს ისევე მფარველობდა, როგორც ახლა ლეჟავა მფარველობს კაკაბაძეს. სად არის ახლა ტყეშელაშვილი, არ ვიცი, მაგრამ მელქაძე დაუსწრებლად გაასამართლეს და მიუსაჯეს. იგივე ბედი ელის კაკაბაძესაც."**

პაატა ლეჟავა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ვანში პრეზიდენტის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა. ამ შტაბის წევრი იყო ბეჟან ხურციძეც. პრეზიდენტმა ვანში ხმების 72 პროცენტი მიიღო. მაშინ ეს ადამიანები საერთო საქმეს აკეთებდნენ. "24 საათი" პაატა ლეჟავასაც დაუკავშირდა. მისი თქმით, რაც ამ ბოლო დროს ვანში კეთდება, 20 წლის განმავლობაში არ გაკეთებულა. შესაბამისად, ოპოზიციის განცხადებები საფუძველს მოკლებულია. **"მოგეხსენებათ, ოპოზიცია მუდმივად ცდილობს, ტყუილ-მართალი ერთმანეთში აურიოს,"** - აღნიშნა ლეჟავამ.

რაც შეეხება ხურციძის განცხადებებს, ლეჟავამ "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა: **"აბსოლუტურად გამოვრიცხავ, რომ ბატონი ბეჟანი ასეთ განცხადებას გააკეთებდა. ჩვენ ორივე უმრავლესობის წევრები ვართ - მე ვანის ნაციონალური ოფისის თავმჯდომარე, ის მაჟორიტარი და ჩვენზე უკეთ არავინ იცის, რომ ვანში რაც ამ ბოლო დროს გაკეთდა და უკვე მრავალი წელია კეთდება, ადრე იმის მეასედიც არ გაკეთებულა. ბეჟან ხურციძე სრულად ფლობს სიტუაციას ვანის რაიონში. მეტიც, ვანის გამგებლის მოადგილე სწორედ მისი რეკომენდაციით დაინიშნა, რათა მაჟორიტარს უფრო კარგად შეეძლოს ვითარების ადგილზე გაკონტროლება. რაც შეეხება დავით კაკაბაძეს, ის კონტროლის პალატის რეგიონულ დეპარტამენტში ალბათ საკუთარი დამსახურებებისა და კარგი მუშაობის გამო გადაიყვანეს. ასე რომ, არა მგონია, ბეჟან ხურციძე ეთანხმებოდეს "რესპუბლიკელების" ნათქვამს, რომ ვანში არაფერი კეთდება."**

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# გადატვირთვა არ არის თამაში ნულოვანი შედეგით

პირველი გვერდიდან

**- და ამ მხრივ წარმატებას სად, რომელ ქვეყანაში მიაღწიეთ?**

- თუ შევხედავთ გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლო პერიოდს, აღმოვაჩენთ, რომ ევროპელ მოკავშირეებთან ერთად ნამდვილად შევძელით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს წარმატებით გაევლოთ ტრანსფორმაცია. დღეს 20-25 წლის წინანდელისგან სრულიად განსხვავებული სახელმწიფოები და საზოგადოებები არიან.

**- საქართველოში თქვენთვის ახალი და განსხვავებული რა აღმოაჩინეთ?**

- ყოველდღიური სიხარული, რომელიც გამოიხატება იმ რთული გარემოებების მიუხედავად, რომელიც დღეს თქვენს ქვეყანაშია შექმნილი - ეს ზუსტად ის სულისკვეთებაა, რომელიც ქართველ ხალხში აღმოვაჩინე. მიუხედავად იმისა, თუ რა სირთულეებს უმკლავდება ეს ხალხი უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, ქართველებს სიცოცხლის სიყვარული, ცხოვრებისადმი ლაღი დამოკიდებულება ახასიათებთ. საქმე ისაა, რომ მე მძიმე პერიოდი მაქვს გავლილი და კარგად ვიცი, ეს რას ნიშნავს.

ეს სიცოცხლიასუნარიანობა, რომელიც საქარველოს, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებას ახასიათებს და რითიც განმსჭვალულია საზოგადოება, სულ სხვაგვარად ჩანს, როცა შორიდან უყურებ და სულ სხვაა, როდესაც ახლოს ხარ, თვითონაც აქ ცხოვრობ და კარგად აღიქვამ რეალობას.

**- თქვენს წინამორბედებს თავისი მთავრობისგან სხვადასხვა დავალებები ჰქონდათ. ელჩი მაილსი ამბობდა, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი საქართველოს დემოკრატიის საწყის ეტაპზე გადასვლის ხელშეწყობა იყო. ელჩი ტეფტი მთავარ მიზნად საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას ასახელებდა. როგორი იქნება თქვენი მისია ამ ეტაპზე?**

- ასე ვიტყოდი - ელჩ ტეფტის მიერ დაწყებული საქმის გაღრმავება და გაფართოება. ეს არის მხარდაჭერა საქართველოს სურვილისა, გახდეს უფრო დემოკრატიული, დასავლეთში უფრო ინტეგრირებული და უფრო მეტად შეძლოს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის გამყარება.

ჩემი მისიის ნაწილი საერთაშორისო თანამეგობრობაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი სუვერენიტეტის მხარდაჭერაცაა.

ეს აგრეთვე მთავრობასთან, ოპოზიციასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან მუშაობაში გამოიხატება და იმისკენაა მიმართული, რომ აღსრულდეს "ვარდების რევოლუციის" დაპირებები.

ჩემი მუშაობის ნაწილია აგრეთვე, მთავრობის ურთიერთობა კერძო სექტორსა და დონორ ორგანიზაციებთან, რათა საქართველოს ეკონომიკამ ზრდა განაგრძოს.

**- თქვენ აქტიურად ხვდებით საზოგადოების სხვადასხვა ფენას, ხელისუფლებას, ოპოზიციას, სამოქალაქო სექტორს. სულ ახლახან ვაშინგტონიდან უწყებათაშორისი ჯგუფი ჩამოვიდა. თანამშრომლობის პროცესში რა პრობლემებს გამოყოფდით?**

- ჯგუფს, რომელიც ვაშინგტონიდან ჩამოვიდა, კარგი შეხვედრები ჰქონდა ოპოზიციური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და მთავრობასთან. ჩვენ მთელ რიგ საკითხებს განვიხილავთ საიმისოდ, რომ აღსრულებული იყოს ის დაპირებები, რაც "ვარდების რევოლუციისას" გაიცა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი საარჩევნო ლანდშაფტის თავისუფლებისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაა. ამ პროცესის ღიაობა ყველა პარტიას მისცემს საშუალებას, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი იდეები და სამართლიანი კონკურენციის პირობებში იმოქმედოს. თუმცა, ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს იდეები აბსტრაქტული ხასიათისა არ იყოს და რეალურად უკავშირდებოდეს პრობლემებს, რომელიც მოქალაქეებს და საზოგადოებას აწუხებს.

უფრო მეტი უნდა გაკეთდეს კანონის უზენაესობის განმტკიცებაში პროგრესის მისაღწევად. მთლიანობაში მეტი უნდა გაკეთდეს სამართლიანი საზოგადოების ტრანსფორმირებისთვის. იმისთვის, რომ საზოგადოება საბჭოთა მემკვიდრეობისგან გათავისუფლდეს და დასავლეთზე ორიენტირებული, დასავლური ღირებულებების მატარებელი გახდეს. ერთ-ერთი ამის მაგალითი გახლავთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ახლახან მიიღო პარლამენტმა.

**- თქვენ მაგალითად ერთ-ერთი პოზიტიური შედეგი მოიყვანეთ... კარგად იცნობთ საბჭოთა მენტალობის ტრანსფორმირების ურთულეს პროცესს. თქვენი აზრით, რა უშლის ხელს დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარებას? რატომ ვერ გადალახა საქართველოს პოლიტიკურმა კლასმა ეს პრობლემები?**

- ვფიქრობ, რომ საქართველო ზუსტად იმ პრობლემების წინაშე დგას, რაც გარდამავალ პერიოდში მყოფ სხვა საზოგადოებებს ახასიათებთ. რთულია, ალბათ, ერთი კონკრეტული საკითხის გამოყოფა, რომლის გადაჭრაც პოლიტიკური კულტურის, ან მთლიანად გარემოს რადიკალურ ცვლილებას გამოიწვევდა. ეს უფრო ევოლუციური პროცესია, როდესაც სპექტრის ყველა მხარეს მყოფი ადამიანი უკეთ გაიცნობს და ჩაერთვება პროცესებში, როდესაც დებატები გაიმართება არა ქუჩაში, არამედ ინსტიტუტებში, როდესაც კომპრომისი გამოიძებნება და ადამიანებისთვის ღია და ხელმისაწვდომი იქნება პარტიების მოსაზრებები და როდესაც ამის შემდეგ მოქალაქეები არჩევნებში გამოხატავენ თავის ნებას.

**- პრეზიდენტ ობამას რუსეთთან ურთიერთობის "გადატვირთვის" პოლიტიკამ არამხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა ახალგაზრდა დემოკრატიებშიც გარკვეული შიში გააჩინა. ზოგი დასავლელი ექსპერტი ამბობს, რომ დღეს ამერიკისთვის კავკასია და საქართველო პირველი რიგის ამოცანა აღარ არის. რუსეთი არ ასრულებს სარკოზი-მედვედევის ხელშეკრულებას, მუდმივად არღვევს ადამიანის უფლებებს კონფლიქტის რეგიონში, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცებები, დარბევები, რუსული ჯარის თარეში ყოველდღიური მოვლენაა. რუსეთის ძალისხმევით კონფლიქტის ზონა დატოვეს ეუთო-სა და გაერო-ს სადამკვირვებლო მისიებმა... თქვენი აზრით, რამდენად ართმევს თავს დასავლეთი ამ გამოწვევებს?**

- მოკლე პასუხი ასეთი იქნება - ვაპირებთ მუშაობას, რათა ყველა მხარემ შეასრულოს ის შეთანხმებები, რომელიც გასულ აგვისტოსა და სექტემბერში დაიდო.

ჩვენ განვაგრძობთ აქტიურ მუშაობას მოსკოვში, ვენაში, ბრიუსელში, ვაშინგტონში, ნიუ იორკში, ჟენევაში და ყველა იმ ადგილზე, სადაც კი ეს შესაძლებელია. ასევე ამას სჭირდება მცდელობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომ სხვა ქვეყნებმა აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა არ აღიარონ.

"გადატვირთვის" კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია, რას ვაკეთებთ იმასთან ერთად, რასაც ვამბობთ. გასულ წლის შემდეგ საქართველო ერთ სულ მოსახლეზე აშშ-დან ყველაზე დიდი დახმარების მიმღები ქვეყანაა. ეს რეალურად ასახავს მთელი ამერიკული პოლიტიკური სპექტრის დამოკიდებულებას საქართველოსადმი და ეს მაშინ, როდესაც საქართველო და მისი მოქალაქეები საზოგადოების ტრანსფორმირებისთვის აუცილებელი საზოგადოებრივი ცვლილებების გატარებას ცდილობენ.

აშშ-ს ვიცეპრეზიდენტმა ბაიდენმა თბილისში ვიზიტისას აღნიშნა და აშშ-ს არაერთმა მაღალი რანგის წარმომადგენელმაც გაიმეორა, რომ ცვლილებები, რომელსაც რუსეთთან ურთიერთობაში ვახორციელებთ, არ იმოქმედებს ჩვენს ურთიერთობებზე სხვა ქვეყნებთან. ჩვენ არ აღვიქვამთ, რომ ეს არის თამაში ნულოვანი ჯამით. არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ საქართველოსთან მიმართებაში ჩვენსა და რუსეთს შორის სერიოზული ხასიათის განსხვავებები არსებობს და ჩვენ ნამდვილად არ გვერიდება ამ განსხვავებებზე მოსკოვში რუსეთის მთავრობასთან საუბარი.



*აშშ-ს რიგით მეხუთე ელჩი საქართველოში ჯონ ბასი გამოცდილი დიპლომატია. მან დიპლომატიური კარიერა 1988 წელს დაიწყო. იგი განათლებით იურისტია, არის რამდენიმე წიგნის ავტორი. ბასი აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის აპარატს ხელმძღვანელობდა, ჩართული იყო თურქეთისა და კვიპროსის კონფლიქტების მოგვარებაში, ასევე ნატო-რუსეთის მოლაპარაკებების პროცესში, რომელიც ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებას ითვალისწინებდა. ბასი დიპლომატის რანგში იტალიაში, ბელგიასა და ჩადის რესპუბლიკაში მუშაობდა. 2008 წლის ივლისიდან ის ერაყში ბაღდადის აღდგენაზე მომუშავე სამთავრობო ჯგუფს ხელმძღვანელობდა, მანამდე კი, 3 წლის განმავლობაში, სახელმწიფო დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების ოპერატიულ ცენტრს ედგა სათავეში, რომელიც ამერიკის მოქალაქეთა, განსაკუთრებულ სიტუაციებში კი აშშ-ს საელჩოების თანამშრომელთა და მათი ქონების დაცვას უზრუნველყოფდა. ბასი საგარეო პოლიტიკაში ყველაზე ცხელ წერტილებში კრიზისის მენეჯმენტის სპეციალისტია. მას "კრიზისების სპეციალისტსაც" უწოდებენ.*

**- თქვენი აზრით, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები კავკასიაში? ორიოდე დღის წინ აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების, ალიევისა და სარქისიანის მიუნხენში შეხვედრის წინ ალიევმა განაცხადა, რომ თუ მთიანი ყარაბახის თემაზე მოლაპარაკება ამჯერადაც არ შედგება, აზერბაიჯანი წართმეული ტერიტორიის ომით დაბრუნებას არ გამორიცხავს.**

- რაც შეეხება კავკასიას - ეს რეგიონი ბოლო წლების განმავლობაში სირთულეებითა და ძალადობებით აღსავსეა. ჩრდილოეთ კავკასიაში კი ისევე, როგორც რუსეთის სხვა რეგიონებში, ის დებატები და გამოწვევებია ასახული, რომელიც რუსეთის მთავრობის მმართველობის პრინციპებს უკავშირდება.

კავკასიაში მიმდინარე პროცესებს იმ საერთო პრიზმაში და იმ პრინციპებით ვუყურებთ, როგორც ევროატლანტიკური ქვეყნები. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიური ანგარიში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, დეტალურად განიხილავს კავკასიაში მიმდინარე პროცესებს.

რაც შეხება მთიან ყარაბახს - ჩვენ განვაგრძობთ მინსკის ჯგუფის ფარგლებში მონაწილეობას და ასევე ინდივიდუალურად ვმუშაობთ ქვეყნებთან, რათა ერთად გამოვძებნოთ ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზები

**- ჩვენი ხელისუფლება ხშირად გვეუბნება, რომ საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებზე საერთაშორისო საზოგადოების ასეთი ზეწოლა იმიტომ ხდება, რომ რეგიონში გამორჩეულად დემოკრატიული ქვეყანა ვართ და მოთხოვნაც ამიტომაა განსაკუთრებული...**

- ვფიქრობ, ნათელია, რომ უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში საქართველოს პროგრესი მართლაც რომ აღსანიშნავია. თქვენი ქვეყანა თავისი დემოკრატიული განვითარებით, ეკონომიკური პროგრესით საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებისგან ნამდვილად გამოირჩევა.

რაც შეხება, განიცდის თუ არა ზეწოლას საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, ვფიქრობ, აქ მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობამ და ხალხმა კარგად გაითვალისწინოს ის სტანდარტები და მდგომარეობა, რომელიც იმ საერთაშორისო ინსტიტუტებშია, რომლისკენაც ქვეყანა ისწრაფის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია, ინსტიტუციონალური თვალსაზრისით, გასაკეთებელი მეტია. ეს თავად საქართველოს ინტერესებში შედის, რადგან ეს გზა ქვეყანას თანამედროვე ევროპული ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

მაშინ, როდესაც საქართველოში დემოკარატიის განვითარების პროცესებზე ვსაუბრობთ, ყოველთვის ვითვალისწინებთ იმას, რომ არც ჩვენი დემოკრატიაა იდეალური და შესაძლოა, არც არსებობს იდეალური ფორმის დემოკრატია.

**- ამერიკა-საქართველოს შორის გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობისა და ურთიერთთანამშრომლობის ქარტია ორმხრივ ურთიერთობებზეა გათვლილი. როგორი პარტნიორია საქართველო? არის სირთულეები მოლაპარაკებებისა და ვალდებულებების შესრულების პროცესში?**

- საქართველო ძალიან კარგი პარტნიორია. ქვეყანას დიდი წვლილი შეაქვს კოლექტიურ უსაფრთხეობაში ისეთ ადგილებში, როგორიცაა ავღანეთი და საქართველოს გეორაფიულ საზღვრებს მიღმა არსებული პრობლემების მოგვარებაშიც იღებს მონაწილეობას. ეს კი ჩემთვის ნამდვილად კარგი პარტნიორობის გამოხატულებაა.

კომისია ინსტრუმენტია იმისთვის, რომ ამერიკასაც და საქართველოსაც შეუწყოს ხელი, რომ ამ უკანასკნელმა დასახული გეგმები თავად განახორციელოს. კომისია აგრეთვე კარგი მექანიზმია იმისთვის, რომ უზრუნველყოს საქართველოში შემოსული თანხების, ტექნიკური კონსულტაციებისა თუ ექსპერტული ცოდნის ზუსტი თანხვედრა ქვეყნის მიერ დასახულ პრიორიტეტებთან. მთავრობებს შორის პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ შედეგები შეიძლება არ იყოს ხილული კომისიის შეკრებიდან მეორე დღესვე.

მაგალითად, ჩვენ ორი წლის წინ დავიწყეთ მუშაობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან. შედეგები, რომელსაც ჩვენ დღეს ვხედავთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გამოიხატა.

**- რთული მისია გერგოთ, რადგან თქვენი ოფისიდან ორმოციოდე კილომეტრში საქართველო უკვე ოკუპირებულია და მინდა წარმატება გისურვოთ. იმედი მაქვს, სამიოდე წელიწადში სხვაგვარ ვითარებაში შევხვდებით და უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ საქართველოს კულტურაზე, კულინარიაზე და სასმელზე და იმაზეც, როგორ აისახება ეს ყველაფერი თქვენს განწყობაზე.**

- დიდი მადლობა. საქართველოში ჩემი ყოფნის სასიამოვნო მხარეა ის, რაც მხოლოდ პოლიტიკას არ უკავშირდება და რაც გულისხმობს თქვენი კულტურის გაცნობას, რომლის შემადგენელი ნაწილიცაა კარგი ქართული სამზარეულო. ისიც სასიამოვნოა, რომ დღეს ამგვარი საუბრის საშუალება მომეცა.

# "ვისოლის" ქსელში იტალიური საწვავის გაყიდვები იზრდება

სალომე ძაძამია

ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ნავთობპროდუქტების იმპორტიორი კომპანია "ვისოლი" მომხმარებლისთვის უმაღლესი ხარისხის იტალიური საწვავის მიწოდებას განაგრძობს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის შექმნილი საწვავის - "აპი" - წილმა "ვისოლის" საერთო გაყიდვებში 35%-ს მიაღწია. კომპანიის მენეჯმენტის ინფორმაციით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში "აპის" პროდუქტების რეალიზაციამ მკვეთრად იმატა. იტალიური საწვავის რეალიზაციის ზრდის დინამიკა იმის მაჩვენებელია, რომ მომხმარებელს ურჩევნია, ავტომობილი ხარისხიანი საწვავით გამართოს. "ვისოლის" პროგნოზით, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მომავალ წელს "აპის" მომხმარებელთა რიცხვი 50%-მდე გაიზრდება.

კომპანია "ვისოლი" ევროპის უმსხვილესი კომპანიის - "აპის" საწვავის შეძენის ექსკლუზივით სარგებლობს და იტალიიდან საქართველოში საწვავის იმპორტს "აპის" Falocnara Marttima-ს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნიდან ახდენს. "ვისოლის" მიერ ნავთობპროდუქტების იმპორტი ხარისხის კონტროლის მრავალსაფეხურიანი ციკლის დაცვით ხორციელდება. კერძოდ, საწვავის ხარისხის კონტროლი მოიცავს რთულ ლოგისტიკურ ჯაჭვს, რომელიც იტალიის პორტ ანკონადან იწყება და ფოთის პორტის, სარკინიგზო გადაზიდვების, "ვისოლის" საკუთრებაში არსებული ნავთობტერმიანლებისა და კომპანიის ავტოპარკის მეშვეობით საწვავის "ვისოლის" საკუთრებაში არსებულ ავტოგასამართ სადგურებამდე მიწოდებით სრულდება. საწვავის შემოწმება აღნიშნულ ყველა ეტაპზე ხორციელდება. ამას გარდა, კომპანიაში არსებობს ხარისხის მართვის მობილური ლაბორატორია, რომელიც კომპანიის ცხელ ხაზზე შემოსულ ზარებზე ოპერატიულად რეაგირებს.

გუშინ კომპანიის ხელმძღვანელობამ, იტალიის სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში ვიტორიო სანდალთან ერთად, ქართულ-იტალიური სავაჭრო ურთიერთობები შეაფასა. "ვისოლის" წარმომადგენლობამ წლის დასასრულისთვის საკუთარი მუშაობაც შეაჯამა.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე სოსო ფხაკაძე აცხადებს, რომ კრიზისული წლის მიუხედავად, "ვისოლის" ქსელში არსებული იტალიური პროდუქტის მიმართ მომხმარებლის ინტერესი დიდია, რაც კომპანიის ხელმძღვანელობისთვის მეტად მნიშვნელოვანია.



"მიუხედავად იმისა, რომ წელს კრიზისის პირობებში ვმუშაობდით და სახარბიელო წელი ნამდვილად არ იყო, "აპის" გაყიდვები გაიზარდა და დაახლოებით 35%-ს შეადგენს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ იტალიური საწვავი საქართველოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ხდება ტრანსფორმაცია მომხმარებლის დამოკიდებულებისა ხარისხის მიმართ, რაც წინა წლებში არ იყო. დღეს მომხმარებელს ურჩევნია, რამდენიმე თეთრით მეტი გადაიხადოს და ხარისხიანი პროდუქტი მიიღოს. ასეთი დამოკიდებულება ეკონომიკურადაც გამართლებულია. გამართლებულია იმიტომ, რომ "აპის" საწვავის მოხმარება ავტომობილის საექსპლუატაციო პერიოდს მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს, უზრუნველყოფს ძრავის სწრაფ და გამართულ მუშაობას. სხვა ტიპის საწვავთან შედარებით, ავტომანქანის ძრავასა და ლითონის ნაწილებს კოროზიისგან იცავს. აქედან გამომდინარე, იტალიური საწვავის იმპორტს საქართველოში ექსკლუზიურად გავაგრძელებთ.

მიუხედავად კრიზისისა, ჩვენთვის მნიშვნელოვანი მიღწევაა ისიც, რომ ჩვენი ქსელისათვის დაახლოებით 13 ახალი სადგურის დამატება მოვახერხეთ. ეს 13 ახალი სადგური ნიშნავს ინვესტიციებს, ახალ სამუშაო ადგილებს, ინფრასტრუქტურის გალამაზებას რეგიონებში, რადგან წელს რეგიონებში ვიყავით აქტიურები. ამ მიმართულებით მუშაობას კვლავაც გავაგრძელებთ. რაც შეეხება ფასებს, ეს საზოგადოების ნებისმიერი ფენისათვის და ჩვენი კომპანიისთვის საკმაოდ მტკივნეული საკითხია, რადგან ჩვენ ნავთობმომპოვებელი კომპანია არ ვართ. ჩვენ ვიღებთ იმ ფასს, რაც ბაზარზე ყალიბდება და პროდუქციას ამ ფასში ვყიდულობთ, შემოგვაქვს ბაზარზე და ვახდენთ დისტრიბუციას. პროგნოზი არ არის სახარბიელო, ერთი ბარელი ნავთობის ფასი ალბათ 100 დოლარამდე გაიზრდება. სამწუხაროდ, არანაირი სიმპტომი, ფინანსური თუ ეკონომიკური მაჩვენებელი არ არსებობს იმისა, რომ ნავთობი გაიაფდება," - განაცხადა კომპანია "ვისოლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ სოსო ფხაკაძემ.

როგორც იტალიის ელჩი საქართველოში ვიტორიო სანდალი აღნიშნავს, იტალიური კომპანიის და ქართული "ვისოლის" წარმატებული თანამშრომლობა იმის მაჩვენებელია, რომ იტალია-საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობა საკმაოდ აქტიურია.

იტალიის ელჩი საქართველოში ვიტორიო სანდალი: "2 წელია, რაც იტალიური კომპანია "ვისოლთან" თანამშრომლობს და, ასეთი მცირე დროის მიუხედავად, მათი თანამშრომლობა ძალზედ წარმატებულია. ეს ფაქტი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ორ ქვეყანას შორის მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა არსებობს. იმედია, როდესაც კრიზისი შენელდება, ეს თანამშრომლობა კვლავაც წარმატებულად გაგრძელდება. ჩვენ ამისთვის ძალისხმევას არ დავიშურებთ."

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

## ენერგეტიკის სექტორის შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტი ენერგეტიკის სექტორის საგრანტო პროგრამა

USAID-ის მიერ დაფინანსებული ენერგეტიკის სექტორის შესაძლებლობების გაუმჯობესების (ECI) პროექტი აცხადებს განაცხადების მოთხოვნას ენერგეტიკის სექტორის საგრანტო პროგრამის მეორე ტურისათვის.

საგრანტო პროგრამის პრიორიტეტული საკითხებია:

- იძულებით გადაადგილებულ და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- ენერგო ეფექტურობა;
- ენერგეტიკული უსაფრთხოება, საქართველოს რეგიონების ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება;
- სახელმწიფო ენერგეტიკულ კომპანიებთან თანამშრომლობა კვლევის, ანალიზისა და პრაქტიკული სამუშოების შესრულების სფეროში;
- განახლებადი ენერგიის (მზის და ქარის ენერგია) განვითარება.

განაცხადებში ასევე მოცემული უნდა იყოს შესრულებული კვლევითი საქმიანობის შესაბამისი საპილოტო სამუშაოები.

განაცხადების ჩაბარების ბოლო ვადაა 2009 წლის 31 დეკემბერი.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ECI-ს ვებსაიტს www.aeai.ge ან დაგვიკავშირდით:**

**ენერგეტიკის სექტორის შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტი**
**ყიფშიძის ქუჩა N20, თბილისი, საქართველო, 0162**
**ტელ/ფაქსი: (995 32) 25 27 62, 91 38 92**
**E-mail: sbarrett@aeai.ge**
**sofiobarrett@gmail.com**

პროექტი ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი ძალისხმევით

## ჩინური კომპანია ZTE Corporation - მაგთიკომის არასაიმედო პარტნიორი

უკვე 2 წელიწადი სრულდება, რაც შპს "მაგთიკომმა" - საქართველოს კავშირგაბმულობის უდიდესმა ოპერატორმა, წამოიწყო უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომლის ფარგლებშიც დაიწყო მთელი საქართველოს ტერიტორიის უსადენო ფიქსირებული სატელეფონო ქსელით დაფარვა. პროექტში დღეისათვის, მხოლოდ საწყის ეტაპზე, უკვე ინვესტირებულია 75 მილიონ ლარზე მეტი. მოგეხსენებათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობისთვის საიმედო და იაფი კავშირის არსებობა იმ ადგილებშიც კი, სადაც აქამდე ფიქსირებული სატელეფონო კავშირი პრაქტიკულად არ არსებობდა. ზემოთ აღნიშნულმა გარემოებებმა მაგთიკომის პროდუქტი მაგთი ფიქსი ძალზედ პოპულარული გახადა საქართველოს მოსახლეობაში და მაგთი ფიქსის ტელეფონებზე მოთხოვნა დღიდან დღემდე იზრდება. მაგთიკომში მოელოდნენ მოვლენების ამგვარ განვითარებას და სატელეფონო აპარატების მარაგის უზრუნველყოფის მიზნით ჩინურ კომპანია **ZTE Corporation**-სთან გააფორმეს კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც **ZTE Corporation** მაგთიკომს ეტაპობრივად მიაწვდიდა კონტრაქტით გათვალისწინებულ ტელეფონებს. **ZTE Corporation**-სთან დადებული კონტრაქტი მაგთიკომს საფუძველს აძლევდა დაეგეგმა ტელეფონების მარაგი ისე, რომ არ შეფერხებულიყო ამ ტელეფონების მომხმარებლამდე მიწოდება. თუმცა ბოლო მომენტში გაირკვა, რომ ჩინური კომპანია ვერ ასრულებს საკუთარ თავზე აღებულ ვალდებულებებს და დაგეგმილი 40 000 ტელეფონიდან, რომლებიც 2009 წლის 8 დეკემბერს უნდა ჩამოსულიყო საქართველოში, მხოლოდ 10 000 ტელეფონი გამოაგზავნა. აღნიშნულმა გარემოებამ მკვეთრად შეცვალა სურათი და მაგთიკომის ტელეფონების მარაგი, (რომელიც 40 000 ტელეფონის ნაცვლად, მხოლოდ 10 000-ით შეივსო) ამოწურვის პირასაა, რის შედეგადაც მაგთიკომმა უდიდესი ფინანსური და მორალური ზარალი ნახა. გარდა ამისა, უამრავი ადამიანი, ვინც წინასაახალწლოდ გეგმავდა საკუთარ ოჯახში მაგთი ფიქსის ტელეფონი შეეტანა, დარჩა კავშირის გარეშე, რამაც მათი დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. სიტუაციას ამძაფრებს ის გარემოებაც, რომ აღნიშნული შეფერხება დაემთხვა წინასაახალწლო პერიოდს, როდესაც მოთხოვნა ნებისმიერი სახის პროდუქტზე, მათ შორის მაგთი ფიქსის ტელეფონებზეც, მნიშვნელოვნად მატულობს. ამ ყველაფერთან ერთად კომპანია **ZTE Corporation**-ში დღემდე ვერ ასახელებენ ტელეფონების გამოგზავნის ზუსტ თარიღს და შეფერხების მესამე მხარეს, ამერიკულ კომპანია Qualcomm-ს აბრალებს, რომლის მიკროსქემების ბაზაზეც ხდება ტელეფონების დამზადება. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ აღნიშნული არგუმენტი ვერანაირად ვერ გაამართლებს აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობას. მაგთიკომში უკვე ითვლიან **ZTE Corporation**-ს არასანდო პარტნიორობით მიყენებულ ზარალს. კიდევ ერთხელ მართლდება მარტივი ჭეშმარიტება - წარმატებული ბიზნესის საწინდარი საიმედო პარტნიორების ყოლაა, რასაც სამწუხაროდ ვერ ვიტყვით ჩინურ კომპანია **ZTE Corporation**-ზე რომელმაც თავისი, ბიზნესისთვის მიუღებელი საქციელით ყველა ჩინურ კომპანიას მიაყენა ჩრდილი და უდიდესი პროექტის განვითარება მნიშვნელოვნად შეაფერხა რითაც საფრთხე შეუქმნა პროექტში დამატებითი ინვესტიციების ჩადებას.

# ქართული ეკონომიკური ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენი

გარდამავალი ეკონომიკის მრავალ პრობლემათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და მნიშვნელოვანია პრივატიზაციის პრობლემა, მისი შესაძლებლობების ფარგლებში, სწორად და რეალურად, დროულად გადაწყვეტა, რამდენადაც იგი ეხება ნებისმიერი საზოგადოების, სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის უმნიშვნელოვანეს საფუძველს - საკუთრებას, საკუთრებით ურთიერთობებს, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით წარმოების, განაწილების, გაცვლის, მოხმარების სფეროში. ამიტომ ამ პრობლემისადმი მიძღვნილი ნებისმიერი გამოკვლევა, პუბლიკაცია უეჭველ ყურადღებას იმსახურებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი ყურადღებით მოვეკიდეთ სარეცენზიო წიგნის გაცნობას, მით უფრო, რომ ეს ნაშრომი ეკუთვნის პიროვნებას, მოღვაწეს, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა და უშუალოდ აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში პრივატიზაციისათვის პირობების მომზადებასა და განხორციელებაში, ინტერესს აძლიერებდა, აგრეთვე, ისიც, რომ წიგნის ავტორი, ბატონი სოლომონ პავლიაშვილი, არის ერთ-ერთი უნიჭიერესი მეცნიერ-ეკონომისტი, პრაქტიკულ-სამეურნეო საქმიანობაში დიდი გამოცდილებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მოლოდინით შევუდექით წიგნის გაცნობას. თავიდანვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ მოლოდინი არა მარტო მთლიანად გამართლდა, არამედ ბევრად გადააჭარბა კიდეც. მთელი წიგნი ზემოთთქმულის დადასტურებაა. ჩვენ აქ შევეხებით ზოგიერთ საკვანძო მომენტებს.

ბატონი სოლომონი თანამედროვე ეკონომიკური თეორიების შემოქმედებითი გამოყენების საფუძველზე წარმოდგენილ მონოგრაფიაში თანმიმდევრულად და მაღალკვალიფიცურად იხილავს შემდეგ საკითხებს: საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის ამოსავალი პრინციპები; საქართველოს თანამედროვე ეკონომიკის განვითარებისა და მართვის ეროვნული მოდელის თავისებურებანი. სახელმწიფო ქონების მართვის სტრატეგია, მისი ისეთი საკითხები, როგორიცაა: სახელმწიფო ქონების მართვის მიზნები, ამოცანები და პრინციპები; სახელმწიფო ქონების მართვის სამართლებრივი საფუძვლები, განვითარების თავისებურებანი, ორგანიზაციული სტრუქტურისა და საწარმოთა რესტრუქტურიზაცია; სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მართვა.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოში პრივატიზაციის შედეგების შეფასებასა და პერსპექტივების დასახვას.

ბატონი სოლომონი თვალსაჩინოდ უჩვენებს რა XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მძიმე სურათს, ახასიათებს რა მის გამომწვევ მიზეზებს, ასაბუთებს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის აუცილებლობასა და შესაძლებლობას, გვთავაზობს ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ მიზნებს, ინტერესებს, სახავს სამომავლო ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა მისი შეხედულებით აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მიღწევისათვის (გვ. 23-27), რაშიც მას მთლიანად ვეთანხმებით.

ნაშრომის ამ ნაწილში ჩვენ სპეციალურად გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ავტორის მიერ გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებიდან შემდეგი მიზნების გამოყოფას: ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცება; სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიის დამკვიდრება; მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება; მეცნიერულ-ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევა; ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს უზრუნველყოფა; საყოველთაო გლობალიზაციის პროცესში აქტიური მონაწილეობა. ამ სტრატეგიული მიზნების მიღწევა, ავტორის აზრით, მხოლოდ საქართველოს ეროვნული ინტერესების განუხრელად განხორციელების საშუალებით უნდა მოხდეს. ამ ინტერესებიდან ის კარდინალურ ინტერესებად, ჩვენი აზრით - სამართლიანად, შემდეგ ინტერესებს მიიჩნევს: საქართველოს ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება; მისი თითოეული მოქალაქის ყოველმხრივი განვითარებისათვის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური პირობების უზრუნველყოფა; ბუნებრივი, ინტელექტუალური და მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიღწევა; ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.

შემდეგ ავტორი ახასიათებს ეკონომიკის მართვის თავისებურებებსა და მიზნებს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ამ თავისებურებებიდან განსაკუთრებით ხაზს უსვამს: ძალისხმევის პრიორიტეტულობას საწარმოს გადარჩენისათვის, შრომითი კოლექტივების შენარჩუნებისათვის; საკუთრების ფორმების სრულყოფის აუცილებლობას; რესურსების მფლობელი და განმკარგველი იურიდიული პირების ურთიერთობების სრულყოფას; არასტაბილური ბიზნესგარემოს მართვას; ტრანსაქციული ხარჯების ზრდის შედეგად ახალი სამეურნეო კავშირების დამყარების გართულების თავიდან აცილების ღონისძიებების გატარებას; მუშაკთა საქმიანობის ვერტიკალური კოორდინაციის განსაზღვრას დირექციაზე მუშაკის დამოკიდებულების ხარისხის მიხედვით და სხვ. აღნიშნული ფაქტორების ანალიზის შედეგად აკეთებს დასკვნას, რომ გარდამავალ ეკონომიკაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ანტიკრიზისულ მართვას, კრიზისის პროფილაქტიკას, როგორც მაკრო, ასევე მიკრო დონეზე (გვ.28). შემდეგ ავტორი ახასიათებს ანტიკრიზისული მართვის მიზნებს, ამოცანებსა და თავისებურებებს, მათი მიღწევისა და გადამწყვეტი გზებს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საქარველოს მაგალითზე, იხილავს მართვის ეფექტიანობის ამაღლების ფუნდამენტურ პირობებს, აკეთებს შესაბამის დასკვნებს (გვ. 30-31).

მონოგრაფიაში სპეციალური თავი (II) ეძღვნება სახელმწიფო ქონების მართვის სტრატეგიის პრობლემებს, სადაც გაშუქებულია პრობლემის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა: სახელმწიფო ქონების მართვის მიზნები, ამოცანები და პრინციპები; სახელმწიფო ქონების მართვის სამართლებრივ საფუძვლებში, განვითარების თავისებურებანი, ორგანიზაციული სტრუქტურული და საწარმოთა რესტრუქტურიზაცია; სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მართვა (გვ. 32-62).

ეკონომიკაში სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით ავტორი, ჩვენი აზრით, აკეთებს სავსებით სწორ დასკვნას, რომ "სახელმწიფო ყოველ მოცემულ მომენტში განსაზღვრავს იმ პირობებსა და გარემოს, რომლის ფარგლებშიც ბაზარი ფუნქციონირებს, ანუ ამ უკანასკნელის მარეგულირებელ ფუნქციაზეა დამოკიდებული. განვითარებულ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა არაეფექტიანი სახელმწიფოს არსებობისას უბრალოდ შეუძლებელია. ამიტომ სახელმწიფოს და ბაზრის დაპირისპირება თანამედროვე პირობებში არა მარტო უხეში თეორიული შეცდომაა, არამედ პრაქტიკულად დიდი ზიანის მომტანია" (გვ. 34-35). "მთავარია არა სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის მინიმიზება, არამედ სახელმწიფოსა და ბაზარს შორის თანაფარდობის ოპტიმიზაცია, თითოეულის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება წარმოშობის ეფექტიანობისა და ცხოვრების დონის ასამაღლებლად. ასეთ თანაფარდობას ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებში არსებული მდგომარეობა უახლოვდება. ამ ქვეყნების ეკონომიკა ლიბერალიზაციის ყველაზე უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩევა, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის მნიშვნელობაც ძალიან მაღალია". (გვ. 35).

მონოგრაფიის III თავში განხილულია პრივატიზაციის ტიპები სპონტანური და მართვადი (ტრანსფორმაციული) პრივატიზაცია, მათი დამახასიათებელი არსებითი ნიშნები, მიზნები, ამოცანები; ეტაპები, ტემპები, სახელმწიფო, კერძო და ფორმირებადი საწარმოების, სექტორების ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფის საკითხები. ამ საკითხების გადაწყვეტის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის შეფასება. კერძო სექტორის ჩამოყალიბების გზები: 1. კერძო საწარმოების შექმნა თვით კერძო მესაკუთრეების მიერ, ქვეყანაში მეწარმეობის ლიბერალური რეჟიმის, საბაზრო ინფრასტრუქტურისა და სახელმწიფოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკის არსებობით; 2. სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის პროცესი. დახასიათებულია ორივე გზის დადებითი და უარყოფითი ნიშან-თვისებები, მათი განხორციელების აუცილებლობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურისა და ყოველ მოცემულ ეტაპზე კონკრეტული ამოცანების, მათი გადაწყვეტის შესაძლებლობების მიხედვით.




მონოგრაფიაში დეტალურად არის განხილული პრივატიზაციის დინამიკა და შედეგები 1993-2003 წლებში, სადაც ნაჩვენებია: საწარმოთა პრივატიზაცია დარგების მიხედვით; პრივატიზებული მცირე საწარმოების განაწილება პრივატიზაციის მეთოდების მიხედვით და მიმდინარეობა რეგიონებში; სააქციო საზოგადოებების დაფუძნება დარგებისა და რეგიონების მიხედვით აღნიშნულ პერიოდში ყურადღება გამახვილებულია იმ უარყოფით ფაქტორებზე, რომლებმაც დააზარალა საქართველოს ეკონომიკა და ხელი შეუშალა ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციების შემოდინებას, საკუთრებითი ურთიერთობების განმტკიცებას, თავისუფალ ფასწარმოქმნას და თავისუფალ კონკურენციას, საბოლოო ჯამში, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას. ასეთ ფაქტორებად ავტორი, ჩვენი აზრით - სავსებით სამართლიანად, მიიჩნევს:

1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას;
2. 2008 წლის აგვისტოს საომარ მოქმედებებს;
3. შიდა პოლიტიკურ დაძაბულობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში;
4. სუსტ სასამართლო სისტემას;
5. საკუთრების უფლებების ხელყოფას;
6. პრივატიზაციის სტრატეგიის ნაკლოვანებებს;
7. რუსეთის ემბარგოს ალკოჰოლურ და მინერალურ სასმელებზე;
8. ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებას;
9. განუვითარებელ სავალუტო და საფონდო ბირჟებს;
10. ეროვნული ბანკის ფუნქციების შეზღუდვას;
11. სიღარიბის შემცირების სუსტ პროგრამას;
12. ბიზნესის ასოციაციების არარსებობას.

ბატონმა სოლომონმა სპეციალური პარაგრაფი მიუძღვნა 2004-2008 წლებში პრივატიზაციის თავისებურებებისა და პრობლემების გაშუქებას. ამ წლებში განხორციელებულ და მიმდინარე პროცესების პრივატიზაციის ახალ ტალღას "აგრესიული პრივატიზაცია" უწოდა. ახსნა ახალი ტალღის არსი, მიზანი და ამოცანები, მათი მიღწევის მდგომარეობა და "პრივატიზაციის აგრესიაში" იგულისხმა ახალი "ხელისუფლების მიერ გაბედული (წინა ხელისუფლების "გაუბედავი ნაბიჯებისაგან" განსხვავებით, გვ. 105) პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და საკუთრების სრული ლიბერალიზაციის განხორციელება. "იგი მიზნად ისახავდა ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას, რესურსების რაციონალურად გამოყენებას" (გვ 105). ავტორის აზრით, ამას ხელი იმ გარემოებამაც შეუწყო, რომ საქართველოში უკვე არსებობდა მყარი ფულად-საკრედიტო სისტემა. ინფლაციური პროცესები იყო მართვადი, ქვეყნის ეკონომიკა ინვესტორებს საშუალებას აძლევდა, მაღალი მოგება მიეღოთ.

ნაშრომის ბოლო პარაგრაფი (3.5) ფაქტობრივად შემაჯამებელ ხასიათს ატარებს. აქ მოცემულია პრივატიზაციის საერთო შეფასება, დასკვნები, წინადადებები, განსაზღვრულია პერსპექტივები (გვ. 131-142).

მოცემულია პრივატიზაციის საერთო შეფასება, მისი შედეგების კლასიფიკაცია დროებითი და კონკრეტული კრიტერიუმებით. დროითი კრიტერიუმების მიხედვით გამოყოფილია მოკლევადიანი, საშუალოვადიანი, გრძელვადიანი ეფექტები; კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით: პოლიტიკური, იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური, ინსტიტუციური, ეკოლოგიური, კრიმინალური ეფექტები.

ბატონი სოლომონი ყოველმხრივ, სისტემურ შეფასებას აძლევს რა საქართველოში განხორციელებულ და მიმდინარე პრივატიზაციას, მისი დადებით და უარყოფით შედეგებს, მიდის სწორ დასკვნამდე, რომ ამჟამად განსაკუთრებით აქტუალურია პრივატიზაციის ახალი სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პრობლემების გადაწყვეტა ქვეყნის განვითარების მოთხოვნების შესაბამისად. შემდეგ იგი აყალიბებს პრივატიზაციის ახალი სტრატეგიის არსის ძირითად ნიშნებს, წარმოქმნილ პრობლემებს, სახავს მათი გადაწყვეტის სტრატეგიულ ღონისძიებებს (გვ. 139-142).

და ბოლოს: მართალია, ნებისმიერი ხასიათის, დონის ნაშრომს აქვს ნაკლოვანებები, მაგრამ მე ამ ნაშრომში, მიუხედავად სერიოზული მცდელობისა, ნამდვილად ვერ ვიპოვე არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი, ხოლო არაარსებითი შენიშვნებისგან თავი შევიკავე. მით უმეტეს, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, და ეს რეცენზიაც ამის დადასტურებად მიმაჩნია, საქმე გვაქვს, როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ისე პრაქტიკულ-გამოყენებითი თვალსაზრისით, უაღრესად მაღალი ღირებულების მქონე ნაშრომთან.

*გურამ ყუფუნია*
*თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა უნივერსიტეტის სრული პროფესორი*

# კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისათვის

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, IFC-ის კორპორაციული მართვის გლობალური ფორუმი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) ევრაზიის რეგიონის ქვეყნებს კორპორაციული მართვის კოდექსების შემუშავებაში ეხმარება, რაც ადგილობრივ ბანკებსა და კომპანიებს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობას აძლევს.

თბილისში ჩატარებული ორდღიანი სემინარი კორპორაციული მართვის თემაზე, რომელსაც 13 ქვეყნის 40-ზე მეტი წარმომადგენელი დაესწრო, ისეთ საკითხებს შეეხო, როგორიცაა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კვალიფიკაცია, ბენეფიციარი მფლობელების ვინაობის გამჟღავნება, შიდა და გარე აუდიტი, ინფორმაციის გამჟღავნება. სემინარზე ასევე კორპორაციული მართვის კოდექსების დანერგვასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს, რათა კომპანიებსა და ბანკებს კორპორაციული მართვის გაუმჯობესებაში დაეხმარონ, რაც აამაღლებს მათ მიმართ ნდობას, გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას და ინვესტორებისათვის მიმზიდველობას.

IFC-ის კორპორაციული მართვის პროექტმა საქართველოში სემინარის მონაწილეებს გაუზიარა თავისი გამოცდილება საქართველოს ბანკების ასოციაციასთან და საფონდო ბირჟასთან მჭიდრო თანამშრომლობით ბანკებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის შემუშავებასთან დაკავშირებით. საქართველოს ბანკების უმრავლესობა შეუერთდა კოდექსს.

ეს სემინარი, რომელიც უკვე მეორეა კერძო სექტორისა და მთავრობის წარმომადგენლებისათვის ჩატარებულ რეგიონულ სემინარებს შორის, ნაწილია საქმიანობისა, რომლის მიზანი კერძო სექტორის, როგორც ეკონომიკური ზრდისა და ფინანსური კრიზისის მიმართ მდგრადობის ამაღლების მამოძრავებელი ძალის, მხარდაჭერაა.

"IFC-ის ხელთ არსებული მასალა ადასტურებს, რომ კომპანიებმა, რომლებსაც კარგი კორპორაციული მართვის პრაქტიკა ჰქონდათ დამკვიდრებული, ეკონომიკური კრიზისის პირობებში ნაკლები ფინანსური ზარალი განიცადეს იმ კომპანიებთან შედარებით, რომლებსაც ასეთი პრაქტიკა არ ჰქონდათ. ჩვენ მოხარულნი ვართ, სემინარის მონაწილეებს გავაცნოთ ჩვენი მსოფლიო გამოცდილება და ხელი შევუწყოთ ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარებას კორპორაციული მართვის საუკეთესო პრინციპების დანერგვის მიზნით," - განაცხადა IFC-ის კორპორაციული მართვის გლობალური ფორუმის ხელმძღვანელმა ფილიპ არმსტრონგმა.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მთავარი იურისტ ჟან პიერო სინიას განცხადებით: "ეს პროექტი მნიშვნელოვანი ნაბიჯია რეგიონში ბიზნესის წარმოებაში არსებული სტანდარტების გაუმჯობესების მიმართულებით. ევრაზიის ქვეყნებში საბანკო სექტორი კარგად არის განვითარებული და ბანკებს შეუძლიათ დადებითი ზეგავლენა მოახდინონ თავიანთი კორპორაციული კლიენტების კორპორაციული მართვის გაუმჯობესებაზე."

სემინარის თანასპონსორია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარდამავალი ქვეყნების დონორთა ფონდი, რომელიც ფინანსდება კანადის, ფინეთის, ირლანდიის, იაპონიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, ესპანეთის, შვედეთის, შვეიცარიის, ტაივანისა და გაერთიანებული სამეფოს მიერ.

IFC ერთადერთი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტია, რომელიც ფოკუსირებულია ექსკლუზიურად კერძო სექტორზე, რაც ახალი ბაზრების მდგრადი განვითარების მამოძრავებელი ძალაა. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან ერთად, IFC -ი ამჟამად ცდილობს გაზარდოს კაპიტალი, რათა კიდევ უფრო განამტკიცოს განვითარებად ქვეყნებში ღარიბი მოსახლეობის დახმარების შესაძლებლობები - მათ შორის ადგილობრივ კომპანიებში საუკეთესო კორპორაციული მართვის პრაქტიკის დამკვიდრების გზით.

## "სამოქალაქო აქტების" რეგისტრაციის შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, სამედიცინო დაწესებულებები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები და პასუხისმგებელი თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს აცნობონ პირის გარდაცვალების ან დაბადების შესახებ.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძემ განაცხადა, ეს ნორმატიული სიახლე დაბადებისა და გარდაცვალების ფაქტების აღრიცხვის სიზუსტეს შეუწყობს ხელს.

ვალდებულების დარღვევისთვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით ითვალისწინებს. კერძოდ, პირის გარდაცვალების შეტყობინების შეუსრულებლობისათვის სოფელში, თემსა და დაბაში მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებული, აგრეთვე სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან კერძო სამედიცინო დაწესებულებების, პანსიონატის, თავშესაფრის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი ადმინისტრაციის წარმომადგენელი დაჯარიმდება 500 ლარით.

ბავშვის დაბადების არშეტყობინების შემთხვევაშიც, ანალოგიურად, 500-ლარიანი ჯარიმა სამშობიაროს ან სხვა სამედიცინო დაწესებულებას დაეკისრება.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმა, რომელსაც ტერიტორიული სამსახურის უფლებამოსილი პირები სამართლდარღვევის გამოვლენისას შეადგენენ.

## დაკავება მომხმარებლის მოტყუების ფაქტზე

შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა მომხმარებლის მოტყუების ფაქტზე დააკავეს ზვიად ჭუმბურიძე და მერაბ ჯინჭარაძე. სამართალდამცველების ინფორმაციით, ზვიად ჭუმბურიძემ თავის დროზე სარეალიზაციოდ შეიძინა 8 ათასი ფილა შოკოლადი "დავი", რომლის მცირე ნაწილის რეალიზაციაც მოახდინა, დარჩენილ 6700 ფილას ვადა გაუვიდა. ჭუბმურიძემ შეიძინა შესაფუთი მასალა, რომელზეც ვარგისიანობის ვადა ჯერ კიდევ არ იყო მითითებული, დაამზადა შტამპი - თარიღის მარკერი და ვადაგასული შოკოლადის ფილებს ახალი თარიღი დააწერა. ჭუმბურიძეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე შოკოლადის რეალიზაციაში ჭინჭარაძე ეხმარებოდა.

საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა საწყობებიდან და სარეალიზაციო ქსელიდან ვადაგასაული შოკოლადი ამოიღეს. ექტსპერტიზის დასკვნით, აღნიშნული პროდუქტი ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნეა. მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 219 - ე და 198 - ე მუხლებით, რომლებიც საერთო ჯამში ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სხეულის განზრახ დაზიანების ბრალდებით ლევან თეაყაშვილი დააკავეს

დედოფლისწყაროს პოლიციამ სხეულის განზრახ დაზიანების ბრალდებით სოფელ გამარჯვების მკვიდრი, 25 წლის ლევან თეაყაშვილი დააკავა. თეაყაშვილს არასრულწლოვანი გოჩა ქადაგიძის მკვლელობის მცდელობა ედება ბრალად. რაც შეხება დაზარალებულს, დედოფლისწყაროს საავადმყოფოს მორიგე ექიმის ეკა მანაგაძის განცხადებით, მას ჭრილობები დაუმუშავდა და უკვე სახლში გადაყვანილი. ინციდენტი დედოფლისწყაროს ცენტრში, საბრძოლო ხელოვნებათა ფედერაციისა და საგადასახადო ინსპექციის შენობის წინ გუშინწინ მოხდა. გამოძიებას სიღნაღი-დედოფლისწყაროს პროკურატურა აწარმოებს. **პირველი**

## ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის სამმართველოს ახალი შენობა

გუშინ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და თბილისის მერმა გიგი უგულავამ ვაკე-საბურთალოს რაიონში პოლიციის ახლადაშენებული შენობა გახსნეს. კოსტავას ქუჩაზე მდებარე პოლიციის სამმართველოს შენობა აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, თანამედროვე საოფისე ავეჯით და ინვენტარით. შენობა მთლიანად გამჭვირვალეა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოლიციის ინტეგრაციას საზოგადოებასთან. "ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ პირობებში იმუშავებენ პოლიციელები. თბილისში მათი მუშაობის პირობები ერთი ასად არის გაუმჯობესებული. რაც მთავარია კარგი სამუშაო პირობები აისახება მათი მუშაობის ხარისხზე და საბოლოო ჯამში თითითოეული მოქალქის უსაფრთხოებაზე." - განაცხადა გიგი უგულავამ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ინციდენტი სოფელ ჭუბურხინჯში

სამმა შეიარაღებულმა პირმა გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში ამავე სოფლის მცხოვრები 35 წლის ქართლოს გაგუა დაჭრა. მას მძიმე დაზიანებები მუცლის არეში აქვს მიყენებული. 35 წლის ქართლოს გაგუას ზუგდიდში გადმოყვანა მხოლოდ შემოვლითი გზით მოხერხდა. ამ დროისთვის ის წმინდა ლუკას სახელობის ჰოსპიტალშია მოთავსებული. დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ცვლილებები "პოლიციის შესახებ" კანონში

ხათუნა ჭანგირაშვილი

*მთავრობის ინიციატივით მომზადებული კანონოპროექტი, რომელიც "პოლიციის შესახებ" კანონში ცვლილებებს ითვალისწინებს, საკანონმდებლო ორგანოში უკვე შევიდა. მთავრობის ინიციატივას უახლოეს დღეებში საკანონმდებლო ორგანოში დეტალურად განიხილავენ და დაამტკიცებენ.*

"პოლიციის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების მიხედვით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებსს უფლება ექნებათ, რეიდის დროს არა მხოლოდ გააჩერონ პირი და სატრანსპორტო საშუალება, არამედ შეამოწმონ კიდეც.

კანონის მოქმედი რედაქციით, პოლიციელს უფლება აქვს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პირობებში, აგრეთვე დამნაშავეთა და სამართალდამრღვევთა დაკავების მიზნით, დასახლებულ პუნქტებში, საავტომობილო გზებზე და ტერიტორიულ წყლებში რეიდები მოაწყოს. რეიდის დროს კი უფლება აქვს, პირი და სატრანსპორტო საშუალება მხოლოდ გააჩეროს.

კანონპროექტის თანახმად კი, პატრულს უფლება ეძლევა, მოქალაქეც და მისი სატრანსპორტო საშუალებაც, გაჩერებასთან ერთად, შეამოწმოს კიდეც.

პატრულს ავტომანქანის გაჩერების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არ ექნება, თუ ის დიპლომატიურ, საკონსულო წარმომადგენლობებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს ეკუთვნის, რასაც მოქმედი კანონმდებლობაც ითვალისწინებს.

გარდა ამისა, მთავრობის მიერ მომზადებული კანონპროექტით, ზუსტდება იმ პირთა სია, რომლებიც საპატრულო პოლიციაში მუშაობის დაწყებას ვერ შეძლებენ. ცვლილებებია პოლიციელების სოციალურ დაცვასთან დაკავშირებითაც - პოლიციელს უფლება ეძლევა, პარალელურად ეწეოდეს პედაგოგიურ, სამეცნიერო თუ შემოქმედებით, ანაზღაურებად საქმიანობას. მთავრობის მიერ მომზადებული კანონპროექტით, პოლიციელებს რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების წევრობა ეკრძალება.

დღეს მოქმედი კანონის ნორმით, პოლიციელს აკრძალული აქვს გაფიცვა ან გაფიცვაში მონაწილეობა. ეს ნორმა კანონპროექტში უცვლელად რჩება. კანონპროექტით ჩნდება ჩანაწერი, რომელიც პოლიციელს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას უკრძალავს. გარდა ამისა, "პოლიციის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების მიხედვით, პოლიციელებს ეკრძალებათ დაიკავონ რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში.

მთავრობის მიერ მომზადებულ ინიციატივას, რომელიც "პოლიციის შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებს ითვალისწინებს, საკანონმდებლო ორგანოში არაერთგვაროვანად აფასებენ.

დეპუტატების გარკვეული ნაწილი ცვლილებების პროექტში განსაკუთრებულს და ახალს ვერაფერს ხედავს, ნაწილი მთავრობის ინიციატივას დანაშაულთან ბრძოლაში წინგადადგმულ და აუცილებელ ნაბიჯად აფასებს, ნაწილი კი თვლის, რომ პოლიციას სადამსჯელო უფლებები აქამდეც არ აკლდა და "პოლიციის შესახებ" კანონში შესატანილი ცვლილებები ხელისუფლებისთვის ოპონენტებთან ბრძოლის კიდევ ერთი მექანიზმი იქნება.

**"ამ სიახლეში ჩვენ ცუდს ვერაფერს ვხედავთ, თუკი, რა თქმა უნდა, ეს ცვლილებები განხორციელდება ადამიანის უფლებების დარღვევის გარეშე და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას შეუწყობს ხელს. "პოლიციის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებები თითქმის არ განსხვავდება დღეს მოქმედი კანონისგან და საგანგაშოს ვერაფერს ვხედავთ, მით უმეტეს, თუკი ეს ცვლილებები აქტიურად შეეხება ოკუპირებულ ზონებს. თუმცა, ვთვლით, რომ პოლიციისა და პატრულის მოქმედებაზე აუცილებლად უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი მონიტორინგი,"** - განაცხა "24 საათთან" საუბრისას ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წევრმა ნიკა ლალიაშვილმა.

დამოუკიდებელი ოპოზიციონერი დეპუტატი გია ცაგარეიშვილი, კოლეგა ჯონდი ბაღათურიას მსგავსად, მთავრობის მიერ მომზადებულ კანონპროექტს ანტიკონსტიტუციურად აფასებს და მიიჩნევს, რომ ამ კანონს ხელისუფლება პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ გამოიყენებს.

**"მხედრიონის" თარეშის დროსაც კი, ხელისუფლებამ კანონში იმ დებულებების ჩადება ვერ გაბედა, რასაც ახლა შსს ითხოვს. თავისთავად ცხადია, რომ პოლიციისთვის უნებართვოდ ჩხრეკის უფლების მიცემა გამოყენებული იქნება პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, რაც საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე, ისედაც ხორციელდებოდა. ჩხრეკის დაკანონების ინიცირება ვერ გაბედა დეპუტატმა გია თორთლაძემაც პატრიოტის აქტით და ამის გამო იგივე ინიციატივა მისმა მეგობარმა ვანო მერაბიშვილმა წარადგინა პარლამენტში,"** - აცხადებს გია ცაგარეიშვილი.

"პოლიციის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებები უახლოეს დღეებში აქტუალური მსჯელობის საგანი იქნება. იმის გამო, რომ კანონპროექტი პარლამენტში ორი დღის შესულია და დეპუტატების გარკვეული ნაწილი მას სრულყოფილად ჯერ კიდევ არ იცნობს, მის დეტალურად გაცნობამდე კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ.

# ღურწკაიას მკვლელს პატიმრობა შეუფარდეს

*აფხაზეთის მკვიდრის ედუარდ ღურწკაიას მკვლელობაში ბრალდებულ რუს მილიციელს გუშინ მოსკოვის სასამართლომ ბრალი წარუდგინა.*

23 ნოემბერს აფხაზეთის მკვიდრი, 19 წლის ედუარდ ღურწკაია მილიციელებმა ცემით მოკლეს. დამნაშავე მილიციელები მეტროსადგურ "ვიხინოსთან" მომხდარიდან ერთი საათის შემდეგ, ტანსაცმელის ნიშნების მიხედვით დააკავეს. ყველა მათგანი მოსკოვის შინაგან საქმეთა მთავარი განყოფილების მეორე ოპერატიული პოლკის თანამშრომლები არიან.

მკვლელობაში ეჭვმიტანილები იყვნენ: ანვარ იბრაგიმოვი, ალექსეი ჩერნიკოვი და ვიქტორ კუზნეცოვი. დაკავებისას ისინი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყვნენ. მილიციელებმა დანაშაული აღიარეს და გამოძიებას ჩვენებებიც მისცეს თუმცა, მოგვიანებით, ორი მათგანი გაათავისუფლეს.

რუსეთის ფედერაციის სამძებრო კრიმინალური პოლიციის მოსკოვის სამძებრო განყოფილების უფროსის ანატოლი ბაგმეტის განცხადებით, მილიციის თანამშრომლებს, რომელსაც ღურწკაიას მკვლელობა ედება ბრალად, ბრალდებას ორი მუხლით წაუყენებენ - კერძოდ, 286 და 111 მუხლებით. გუშინვე ანვარ იბრაგიმოვს მოსკოვის სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

ედუარდ ღურწკაიას საქართველოში გადმოსვენების ხარჯებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო გაიღებს.

ღურწკაიას მკვლელობას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ ეთნიკური ნიშნით ადამიანის მკვლელობის კიდევ ერთი ფაქტი უწოდა.

**"გვახსოვს ის პერიოდი, როდესაც რუსეთის პირველი პირების ხელდასმით და ბრძანებით ხდებოდა ქართველების დეპორტირება, სკოლიდან რიცხავდნენ ქართველ ბავშვებს. არ შეიძლება ყველაფერმა ამან გავლენა არ იქონიოს რიგითი რუსი მილიციონერის მენტალიტეტზე,"** - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ბაქრაძის თქმით, ღურწკაიას სიკვდილი, გარდა იმ ნასვამი რუსი მილიციელებისა, ვინც ეს უშუალოდ ჩაიდინა, ყველა იმ რუსი პოლიტიკოსის სინდისზეა, რომელიც წლების განმავლობაში ქართველებისგან მტრის ხატს ქმნიან.

რუსი მილიციელების მიერ მოკლული ქართველი ახალგაზრდის ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გაავრცელა.

**"ასეთი ქმედება გასაკვირი არ უნდა იყოს იმ ქვეყნის "სამართალდამცველების" მხრიდან, რომელიც, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან აწარმოებს გამოუცხადებელ ომს საქართველოს წინააღმდეგ. 2006 წელს განახორციელა ეთნიკური ქართველების რუსეთის ტერიტორიიდან მასობრივი განდევნა, შემოიჭრა სუვერენული ქვეყნის ტერიტორიაზე და ჩაატარა ეთნიკური წმენდის რამდენიმე ტალღა. ამგვარი პოლიტიკის ერთი კონკრეტული მაგალითია ის ფაქტი, რომ საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებს ოთხი ბავშვი დღესაც ტყვეობაში ჰყავთ ცხინვალის სუკ-ში,"** - ნათქვამია ვაშაძის უწყების განცხადებაში.

ამასთან, ოფიციალური თბილისის შეფასებით: **"ეს მკვლელობა ნათელი დასტურია იმისა, რომ რუსეთში ქსენოფობია ჩვეულებრივი მოვლენაა, ხოლო ეთნიკურ ნიადაგზე დანაშაულს, ეროვნულ უმცირესობების და კავკასიელების მიმართ, თანაბრად სჩადიან სკინჰედები და მათთან დაახლოებული რუსეთის მილიცია".**

მომხდარზე აღშფოთება გამოხატა მომღერალმა დიანა ღურწკაიამაც. მისი მტკიცებითაც, მკვლელობა ეროვნულ ნიადაგზე მოხდა.

**"მომხდარი აღშფოთების გარდა სხვა გრძნობას არ იწვევს. ძნელია იმაზე ფიქრი, რა მოხდება მომავალში, თუ ასეთი რამ ახლა ხდება. ჩვენი მილიცია, რომელმაც უნდა დაგვიცვას, ხალხს კლავს. ამდენად, ვფიქრობ, რომ ყველაფერი ეს ეროვნულ ნიადაგზე მოხდა,"** - აღნიშნა მომღერალმა.

დიანა ღურწკაიამ ორი თვის წინ წერილით მიმართა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრ რაშიდ ნურგალიევს, რომელშიც მილიციის თანამშრომლების მხრიდან ნაციონალიზმის გამოვლენის პრობლემზე წერდა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ცოტნე გამსახურდიამ მედპერსონალის მომსახურებაზე უარი განაცხადა

ანა მეზვრიშვილი

*საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟმა ცოტნე გამსახურდიამ პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართა და სამედიცინო დახმარებაზე უარი თქვა. ამის შესახებ მისმა ადვოკატმა ქეთი ბექაურმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.*

**"ცოტნე გამსახურდიამ გაამწვავა პროტესტის ფორმა და მან უარი განაცხადა მედპერსონალის მომსახურებაზე. იმის გამო, რომ ჩვენი შუამდგომლობები, დაზარალებულის დაკითხვის შესახებ უარყოფილი იქნა, დაგვრჩა მხოლოდ ის, რომ საქართველოს მთავარ პროკურორის მოადგილე მამუკა გვარამიას მივმართავთ 7-გვერდიანი საჩივრით გამოძიებულ იქნას კანონდარღვევები,"** - განაცხადა ბექაურმა.

ადვოკატის განცხადებით, ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია. გამსახურდია უკვე 29 დღეა შიმშილობს, აქედან მე-13 დღეა მშრალ შიმშილობას განაგრძობს. ბექაური არ გამორიცხავს, რომ ბრალდებულის სიცოცხლე, შესაძლოა, ფატალური შედეგით დასრულდეს, ამის მიუხედავად იგი შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებს, გამოძიებას სრულ უნდობლობას უცხადებს და თავს უდანაშაულოდ ცნობს.

როგორც გამსახურდიას ადვოკატი ქეთი ბექაური აცხადებს, მან მედპერსონალის მომსახურებაზე უარი იმ მიზეზით განაცხადა, რომ **"მისი საქმე ფაქტობრივად თაროზეა შემოდებული და არანაირი ძვრები არ შეინიშნება".**

გარდა ამისა, გუშინ, ქეთი ბექაურმა თბილისის პროკურორის მამუკა გვარამიას სახელზე საჩივარი შეიტანა, რომლითაც აპროტესტებს ძველი თბილისის რაიონის გამომძიებლების ზურაბ სხირტლაძის და ზურაბ კუპატაძის მოქმედებებს.

ქეთი ბექაურის განცხადებით, აღნიშნულმა პირებმა დაარღვიეს კანონი და სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს, როდესაც არ შეასრულეს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ, არ დაკითხეს დაზარალებული დავით ბაჯელიძე და უარი თქვეს დამოუკიდებელი კრიმინალისტური ბიუროს ექსპერტის დაკითხვაზე, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა გამოძიების მტკიცებულების - ექსპერტიზის დასკვნის ნამდვილობას. ადვოკატის განცხადებით, ამ პირების დაკითხვა **"შეიძლება ითქვას, საქმისთვის არსებითი და გადამწყვეტია".**

ქეთი ბექაურის შეფასებით, ამ ქმედებით სხირტლაძემ და კუპატაძემ კანონი დაარღვიეს და სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს.

სამართალდამცველებმა ცოტნე გამსახურდია 2009 წლის 27 ოქტომბერს დააკავეს. მას ბრალად იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება და განზრახ მკვლელობის მცდელობა ედება. იგი გლდანის №8 საპყრობილეში ორთვიან წინასწარ პატიმრობაში იმყოფება და გათავისუფლების მოთხოვნით 29-ე დღეა შიმშილობს.

# გაერო ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციებისთვის ემზადება

მარიკა იაშვილი

დასავლეთის ქვეყნები თეირანის წინააღმდეგ გაერო-ს სანქციათა მეოთხე სერიის შემოღების საკითხზე შეხვედრისთვის ემზადებიან. დამატებითი სანქციების დაწესება ოფიციალური თეირანის ბირთვულმა პროგრამამ განაპირობა. თუმცა გაერო-ს წევრი ქვეყნები არ აპირებენ, სანქციები ირანის ენერგეტიკული სექტორის წინააღმდეგ შემოიღონ.

თეირანის წინააღმდეგ დამატებითი სადამსჯელო ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება აშშ-ში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში სულ უფრო მზარდმა მოუთმენლობამ გამოიწვია. დასავლეთის ამ ზესახელმწიფოთა ოთხეული, ჩინეთთან და რუსეთთან ერთად, იბრძვის ირანის დასარწმუნებლად, რათა ბირთვული პროგრამის ცალკეული ნაწილები გაყინოს.

**"ჩვენ საკმარისად დიდხანს ვიცადეთ,** - აცხადებს ერთ-ერთი ევროპელი დიპლომატი ანონიმურობის დაცვის პირობით, - **ჩვენ და ჩვენი მეგობრები ექვსეულიდან შევთანხმდით, რომ მოვიდა დრო, როდესაც გაერო-მ ახალი ნაბიჯები უნდა გადადგას ... გაიხილოს."**

თუმცა ირანისთვის ურანის გამდიდრების გამო დამატებითი სანქციების დაწესებაში დასავლეთის მოუთმენლობა მხოლოდ ერთ რამეს აჩვენებს: ევროპელებმა და ამერიკელებმა გაიაზრეს, რომ მოსკოვი და პეკინი, რომლებსაც თეირანთან საკმაოდ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები აქვთ, ირანის ეკონომიკის კრახს არ დაუშვებენ.

დიპლომატების განცხადებით, დასავლეთის ქვეყნები მზად არიან, ირანზე ზეწოლა ნებისმიერ მომენტში გააძლიერონ, თუმცა მათ მოსკოვისა და პეკინის მხარდაჭერა სჭირდებათ, რათა თეირანს დაანახონ, რომ მის წინააღმდეგ მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები გაერთიანდნენ.

სულ რამდენიმე თვის წინ ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ და სხვა ქვეყნების მთავრობათა ლიდერებმა ირანი გააფრთხილეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბირთვული პროგრამის შეჩერების შესახებ გაერო-ს მოთხოვნების იგნორირებას მომავალშიც განაგრძობს, მას შეიძლება, "დამანგრეველ სანქციებთან" მოუხდეს შეჯახება.

თუმცა შეიძლება გაერო-მ "დამანგრეველი სანქციები" ვერ მიიღოს. როგორც დასავლელი დიპლომატბი ამბობენ, არ არის გამორიცხული, რუსეთი და ჩინეთი ახალი რეზოლუციის მიღებისას მხოლოდ სიმბოლური ხასიათის სანქციებს დათანხმდნენ, მაგალითად ისეთს, როგორიც არის ირანის შეყვანა გაერო-ს შავ სიაში. ეს ღონისძიება გულისხმობს ირანის უცხოური აქტივების გაუქმებას და ირანის მოქალაქეების საზღვარგარეთ გამგზავრების აკრძალვას.

მაღალჩინოსანი დიპლომატების განცხადებით, ახალი სანქციები შესაძლოა, მიმართული იყოს "სულ მცირე, კიდევ ერთი ბანკის, ადამიანთა კიდევ ერთი ჯგუფის და კომპანიების, კონკრეტულად კი სანაოსნო კომპანიების წინააღმდეგ. სანქციები შესაძლოა, ითვალისწინებდეს უფრო მკაცრ აკრძალვას იარაღით მომარაგებაზე და დამატებით პოლიტიკურ ზომებს." გავრცელებული ინფორმაციით, გაერო ვერასდროს შეძლებს მკაცრი ზომების მიღებას ირანის სანავთობო კომპანიების წინააღმდეგ, რადგან ჩინეთსა და რუსეთს ვეტოს უფლება აქვთ.

**"ასეთი სანქციების მიღება ევროკავშირს შეუძლია. ისინი გაერო-ს ფარგლებს გარეთ უნდა შემუშავდეს და იმედი გვაქვს, რომ ეს მოხდება,"** - აცხადებენ დიპლომატები.



მათივე თქმით, დასავლეთის ქვეყნებს გაერო-სგან დამოუკიდებლად მოქმედების სხვა საშუალებებიც აქვთ და მიღებული ზომები სიმბოლური სულაც არ იქნება.

თუკი ევროპის ქვეყნები ირანულ ბანკებს ოპერაციების ევროში განხორციელებას აუკრძალავენ, ამას ირანისთვის "ძალზე სერიოზული შედეგები" მოჰყვება. ასეთი რამ აბსოლუტურად დასაშვები და განხორციელებადია, თუკი ევროპას საკმარისი პოლიტიკური ნება აღმოჩნდება, - აცხადებს მაღალჩინოსანი ევროპელი დიპლომატი. დამატებითი ზომები, რომლებიც შესაძლოა, ირანის წინააღმდეგ განხორციელდეს, არის აკრძალვა მაღალშემოსავლიანი ტექნოლოგიური ნაწარმის შეძენაზე, რომელიც გაზის გადასამუშავებლად არის აუცილებელი. საგულისხმოა, რომ ირანი მსოფლიოში, რუსეთის მერე, ბუნებრივი გაზის ყველაზე დიდ მარაგს ფლობს.

არსებული ინფორმაციით, ახალი სანქციების შესახებ მოლაპარაკებები მიმდინარე წლის ბოლომდე დაიწყება, როდესაც არაოფიციალურად დაწესებული ვადები ამოიწურება. ეს ვადები აშშ-მ და ევროპელმა ლიდერებმა ირანს იმისთვის მისცეს, რომ ოფიციალურმა თეირანმა ბირთვული პროგრამა შეწყვიტოს და დასავლეთთან ეკონომიკური და პოლიტიკური სტიმულირების შესახებ მოლაპარაკებების წარმოება დაიწყოს.

დიპლომატიური წყაროების ცნობით, უშიშროების საბჭომ სანქციების შესახებ ახალი რეზოლუცია შესაძლოა, მიმდინარე წლის ბოლომდე მიიღოს. მოლაპარაკებათა პროცესი, სავარაუდოდ, რთულად წარიმართება და შეიძლება, რამდენიმე კვირა ან თვე გაგრძელდეს, რადგან რუსეთი და ჩინეთი, ისევე როგორც ადრე, დაჟინებით ცდილობენ სანქციების შერბილებას.

ამავდროულად, გაერო-მ ახალი ანგარიში მიიღო, რომელშიც ნათქვამია, რომ თეირანი ურანის გამდიდრებას ძველებურად განაგრძობს. ირანი ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ ურანი მას მშვიდობიანი მიზნებისთვის სჭირდება. თუმცა ამავე დროს ოფიციალური თეირანი უარს ამბობს გაერო-ს მიერ შეთავაზებულ გეგმაზე, რომელიც გულისხმობს უკვე გამდიდრებული ურანის რუსეთსა და საფრანგეთში შენახვას, სადაც ის გადამუშავდება და კვლავ ირანში დაბრუნდება, რათა სამედიცინო რეაქტორში ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ აუცილებელი იზოტოპები შეიქმნას.

ის ურანი, რომლის გამდიდრებაც თეირანმა აქამდე მოასწრო, სულ მცირე, ერთი ატომური ბომბის შესაქმნელად მაინც არის საკმარისი. როგორც გაერო-ს წარმომადგენლები აცხადებენ, თუ ირანი ქვეყნიდან ურანის გატანას დათანხმდება, მათ უფრო მეტი დრო ექნებათ მოლაპარაკებებისთვის, რომლებიც ბოლოს მოუღებს თეირანისა და დასავლეთის ბირთვულ წინააღმდეგობას.

ძალიან მალე მას შემდეგ, რაც იანვარში ამერიკის პრეზიდენტის პოსტზე ჯორჯ ბუში ბარაკ ობამამ შეცვალა, მან განაცხადა, რომ მზად იყო, ირანისადმი მიდგომა შეეცვალა და თანამშრომლობა დაემყარებინა. აშშ-სა და ირანს დიპლომატიური ურთიერთობა უკვე 30 წელია, აღარ აქვთ.

როგორც დასავლელი დიპლომატები აცხადებენ, მათ ძალიან დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ირანი დადებითად შეხვდებოდა ობამას ინიციატივებს და დასავლეთისადმი თავის კონფრონტაციულ დამოკიდებულებას შეცვლიდა. თუმცა ყველა იმედგაცრუებული დარჩა.

**"არა გვგონია, ირანს ამ პრობლემის მოგვარება უნდოდეს,** - აცხადებენ დიპლომატები, - **ეს არც არის გასაკვირი, თუმცა იმედგაცრუებას იწვევს."**

სხვათა შორის, ორი დღის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა კვლავ განაცხადა, რომ ირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღების საკითხი ჯერჯერობით არ დგას და მოსკოვი ჯერ კიდევ ელოდება ირანის დროულ პასუხს გაერო-ს ინიციატივებზე.

# ვალენსა კაჩინსკის სასამართლოში უჩივის

*ვარშავის სასამართლომ პოლონეთის ყოფილ პრეზიდენტ ვეხ ვალენსას სარჩელის განხილვა დაიწყო. ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი მოქმედ პრეზიდენტს ცილისწამებაში სდებს ბრალს და საჯაროდ ბოდიშის მოხდას ითხოვს.*

პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ ერთ-ერთი გამოსვლისას განაცხადა, რომ ვალენსა 1970-იანი წლების დასაწყისში კომუნისტური სპეცსამსახურების აგენტი იყო და "ბოლეკ"-ის ფსევდონომით მუშაობდა.

როგორც რადიო "თავისუფლებამ" განაცხადა, სასამართლო პროცესის დაწყებამდე ვალენსამ კაჩინსკისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა. "ან ბოდიშს მოიხდის, ან პრეზიდენტის პოსტს დატოვებს, რადგან ფიცი დადო, რომ კანონს დაიცავდა," - აღნიშნა ვალენსამ.

სასამართლო პროცესს, რომელიც უკვე გაიმართა ლეხ კაჩინსკი არ დასწრებია. სასამართლო დარბაზში მისი ადვოკატი იმყოფებოდა. ვიდრე ყოფილი პრეზიდენტის სარჩელს მოსამართლე განიხილავდა, პოლონეთის პრეზიდენტის კანცელარიის ხელმძღვანელმა, ამ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ "თუ ვალენსა თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა შეეძლო სასამართლოსთვის მიემართა."

პოლონური გაზეთები წერენ, რომ ლეხ კაჩინსკიმ ვალენსას მისამართით განცხადება პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სპეცსამსახურების არქივის მასალებზე დაყრდნობით გააკეთა.

ლეხ ვალენსას აგენტობის თაობაზე გასულ წელს, პოლონეთის ნაციონალური ხსოვნის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ წიგნშიც წერია. ინსტიტუტის ნამუშევარს ერქვა "უშიშროების სამსახური და ლეხ ვალენსა ბიოგრაფიის შესავსებად." წიგნში წერდნენ, რომ პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი მაშინდელ სპეცსამსახურებს ჰყავდათ გადაბირებული. შარშან, ვალენსამ განაცხადა, რომ წიგნი მისი მტრების მიერ იყო ინსპირირებული.

"მებრძვიან ისე, როგორც მე ვებრძვი ძმებ კაჩინსკებს, ქვეყნის ახლანდელ პრეზიდენტს და მის ტყუპისცალ ძმას," - აღნიშნა მან. ამ წიგნს გამოცემას პოლონეთში დიდი სკანდალი მოჰყვა. რადგან, 2000 წელს, სასამართლოს დადგენილებით, ლეხ ვალენსა აგენტი არ იყო. სასამართლოს მიერ დადებული დასკვნის შემდეგ, მოძრაობა "სოლიდარნოსტის" ყოფილმა ლიდერმა, რომლის მეშვეობითაც პოლონეთში კომუნისტური რეჟიმი დაემხო, განაცხადა, რომ ყველას საკადრის პასუხს გასცემდა, ვინც მის აგენტობაში შეიტანდა ეჭვს.

ახლა, ვალენსა კაჩნსკისგან ბოდიშის მოხდის გარდა, მიყენებული მორალური ზიანისთვის, კომპენსაციის სახით 100 ათასი ზლოტს - 37 ათასი ამერიკული დოლარის გადახდასაც ითხოვს.



*ვარშავის სასამართლომ პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტის ვეხ ვალენსას სარჩელის განხილვა დაიწყო*

# ბინ ლადენი პაკისტანში ცხოვრობს

"საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის "ალ-ქაიდას" ლიდერი უსამა ბინ ლადენი პაკისტანში იმალება, სადაც ახალგაზრდა ცოლთან ერთად ცხოვრობს," - ირწმუნებიან პაკისტანის ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებები პაკისტანის დაზვერვის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

მას მერე, რაც დასავლეთის კოალიციის სამხედროებმა ავღანეთში, მთიანი რაიონი ტორა-ბორა დაიკავეს, სადაც სავარაუდოდ ბენ-ლადენი იმალებოდა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგი პაკისტანში დასახლდა.

თუმცა, მისი დაკავება პაკისტანის სპეცსამსახურებმა მაინც ვერ შეძლეს, ვინაიდან მათთვის მიღებული არც ერთი ინფორმაცია, ბინ ლადენის ადგილსამყოფელის თაობაზე, სიმართლე არ აღმოჩნდა.

უცხოელმა ექსპერტებმა და სპეცსამსახურების წევრებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ უსამა ბინ ლადენი სავარაუდოდ ავღანეთისა და პაკისტანის საზღვარზე იმალებოდა, რომელსაც ადგილობრივი კლანის წევრები მფარველობდნენ.

მიმდინარე წლის ივლისში პაკისტანის შინაგან საქმეთა მინისტრმა რეხმან მალიკმა განაცხადა, რომ ბინ ლადენი კვლავ ავღანეთის ტერიტორიაზე, კუჰარის პროვინციაში დაბრუნდა, სადაც ისლამისტი "ბოევიკები" აქტიურად მოქმედებენ.

თუმცა, მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადებიდან ერთი თვის შემდეგ, ცენტრალური დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა ლეონ პანეტამ განაცხადა, რომ "ალ-ქაიდას" მეთაური სავარაუდოდ პაკისტანში დარჩა, მისი დაკავება კი ვერ მოხერხდა.

"ბინ ლადენის ლიკვიდაცია, ან მისი დაკავება ცენტრალური დაზვერვის სამსახურის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტულ ამოცანაა," - განაცხადა ოპნეტამ და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას სიტყვები გაიმეორა: "ბინ ლადენის ლიკვიდაცია "ალ-ქაიდაზე" მნიშვნალოვან გავლენას მოახდენს. იგი ამ დაჯგუფების არა მხოლოდ მეთაურია, არამედ, ამერიკის შეერთებულ შტატებზე ტერორისტული აქტების მოწყობას ხელმძღვანელობს".

ბინ ლადენის ლიკვიდაციისთვის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ 27 მილიონი დოლარის ოდენობის ჯილდო დააწესა.

## ნეთანიაჰუ მშენებლობების დროებით შეჩერებას თანხმდება

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ წამოაყენა წინადადება მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე არსებულ ებრაულ დასახლებებში მშენებლობების ათი თვით გაყინვის შესახებ. ისრაელის პრემიერის თქმით, ამ ნაბიჯს შეუძლია, ახალი იმპულსი შესძინოს ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესს. მშენებლობების შეჩერება ოკუპირებულ ტერიტორიებზე პალესტინელების მთავარი მოთხოვნაა, რის გარეშეც ისინი მოლაპარაკებების განახლებას არ თანხმდებიან. ისრაელს მშენებლობების შეჩერებისკენ აქტიურად მოუწოდებდა დასავლეთი, კერძოდ კი ამერიკის შეერთებული შტატები. პრემიერ-მინისტრის ოფისის განცხადების თანახმად, ნეთანიაჰუს წინადადება გუშინ უნდა განეხილა ისრაელის უშიშროების საბჭოს. ეს, ცხადია, ძალიან სერიოზული დათმობაა, თუ იმ გრანდიოზულ ტემპებს გავითვალისწინებთ, როგორითაც აღნიშნულ დასახლებებში მშენებლობა მიმდინარეობდა. თუმცა რჩება კიდევ ერთი საკითხი, რომელიც პალესტინელების უკმაყოფილებას გამოიწვევს და მოლაპარაკებების განახლების სურვილი კვლავ თუ არ ექნებათ, ამ დეტალზე ყურადღებას გაამახვილებენ. მშენებლობების შეჩერება არ შეეხება აღმოსავლეთ იერუსალიმს, რომელსაც ებრაელებიც და არაბებიც საკუთარ დედაქალაქად მიიჩნევენ.

## პაკისტანში მუმბაიზე თავდამსხმელებს ასამართლებენ

ისლამაბადის სასამართლომ ინდოეთის ქალაქ მუმბაიზე ისლამისტების მიერ ერთი წლის წინათ განხორციელებული თავდასხმის შვიდ მონაწილეს ბრალდება წაუყენა. შარშან, 26-29 ნოემბერს მუმბაიში ტერორისტულ აქტებს 170-ზე მეტი ადამიანი შეეწირა, მათ შორის - 9 ისლამისტი. ბრალდებულებს შორის არის ზაკი ურ რახმან ლახვი, რომელიც შეთქმულების ხელმძღვანელად მიიჩნევა, აგრეთვე დაჯგუფება "ლაშკარ-ი-ტაიბას" ხელმძღვანელობის ერთ-ერთი წევრი ზარარ შახი. ინდოეთის ხელისუფლების განცხადებით, არსებობს იმის დამადასტურებელი ცნობები, რომ თავდასხმა მუმბაიში დაიგეგმა და აღნიშნული ისლამისტური ორგანიზაციის მიერ დაფინანსდა. ზაკი ურ რახმან ლახვი, ზარარ შახი და მათი თანამზრახველები სასამართლოს წინაშე წარდგნენ კანონის - ანტიტერორისტული საქმიანობის შესახებ და პაკისტანის სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე. შვიდივე ეჭვმიტანილი თავის ბრალეულობას უარყოფს. პაკისტანმა აღიარა, რომ ეს თავდასხმები ნაწილობრივ მის ტერიტორიაზე იყო დეგეგმილი.

## "გაზპრომმა" და "ნაფტოგაზმა" ახალი შეთანხმება გააფორმეს

რუსეთისა და უკრაინის პრემიერ-მინისტრების პუტინისა და ტიმოშენკოს მიერ ხუთშაბათს მიღწეული შეთანხმება 2010 წელს გაზის მიწოდების ახალი პირობების შესახებ, დოკუმენტურად გააფორმეს ორი ქვეყნის ენერგეტიკულმა კომპანიებმა "გაზპრომმა" და "ნაფტოგაზმა". მისაწოდებელი გაზის რაოდენობა 35 პროცენტით შემცირდა, 52 მილიარდიდან 33,75 მილიარდამდე. უკრაინა აღარ იქნება ვალდებული, იყიდოს ზედმეტი გაზი, რომელიც ამ კრიზისულ პერიოდში მას არ სჭირდება. "ნაფტოგაზი" 2009 წელს გაზის შეთანხმებულ მოცულობაზე ნაკლების მოხმარებისთვის ჯარიმასაც არ გადაიხდის. მხარეები მომავალი წლიდან საბაზრო ფასებზე გადადიან, რაც 2009 წლის დასაწყისში დადებული კონტრაქტითაც იყო გათვალისწინებული. გაისად უკრაინას აღარ ექნება 20-პროცენტიანი ფასდაკლება ბუნებრივ აირზე. რუსეთიც თავისი გაზის ევროპაში ტრანზიტისთვის 60 პროცენტით მეტს გადაიხდის. "გაზპრომის" ოფიციალურ წარმომადგენელ სერგეი კუპრიანოვის სიტყვებით, განისაზღვრა გაზის საშუალო წლიური ფასიც - 280 დოლარი ათასი კუბური მეტრისთვის. რუსულმა კომპანიამ მაინც დაიწუწუნა და ის "ზარალიც" გამოთვალა - 5 მილიარდი დოლარი - რომელიც 2010 წელს ნაკლები რაოდენობით გაზის გაყიდვის გამო მიადგება.

## კადაფიმ ეგვიპტისა და ალჟირის შერიგება იკისრა

ლიბიის ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა კადაფიმ, რომელიც აფრიკული კავშირის თავმჯდომარეც არის, ეგვიპტისა და ალჟირის "საფეხბურთო კონფლიქტის" მოსაგვარებლად შუამავლის როლი იკისრა. ასეთი თხოვნით მას არაბული სახელმწიფოების ლიგამ მიმართა. მანამდე გამოქვეყნდა ეგვიპტისა და ალჟირის მეცნიერთა და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელთა ერთობლივი მიმართვა 150 კაცის ხელმოწერით, რომელშიც მხარეებს დაპირისპირების სწრაფად აღმოფხვრისკენ მოუწოდებენ. სუდანში 18 ნოემბერს ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის შემდეგ, რომელიც ალჟირმა მოიგო ანგარიშით 1:0, ხართუმის სტადიონიდან გამოსვლისას თავდასხმა მოხდა ეგვიპტელი გულშემატკივრების 21-კაციან ჯგუფზე. მანამდე, კაიროში გამართული მატჩის დამთავრებისას ალჟირელ ფეხბურთელებს ქვები დაუშინეს, რასაც გულშემატკივრებს შორის შეტაკება მოჰყვა და შედეგად ორივე გუნდის 32 ქომაგი დაშავდა. ბოლო დღეებში ეგვიპტისა და ალჟირის მედია, ფაქტობრივად, სხვა არაფერს აშუქებს, მხარეები ყველაფერს ერთმანეთს აბრალებენ. ტურისტულმა კომპანიებმა "მოწინააღმდეგე ქვეყნებში" ხალხის გაგზავნა შეაჩერეს, პოლიტიკოსთა ნაწილი "ეროვნული საკითხის" გათამაშებით ქულების დაწერას ცდილობს და ა.შ. ფიფა ხართუმში მომხდარ ინციდენტს იძიებს, კაიროს მატჩის ირგვლივ ეგვიპტეში ცალკე გამოძიება მიმდინარეობს.

*მოამზადა ივა შილაკაძემ*

# კურილიის კუნძულებზე მხარეებს კვლავ შეურიგებელი პოზიციები აქვთ

თამთა კახაძე



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იაპონიის მთავრობას ოფიციალური ნოტა გაუგზავნა იმ დოკუმენტის გამო, რომელშიც იაპონიამ კურილიის კუნძულებს "რუსეთის მიერ უკანონოდ ოკუპირებული" უწოდა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთმა "სერიოზული ყურადღება მიაქცია" იაპონიის მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

აღნიშნული დოკუმენტის მიღება პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატ მუენეო სუძუკის განცხადებას მოჰყვა. დეპუტატის მიერ წამოყენებული იდეის თანახმად, იაპონიამ მონაწილეობა უნდა მიიღოს კურილიის კუნძულების განვითარებაში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ამისთვის ტოკიოს მოუწიოს, "დროებით დათანხმდეს" კუნძულების რუსეთის კონტროლქვეშ ყოფნას.

**"ჩრდილოეთის ოთხი კუნძული რუსეთის ფედერაციის მიერ უკანონოდ არის ოკუპირებული. ამგვარ სიტუაციაში, როდესაც კუნძულებზე რუსეთის იურისდიქცია ვრცელდება, იქ ჩვენი მოსახლეობის გაშვება და კუნძულის განვითარებაში მონაწილეობა არ შეესაბამება ჩვენი ქვეყნის პოზიციას ჩრდილოეთის ტერიტორიების პრობლემის მიმართ. ჩვენს პოზიციაში ცვლილება არ არის,"** - ნათქვამია იაპონიის მთავრობის გადაწყვეტილებაში.

აღნიშნული გადაწყვეტილების პასუხად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ "კურილიის სამხრეთის კუნძულები რუსეთის ფედერაციის განუყოფელი ნაწილია კანონიერად, II მსოფლიო ომის შედეგების შესაბამისად. ამის იურიდიული საფუძველია მოკავშირე სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებიც სავალდებულოდ შესასრულებელია ტოკიოსთვის, აგრეთვე გაერო-ს წესდება, რომელიც იაპონიის მიერაც არის რატიფიცირებული."

"იაპონიის მთავრობის მიერ ხსენებული დოკუმენტის მიღება, რომელშიც ასეთი ფორმულირებებია, მიუღებელის გარდა სხვა შეფასება არ მოეძებნება. რუსეთის მხარემ, მათ შორის უმაღლეს დონეზეც, არაერთხელ გააფრთხილა [იაპონია] მსგავსი ქმედებების კონტრპროდუქტიულობაზე სამშვიდობო ხელშეკრულების პრობლემის შესახებ ორმხრივი დიალოგისთვის, მათ შორის საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის ასპექტებისთვის," - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

კურილიის სადავო კუნძულების გამო რუსეთი და იაპონია დღემდე ოფიციალურად საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან.

მხარეებს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება არ არის გაფორმებული, რამდენადაც ტოკიო, რომელიც ვაჭრობისა და საზღვრების შესახებ 1855 წლის ტრაქტატს ეყრდნობა, პრეტენზიას გამოთქვამს კურილიის ოთხ კუნძულზე: იტურუპზე, კუნაშირზე, შიკოტანსა და ხაბომაიზე.

რუსეთი, თავის მხრივ, დაჟინებით აცხადებს საკუთარ სუვერენიტეტს აღნიშნულ ტერიტორიებზე და ამის საფუძვლად II მსოფლიო ომის შედეგები მოჰყავს, რომლის თანახმადაც ეს ტერიტორიები საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა (რუსეთი კი სსრკ-ს სამართალმემკვიდრეა).

ივლისში იაპონიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც კურილიის ოთხ კუნძულს ქვეყნის "განუყოფელი ტერიტორია" ეწოდა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაგმო იაპონიის ეს გადაწყვეტილება, ხოლო სახელმწიფო დუმამ მიიღო განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ დოკუმენტმა დააფიქსირა ტოკიოს უარი ნებისმიერ კომპრომისზე და საკუთარ მთავრობას მოსკოვთან დიალოგისას თავისუფალი მანევრირების საშუალება მოუსპო.

მაისში იაპონიაში ვიზიტის დროს რუსეთის პრემიერმა პუტინმა ორ ქვეყანას შორის კუნძულების გაყოფის შესაძლებლობა არ გამორიცხა. თავის იაპონელ კოლეგასთან, მაშინდელ პრემიერ-მინისტრ ტარო ასოსთან ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე პუტინმა განცხადა, რომ "ტერიტორიული პრობლემის გადასაწყვეტად და მშვიდობიანი შეთანხმების მისაღწევად მხარეები ნებისმიერ ვარიანტს განიხილავენ."

# კოპენჰაგენის სამიტზე 60 ქვეყნის ლიდერი ჩავა

მარიკა იაშვილი



მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ კლიმატური ცვლილებების განსახილველად დაგეგმილ კოპენჰაგენის შეხვედრაში 60 ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი მიიღებს მონაწილეობას, სამიტის პროდუქტიულობის იმედი გაჩნდა.

დანიის დედაქალაქში სამიტი 7-18 დეკემბერს ჩატარდება. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ექსპერტებს სამიტის წარმატებაში ეჭვი ეპარებოდათ, რადგან ვარაუდობდნენ, რომ მის ფარგლებში რაიმე სახის შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდებოდა. თუმცა დღეს ანალიტიკოსები უკვე მიიჩნევენ, რომ ასე უპრეცედენტოდ ბევრი ლიდერის მონაწილეობამ შესაძლოა, ვითარება რადიკალურად შეცვალოს.

ჩვეულებრივ, კლიმატის საკითხებზე გამართულ შეხვედრებს, რომელთა ორგანიზებასაც გაერო აკეთებს, მხოლოდ ქვეყნების გარემოს დაცვის მინისტრები ესწრებიან. კოპენჰაგენში ამჯერად 192 ქვეყნის დელეგაცია ჩავა.

სამიტის მთავარი ამოცანაა ახალი საერთაშორისო შეთანხმების შემუშავება, რომელიც გაერო-ს მიერ 1997 წელს მიღებულ კიოტოს პროტოკოლს შეცვლის. დანიის პრემიერ-მინისტრ ლარს ლოკე რასმუსენის განცხადებით, სამიტის წარმატების გარანტიას სახელმწიფოთა ლიდერების მონაწილეობა იძლევა.

**"აი, რატომ ვართ ასეთი კმაყოფილები იმ ფაქტით, რომ შეხვედრაში მონაწილეობის დასტური 60 ქვეყნის ლიდერებმა გამოთქვეს და კიდევ ბევრი ლიდერია ამ საკითხისადმი პოზიტიურად განწყობილი,"** - განაცხადა დანიის პრემიერმა "ლიბერალური პარტიის" კრებაზე.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, რომელიც თავადაც დაესწრება კოპენჰაგენის სამიტს, ახალი შეთანხმების მიღება უფრო დაჩქარდება, თუ მსოფლიო ლიდერები ფსონად საკუთარ რეპუტაციას ჩავლენ.

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრ ევინ რადის განცხადებით, რომელიც სამიტზე მოლაპარაკებათა კოორდინატორი იქნება, შეხვედრა, სავარაუდოდ, ერთგვარი პოლიტიკური შეთანხმებით დასრულდება, რომლის სისტემატიზაციაც მომავალი წლის განმავლობაში მოხდება და მისი შესრულება სავალდებულო არ იქნება. **"დარწმუნებული ვარ, სამიტის მონაწილეები იმ მიზნით ჩამოდიან, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღონ და კოპენჰაგენის შეთანხმება რეალობად აქციონ,"** - განაცხადა რადმა. ამავე დროს მან აღიარა, რომ მოლაპარაკებები საკმაოდ რთული იქნება და სამიტის წარუმატებლად დასრულებაც სრულიად რეალურია.

ჩინეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინდოეთის ანუ იმ ქვეყნების ლიდერები, რომლებსაც გარემოს დაბინძურებაში ყველაზე დიდი ბრალი მიუძღვით, სამიტის მონაწილეთა სიაში ჯერჯერობით არ შესულან.

კოპენჰაგენის სამიტის წინ კიდევ ერთი უსიამოვნო ფაქტი მოხდა. პრესაში გაჟონა ინფორმაციამ, რომ კლიმატურ ცვლილებებთან საბრძოლველად ასობით მილიონი დოლარის ანგარიშები, რომელთა გამოყოფასაც მდიდარი ქვეყნები ღარიბებს დაჰპირდნენ, უბრალოდ, არ არსებობს.

2001 წელს ბონში ევროკავშირმა და განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნების ოცეულის ჯგუფმა ამ მიზნით ყოველ წელს 400 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის პირობა დადეს. თუმცა "ბი-ბი-სი"-ს მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში გაირკვა, რომ გაერო-ს მიერ საგანგებოდ შექმნილ ორ ფონდში მხოლოდ 260 მილიონი დოლარი გადაირიცხა. რა ბედი ეწია დანარჩენ თანხას, ჯერჯერობით უცნობია.

გაერო-ს გენერალური მდივანი ამის გამო ბრალს განვითარებულ ქვეყნებს სდებს და აცხადებს, რომ მათ თავიანთი დაპირება არ შეასრულეს. **"გაიცა გარკვეული დაპირებები, რომლებიც არ შესრულდა, ამიტომ ნდობის პრობლემა ჩნდება,"** - აცხადებს ბან კი მუნი.

თავის მხრივ ევროკავშირში აცხადებენ, რომ თანხები ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში გამოეყო ღარიბ ქვეყნებს, მაგრამ იმასაც აღიარებენ, რომ ამის დამამტკიცებელი ფაქტები არა აქვთ. ორგანიზაციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი არტურ რუნგე-მეტცგერი ამტკიცებს, რომ ევროკავშირმა აღებული ვალდებულებები შეასრულა, თუმცა დაშვებული იყო გარკვეული შეცდომები, რაც სამომავლოდ ერთგვარი გაკვეთილი იქნება.

კლიმატის ცვლილებებთან საბრძოლველად ღარიბი ქვეყნებისთვის თანხების გამოყოფა ერთ-ერთი გადამწყვეტი საკითხია, რომელიც კოპენჰაგენის შეთანხმების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. არ არის გამორიცხული, შეთანხმებას ღარიბმა ქვეყნებმა ხელი არ მოაწერონ, თუ დარწმუნებული არ იქნებიან, რომ მდიდარი ქვეყნები თავიანთ სიტყვას შეასრულებენ და ამასთან, გამოყოფილი სახსრების მართვის ბერკეტებს მიიღებენ.

როგორც განვითარებული მრეწველობის ქვეყნები ამტკიცებენ, მათ არასდროს აუღიათ ვალდებულება, რომ თანხას მხოლოდ გაერო-ს ფონდებში ჩარიცხავდნენ და დაპირებული თანხები მათ სხვადასხვა ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებების ფარგლებში გამოყვეს.

2001 წელს ბონში გაფორმებული შეთანხმების ავტორები ამბობენ, რომ ხელშეკრულებაში თავიდანვე არსებობდა გაურკვევლობები, ამიტომ პან გი მუნი გამოდის ინიციატივით, რომ კოპენჰაგენში გასაფორმებელ დოკუმენტში ყველაფერი თავიდანვე ნათლად გაიწეროს.

# რევიუ

## თუ სწორად ყიდულობ და თუ იცი რას ყიდულობ...

### ალექს ბერდიშევის გამოფენა იხსნება, არტბიზნესი კი ისევ ასათვისებელი რჩება

სოფო კილასონია

*დღეს გალერეა "ჰობიში" ძალიან ბევრი ადამიანი მოიყრის თავს. მიზეზი ალექს ბერდიშევი იქნება. მხატვარი, რომლის შესახებაც ბევრმა იცის. თუმცა, რომელიც ჯერ ყველას ვერ ამოუხსნია. მაგრამ ეს არ მაოცებს, აუხსნელობა ხომ ის არის, რაც ყველაზე ხშირად გვიზიდავს და არა მხოლოდ მხატვრობაში...*

სანამ ექსპოზიციაზე მუშაობა დასრულდა და სანამ ბერდიშევზე საუბარი დავამთავრეთ, ათასი სხვა კითხვა გამიჩნდა. გალერეა "ჰობი" არ არის მხოლოდ ადგილი, სადაც 90-იან წლებში ბერდიშევის პირველი თბილისური პერსონალური გამოფენა გაიხსნა, სადაც ის, როგორც კარგი მხატვარი ფართო საზოგადოებამ გაიცნო და სადაც, მას შემდეგ კიდევ ხუთჯერ უმასპინძლა თაყვანისმცემლებს. "ჰობი" კიდევ არის სივრცე, სადაც ეძებენ ახალ ავტორებს და სადაც, ცდილობენ, ხელოვნება ბიზნესად აქციონ. გალერეის დირექტორი, ვანდა მუჯირი მხოლოდ მხატვრების თანამშრომელი არ არის, ის მყიდველსაც ხშირად ეხმარება და აქვს გამოცდილება, რომელიც შეხედულებასაც უყალიბებს, თუ რა ხდება დღეს ქართულ არტბაზარზე და რამდენად ათვისებულია საერთოდ ეს ბიზნესი.

მაგრამ სანამ ფულზე, მხატვრობაზე, ცუდ და კარგ ინვესტიციაზე გავაგრძელებდე საუბარს, მანამდე ჯერ კიდევ სათქმელი მაქვს ალექს ბერდიშევზე, მხატვარზე, რომელიც წლების წინ გავიცანი როგორც გრაფიკოსი, დღეისთვის კი ჩვენი მკითხველი მისი ფერწერის გამოფენაზე უნდა დავპატიჟო.

ბიოგრაფიული ცნობები ყოველთვის მოსაწყენია, მით უფრო მაშინ, როცა მთავარ გმირზე ავტორს კიდევ აქვს სხვა რაღაც სათქმელი. მოკლედ, ბერდიშევის საზღვარგარეთული გამოფენების ჩამონათვალი ვრცელია. თანაც ეს არ არის გამოფენები სადღაც, მეგობართან სალონში. ცნობილ კოლექციონერებთან ინახება მისი ნამუშევრები და ა.შ.

მისი მხატვრობა ნაწილებად რომ დავშალოთ, მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის სხვადასხვა მხატვრული მიმდინარეობების გარკვეული სუბსტანციების დიფერენციაციას შევძლებთ. რაღაც დოზით მივიღებთ სიურეალიზმს, ცოტასაც აბსტრაქციას, ცოტაც კუბიზმიდან, აქა-იქ მიმოიფანტება მიროსეული სიმბოლოების მსგავსი ელემენტები, დიდი იქნება კონსტრუქტივისტული ნაწილი, მაგრამ მეეჭვება ასე ნაწილებად დაიშალოს... ბერდიშევს, ყველაფერი რისგანაც მისი ესთეტიკა იკვებება, თავის სამყაროში აქვს გათავისებული, საკუთარ სივრცეებში, საკუთარ რაციონალურ შრეებში და თავისებურად გადამუშავებული. ქალბატონი ვანდა მიხსნის, რომ ეს მხატვრობა არაფერს კონკრეტულად არ გავს და ასეც არის. ალუზიები თითქმის მცდარია, თუნდაც იმიტომ, რომ ბერდიშევისეული "შიში" ასე განცდილი და იმ ხატად დანახული, რომელსაც წარმოადგენს, რთულად პოულობს პარალელს და "მოლოდინიც" მხოლოდ მისია.

ქალბატონი ვანდა მიხსნის, რომ ალექს ბერდიშევი გამოფენიდან გამოფენამდე იზრდება, იცვლება, ვითარდება, ეს კი იმიტომ რომ არასდროს არის კმაყოფილი საკუთარი თავით. ვეთანხმები და თან მაგონდება ერთ-ერთი "არტ კავკასია", როცა ჯი-თი-სის ცენტრში, ძალიან დიდ აურზაურში, ძალიან დიდი დისტანციიდან მივხვდი, რომ რომელიღაცა კონკრეტულ დიდ სივრცეში ერთადერთი რაც კარგად უნდა მენახა აი, ის, სიღრმეში დაკიდული პლაკატები იყო და ამავე დისტანციაზე მივხვდი, რომ ეს ბერდიშევი იყო. ამიტომაც ჩავერთე რესპონდენტს და აღვნიშნე, რომ ამ ავტორის ნებისმიერი ნამუშევარი - გრაფიკა, ფერწერა თუ დიზაინი, სულ მცირე დეტალიც კი ყველგან ცნობადია. ამაშიც დამეთანხმნენ.

სხვათა შორის, თანხმობა და სოლიდარობა კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა ჩემსა და ჰობის თანამშრომლებს შორის, რაც ასევე მხატვრის ბრალია... თუმცა, მქონდა ისეთი კითხვებიც, რომლებზე პასუხიც მხოლოდ რესპონტენტმა იცოდა:

**- თქვენი რჩეული მხატვრები განსხვავდებიან. ბერდიშევის მხატვრობაში ათასგვარი მხატვრული გამოცდილების დანახვა შეიძლება, თქვენ რატომ მოგწონთ ის?**

**ვანდა მუჯირი:** "ალექსი საერთოდ სულ პირველი მხატვარია ვისი პერსონალურიც ჩემს გალერეაში გაიმართა. მაშინაც ძალიან კარგი მხატვარი იყო, თუმცა მას კარგად არ იცნობდნენ. მაშინ მხოლოდ გრაფიკაში მუშაობდა. იყო არააქტიური მხატვარი, თავისთვის მუშაობდა, არ იფინებოდა. მაშინ ცუდი პერიოდი იყო, ფიქრობდა, რომ არავის სჭირდებოდა ხელოვნება. მაგრამ ვაიძულეთ და პირველი ნაბიჯი გადაიდგა. მაშინვე კარგი რეზონანსი მივიღეთ. ამის მერე ძალიან ვთანამშრომლობთ მასთან. უკვე რამდენიმე წელია რაც ფერწერაში მუშაობა დაიწყო. ეს ის მხატვარია, რომელიც არაჩვეულებრივად მუშაობს ნებისმიერ ტექნიკაში. ძალიან კარგი დიზაინერია. ფოტოგრაფიაშიც ბრწყინვალეა.

საერთოდ, სიმართლე რომ გითხრათ, არ ვარ სიურეალიზმის მოყვარული. სრულიად არა. მაგრამ ეს ის მხატვრობაა, რომელშიც სიურეალიზმიც და სხვა ყველაფერიც ისეთი დოზით არის მოწოდებული, რომ მე არ მაწუხებს. პირიქით, მსიამოვნებს. ამის გარდა, მხატვარში მე უპირველესად ვაფასებ პიროვნებას და ალექსის პიროვნება ჩანს მის ნამუშევრებშიც. დადებითი და ძალიან საინტერესო პიროვნებაა, მე მსიამოვნებს მასთან თანამშრომლობა. საერთოდ იშვიათად ხდება, რომ კარგ მხატვართან იოლი იყოს მუშაობა, მასთან კი ძალიან ადვილია. ამას გარდა, მნიშვნელოვანია შინაგანი კულტურა, რომელიც მის ყველა ნამუშევარში აშკარაა. ზომიერება, გემოვნება, აზროვნება. შეიძლება ზოგიერთი ნამუშევრის თემატიკა პირადად ჩემთან არ იყოს ახლოს, მაგრამ საინტერესოა. მომწონს მისი ნამუშევრების ვიზუალური მხარეც, მისი ტექნიკაც. სერიოზული პროფესიონალია და ეს პროფესიონალიზმი ჩანს ყველაფერში, მის აზროვნებაში, მის ხელწერაში. არაფერს აკეთებს უაზროდ და ზედაპირულად. ხშირად ძალიან მოულოდნელი კომპოზიციები აქვს და ყოველთვის რაღაც ახალს გვთავაზობს. ფერწერა, რომელიც 4-5 წლის წინ დაიწყო უკვე სერიოზულ დონემდე აიყვანა."





ფერწერას დღეს ორგვარი განმარტება აქვს. ტრადიციულად - ფერით წერა, ანუ ფერით, ტონებითა და ნახევარტონებით თხზვა და მეორე, მხატვრობა, რომელშიც ფერი მონაწილეობს. ჩემთვის ბერდიშევის ფერწერა ძალიან გრაფიკულია და ამიტომაც მეორე მიმართულებას მივაკუთვნებ, თუმცა ხშირად იმდენად ინტენსიურია მისი ფერადოვანი ლაქები და სიბრტყეები, რთული ხდება ფერის სხვა რესურსებზე საუბარი.

■ ■ ■

**- დღეს გალერეაში ბევრი ხალხი მოვა, მაგრამ მერე, შემდეგ დღეებში?**

**ვანდა მუჯირი:** არის გამოფენები, რომელზეც ბევრი ხალხი მოდის თავიდან, მაგრამ შემდეგ არა. თუმცა არის იშვიათი შემთხვევები, როცა დამთვალიერებელი ბრუნდება, მოდიან და მოდიან. ბერდიშევს ყავს პუბლიკა. პუბლიკას მოწონს, იზიდავს და მათთვის მისაღებია მისი მხატვრობა. ობიექტურად მოწონთ. იციან, რომ კარგი მხატვარია, ერთ-ერთი სერიოზული მხატვარია მის თაობაში. ბევრს აქვს კოლექციებში. საზღვარგარეთ კიდევ უფრო ბევრი აქვთ. ესეც იცის საზოგადოებამ.

**- გალერეაში გაქვთ მუდმივი ექსპოზიცია და მიმდინარეობს მათი გამოფენა-გაყიდვა. ექსპოზიცია პერიოდულად ივსება. რას ყიდულობენ ?**

- გააჩნია მყიდველს. სხვადასხვანაირი მყიდველი არსებობს. პროფესიონალი კოლექციონერი, პერსპექტიულ მარცვალს ეძებს მხატვარში, ასეთები ცოტანი არიან. არის მყიდველი, რომელსაც უნდა რომ სახლი მორთოს. ასეთი ქალბატონები კედლის ფერს ურჩევენ ნამუშევარს. არის მყიდველი, რომელიც ხედავს სხვას რა უკიდია და მასაც უნდა. ეს არ არის ცუდი, პირიქით ძალიან კარგია. ასეთი მყიდველებისგან ჩვენ კოლექციონერები გაგვიზრდია. მათი გემოვნებაც ყალიბდება, არიან მყიდველები, ვისთვისაც მხოლოდ სახელი არაფერია. სიამოვნებთ და დამთავრდა. მოწონთ და ამის გამო ყიდულობენ. ასეთ ადამიანს სულ არ აინტერესებს ცნობილია ავტორი თუ არა. ასეთებიც ცოტანი არიან. უცხოელებს რაც შეეხებათ. ახლა ძალიან ცოტა უცხოელია საქართველოში. ყოველ შემთხვევაში, მათგან ერთეულებს აინტერესებთ და ერთებულები ერკვევიან ხელოვნებაში. დანარჩენებს სუვენირები სურთ მხოლოდ. თუმცა ახლაც ჩამოდიან გამონაკლისები. სულ ახლახანს საქართველოდან წავიდა კანადელი წყვილი, რომელმაც ასეულობით ნახატი გაიტანა საქართველოდან, - ძალიან სერიოზული კოლექცია.

**- არტბიზნესი საქართველოში - მას არ აღმოაჩნდა პერსპექტივა, თუ ჯერ ისევ ასათვისებელია?**

- პერსპექტივები აქვს, ასათვისებელია. სამწუხაროდ ტენდენციებია არახელსაყრელი. მოდაში შემოვიდა მეოცე საუუნის პირველი ნახევრის მხატვრობის შეგროვება. ამაზეა მოთხოვნა.

**- თუმცა ის უფრო ძვირია...**

- დიახ და თვლიან, რომ აჯობებს ძველი და ძვირიანი იყიდონ. თუმცა, ვინც უფრო ჭკვიანურად უდგება საკითხს, სულ სხვა არჩევანს აკეთებს. ახლა შეუძლიათ გაცილებით ხელმისაწვდომ ფასებში შეიძინონ ახალგაზრდა მხატვრების ძალიან კარგი ნამუშევრები და 10 წელიწადში გასაოცარი მოგება ჰქონდეთ.

■ ■ ■

ეს ბიზნესი ასათვისებელია! არის ტენდენციები! ტენდენციებს მართვა უნდა, დღეს თბილისში მხოლოდ 3-4 გალერეა მუშაობს, რომლებიც გარკვეულ პროცესებს ქმნიან. დანარჩენები მუშაობენ როგორც სალონები, ანდა როგორც სივრცე ხანმოკლე და გრძელვადიანი პროექტებისთვის. სახელოვნებო პროცესების წარმოება, არა მხოლოდ მონაწილეობა, განვითარებულ ქვეყნებში უტოლდება დიდ ბიზნეს და ეკონომიკურ პროცესებს. ის არანაკლებ რთულია, თუ უფრო რთული არა (იმის გამო, რომ სიზუსტე და გათვლები ეფემერულ სფეროში ათჯერ უფრო ძნელია). დღეს თბილისში მხატვრობის და კოლექციების სახით არსებობს გარკვეული კაპიტალი - ღირებულება, მაგრამ ის ჰაერშია, ვერ ხდება მისი განახლება და რაც მთავარია, არ არსებობს მყარი მექანიზმი, რომელიც ამ ღირებულებას გაამყარებს და განაახლებს სისტემას. იმისთვის რომ ეს მოხდეს სახელოვნებო "ინფრასტრუქტურაა" საჭირო და კიდევ პროფესიონალები ხელოვნების მენეჯერები, PR მენეჯერები და რაც მთავარია, კურატორები. ისინი ან არ არსებობენ (არ ვგულისხმობ მათ, ვინც ამ პროფესიებს იბრალებს), ანდა მათთვის ვერ შეიქმნა გარემო რომ ავანსცენაზე გამოჩნდნენ. სწორედ ამიტომაც საქართველოში, ქვეყანაში სადაც უთვალავი "კარგი" და "ნიჭიერი" ხელოვანია, თანამედროვე ხელოვნება ჯერ ვერ შედგა როგორც მყარი და მნიშვნელოვანი ცნება.

ამის მიუხედავად, თუნდაც გალერეა "ჰობის" აქვს თავისი პოლიტიკა, გეგმა და ის მუშაობს, რომ თუნდაც, ჯერ ისევ ჰაერში, მაგრამ დამიწების იმედით, ბევრი საინტერესო ექსპოზიცია შემოგვთავაზონ. ალექს ბერდიშევის გამოფენა დღეს 17 საათზე გაიხსნება.



# აფიშა

## 26 ნოემბერი

### თეატრი

**კოტე მარჯანიშვილის თეატრი**
თეატრი სხვენში
"ორნი საქანელაზე"
დასაწყისი: 20:00

**თავისუფალი თეატრი**
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 19.00

**მუსიკისა და დრამის თეატრი**
პანტომიმის თეატრის წარმოდგენა
"Stop Aids"
დასაწყისი: 19.00

### კინო

**რუსთაველი**
"2012"
დასაწყისი: 13.00; 16.00; 17.30; 19.00; 20.30; 22.00;
"გემრიელი ღრუბლები და მარმელადის წვიმა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00;
"ყველაფერი კარგად იქნება"
დასაწყისი: 12:15; 14:15; 20:15;
"თბილისური Love Story"
დასაწყისი: 20.15;
"კოკო შანელი"
დასაწყისი: 22.00;
"გაღმა ნაპირი"
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30;
"ჯაყოს ხიზნები"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 22.15;

**ამირანი**

"2012"
დასაწყისი: 12.20; 15.40; 19.00; 22.15;
"ახალი მთვარე"
დასაწყისი: 12.00; 15.00; 17.00; 20.00; 22.30

**საქართველო**

"მომღერალი თახვები"
დასაწყისი: 13.45
"ჭიანჭველის რისხვა"
დასაწყისი: 12.00
"გაღმა ნაპირი"
დასაწყისი: 15.30;
"2012"
დასაწყისი: 17.20; 20.40;

### გამოფენა

**ქარვასლა**
ცვალებადი სამყარო - დროის ანარეკლი
ფოტოგრაფია

**ტელესკოპი**
კერამიკა - თანამედროვე ქართველი კერამიკოსები

**ვერნისაჟი**
პეიზაჟი 2

**ბაია გალერეა**
ლანა გოცირიძის პერსონალური გამოფენა
"რელიეფები კალაში"

**ეროვნული არქივი**
"ექვთიმე თაყაიშვილი"
დოკუმენტური მასალა და ფოტოექსპოზიცია

**თიბისი ბანკის გალერეა**
ქეთევან დავლიანიძის გამოფენა
ფერწერა

**ვერნისაჟი**
ჯგუფ "ფერადი ნავის" გამოფენა
თორნიკე აბულაძე, ირაკლი ჩიქოვანი, ბექა სვირავა

# ნინო რამიშვილის საიუბილეოდ

## გამოფენა "ქართული ქორეოგრაფია" გრძელდება

თამარ კიკნაველიძე



ნინო რამიშვილის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად არაერთი ღონისძიება დაიგეგმა. "ქართული ნაციონალური ბალეტის" მოყვარულებს წინ ელოდებათ კონცერტები, რომლებიც 25-26 ნოემბერს, თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება და ცნობილი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნება. ანსამბლი მაყურებლის წინაშე განახლებული საკონცერტო პროგრამითა და სრული შემადგენლობით წარსდგება. ამის გარდა, შეგახსენებთ, რომ თბილისში უკვე გაიხსნა ნინო რამიშვილის სახელობის ქუჩა და 22 დეკემბრამდე გაგრძელდება გამოფენა, სახელწოდებით "ქართული ქორეოგრაფია" რომლის დათვალიერებაც საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში შეგიძლიათ.

ნინო რამიშვილის სახელთან დაკავშირებული ექსპოზიციის მოწყობის იდეა ზემოთ აღნიშნულ მუზეუმს (დირექტორი - გიორგი კალანდია) ეკუთვნის. მის ორგანიზებაში წვლილი შეიტანა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ, ასევე, ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა და უშუალოდ ნინო სუხიშვილმა, რომელმაც ბევრი რამ, მათ შორის, ფოტოები, კოსტიუმები, პირადი ნივთები, საოჯახო არქივიდან გამოიტანა და გამოფინა. თუმცა, ექსპონატების უმრავლესობა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის ფონდებშია დაცული. ფოტო-ნეგატივების განყოფილებიდან, მემორიალურ და ხელნაწერ ნიმუშთა, სახვითი ხელოვნების, საარქივო და ხელნაწერთა ფონდებიდან გამოამზეურეს მასალა, რომლებიც მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო. აქ ნახავთ ფოტოებს, რომელთა უმრავლესობა შავთეთრია და ნინო რამიშვილის პიროვნების სიძლიერეს წარმოაჩენს, მათზე ქორეოგრაფი აღბეჭდილია ცეკვისას და რეპეტიციისას. აქვეა ექსპონირებული პორტრეტები, რომლებიც მას სხვადასხვა ასაკში გადაუღეს. საინტერესოა ჯგუფური პორტრეტები, სადაც ნინო რამიშვილი ილიკო სუხიშვილის, სოლიკო ვირსალაძის, პელეს, ივ მონტანის, სიმონე სინიორეს, ჯორჯ ბალანჩინის, ჯავახალარ ნერუსა და სხვათა გვერდით არის გადაღებული.



ექსპონირებულ ნამუშევართაგან, განსაკუთრებულია კოსტიუმები, რომლებსაც ნინო რამიშვილი ატარებდა. თერთმეტიდან სამი საღამოს კაბაა, დანარჩენი კი მას სხვადასხვა ცეკვის შესრულებისას ეცვა. კოსტიუმები დამზადებულია ფარჩისგან, შიფონისგან, ატლასისგან, ძვირფასი ქვებისგან, მძივებისგან, ოქრომკედისგან... ისინი სოლიკო ვირსალაძის ესკიზების მიხედვით არის შექმნილი, ძირითადად, ქაღალდზე, გუაშითა და ოქროსფერი ბრინჯაოთი. ესკიზები კოსტიუმების გვერდით არის ექსპონირებული და დამთვალიერებელს მათი ერთად ნახვის საშუალება ეძლევა. მათში კარგად ჩანს მხატვრის პროფესიონალიზმი და გემოვნება. ისინი დახვეწილია, მრავალფეროვანი, მოსახერხებელი და ამასთან, თანამედროვე, უპირველესად ფორმით. ესკიზებს შორის ერთი - "ქართული კაბის ესკიზი" - უცნობ ინგლისელ მხატვარს ეკუთვნის.

ნინო რამიშვილის საოჯახო არქივში დაცული ნივთები საექსპოზიციო მაგიდაშია წარმოდგენილი. მათ შორის აღმოაჩენთ მის ქუდს, ხელთათმანებს, მარაოს, ყელსაბამს, ბანქოს, რომელსაც, როგორც ამბობენ, სულ ჩანთით ატარებდა და მუდმივად პასიანსებს შლიდა, დაღესტნური ვერცხლის ქამარს და ა.შ.

სახვითი ხელოვნების ფონდიდან არის გამოფენილი ნინო რამიშვილის 5 ფერწერული პორტრეტი, რომელთაგან 3 შესრულებულია ცნობილი ქართველი მხატვრის - ქეთევან მაღალაშვილის მიერ და ისინი საზოგადოებისთვის ცნობილია. დანარჩენი ორის ავტორები არიან: ცისია შანშიაშვილი და ნათელა ფალავანდიშვილი. ამის გარდა, საშუალება გეძლევათ ეკრანზე თვალი ადევნოთ კადრებს ფილმებიდან "რეპეტიცია" (რეჟისორი - მერაბ გვანცელაძე) და "მსოფლიო ტაშს უკრავს" (რეჟისორი - გიორგი ასათიანი).

საიუბილეოდ ორგანიზებული გამოფენის დათვალიერებისას, საგამოფენო პროგრამების ხელმძღვანელისგან, ლელო ჭიჭინაძისგან შევიტყვეთ, რომ მუზეუმში, კომპანია "ჯეოსელის" მხარდაჭერით, გაიხსნა ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია რარიტეტები, არაერთი საინტერესო გამოცემა, პიესები და სამეცნიერო ლიტერატურაც კი... იქ სასიმოვნო გარემოა. მკითხველს შეუძლია ბიბლიოთეკის მომსახურებით ერთჯერადადაც ისარგებლოს, 5 ლარის გადახდის შემთხვევაში კი მიიღებს აბონიმენტს, რომელიც მას ბიბლიოთეკაში ერთთვიანი მუშაობის საშუალებას მისცემს. აღსანიშნავია, რომ "ჯეოსელმა" რესტავრაცია გაუკეთა იმ ნივთებს, რომლებიც ბიბლიოთეკაშია. მათ შორისაა, მაგალითად აგრაფინა ჯაფარიძისა და გრაფ კონსტანტინე ოლდენბურგის სასახლის ნივთები, ანდრია დადიანის მაგიდა და სხვა.

რაც შეეება საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის მდგომარეობას, ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ ითქვა და მოეწყო პრესკონფერენციები. მისი ძირითადი ნაწილი, რომელიც 1895 წელს აიგო, ავარიულია და ზამთარში აღარ ფუნქციონირებს. მუზეუმის წარმომადგენლები დღემდე არ კარგავენ იმედს, რომ მერია მათ მუზეუმის შენობის შენარჩუნებაში დაეხმარება. იმ ნაწილში კი, რომელიც მუზეუმს ბერიას დროს მიუშენეს, მდგომარეობა უკეთესია და სწორედ იქ არის გახსნილი საგამოფენო დარბაზი, რომლის კარიც დამთვალიერებლისთვის ღიაა 11-დან 17 საათამდე, ექსპოზიციის ნახვა ღირს: 1.50 ლარი, სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის - 1 ლარი.

# ბათუმის თეატრში საპრემიერო სამზადისია

27, 28 ნოემბერს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში პრემიერა გაიმართება.

პიესა, სახელწოდებით ძბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით", დრამატურგმა ირაკლი სამსონაძემ და რეჟისორმა გიორგი თავაძემ ერთობლივად შექმნეს.

კომიკური იგავი ერთ მოქმედებად, რომელსაც რეჟისორი გიორგი თავაძე მაყურებელს სთავაზობს, ქართველი საზოგადოებისთვის სიურპრიზია, რომლის გამხელას რეჟისორი შემოქმედებით გუნდთან ერთად პრემიერამდე არ აპირებს. სპექტაკლი ერთგვარად ეხმიანება რუსეთის აგრესიას და ქართველების ხასიათის ისეთ თვისებებზე მიანიშნებს, რომელიც ტრაგიკომიკურ ელფერს ატარებს.




წარმოდგენის სცენოგრაფია რუსთაველის თეატრის მხატვარი თემურ ნინუა, ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე, მუსიკალური გამფორმებელი - თენგიზ შამილაძე.

სპექტაკლში მონაწილეობენ: კახა კობალაძე, ეკა ჩავლეიშვილი, მამუკა მანჯგალაძე, ოთარ ქათამაძე, თეონა შამილაძე, ქეთევან ეგუტიძე, ლევან თედორაძე და შორენა მამრიკიშვილი.

# კინგი "ნათების" გაგრძელებას წერს

## დენი ტორანსი მომაკვდავი პაციენტების გარემოცვაში

ია ვეკუა

როდესაც ცნობილი ნაწარმოების კარგ ეკრანიზაციაზე მიდგება საუბარი, თემა საკმაოდ მალე ამოიწურება ხოლმე. მიზეზი მარტივია, ძალიან იშვიათია შემთხვევა, როდესაც კინოვერსია ორიგინალს უტოლდება, მეტიც, ჯობს კიდეც. ასეთთა შორისაა სტენლი კუბრიკის "ნათება", სტივენ კინგის ნაწარმოების ეკრანიზაცია, ამ უკანასკნელმა კი უკვე ოფიციალურად დაადასტურა, რომ უახლოეს მომავალში მკითხველი მისი ცნობილი რომანის გაგრძელებას იხილავს.

ამის შესახებ სტივენ კინგმა თაყვანისმცემლებთან შეხვედრისას განაცხადა და არც მომავალი წიგნის სათაურის გამხელას მორიდებია წიგნს "ექიმი ძილი" (Doctor Sleep) ერქმევა, ხოლო მთავარი გმირი დენი ტორანსი, "ნათების" ერთ-ერთი მთავარი გმირი ბიჭუნა იქნება. "მართალია, "ნათებაში" დენისთვის ყველაფერი კარგად დასრულდა და ის მანიაკი მამის ხელით სიკვდილს გადაურჩა, შეუძლებელია, ამ მოვლენებს მის ცხოვრებაში მორალური ტრავმის სახით რაღაც კვალი არ დაეტოვებინა. ამასთან, დენი უდიდეს ნიჭს ფლობს, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც შეახსენებდა თავს და მის ცხოვრებას კიდევ ერთხელ განსაკუთრებულ ელფერს შესძენდა", - ასე ხსნის ცნობილი ფრანჩიზის გაგძელების აუცილებლობას კინგი.

"ექიმ ძილში" დენი 40 წლის მამაკაცია. იგი უიმედოდ დაავადებულთა ჰოსპიტალში სანიტრად მუშაობს და შესაბამისად სიკვდილის პირას მყოფი პაციენტების გარემოცვაში ტრიალებს. უნიკალური მისტიკური ნიჭის დახმარებით კი დენიმ ისინი სიკვდილთან შესახვედრად უნდა მოამზადოს.



რაც შეეხება "ნათებას", იგი სტივენ კინგმა 1977 წელს გამოსცა და პრაქტიკულად მაშინვე ბესტსელერად იქცა. ამ დროისთვის კინგი უკვე პოპულარული ავტორი იყო, გამოცემული ჰქონდა "კერი", რომელიც მისი კარიერის საწყისად და ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად მიიჩნევა, თუმცა "ნათებამ" მისი პოზიციები სამუდამოდ გაამყარა.

წიგნის სახელწოდება კინგმა ჯონ ლენონის სიმღერის, Instant Karma-ს სიტყვებიდან - We all shine on-დან აიღო. თავად ნაწარმოები კი "გოთური სასპენსის" ჟანრს განეკუთვნება, რომელ განსაზღვრებასაც ასევე ატარებენ ედგარ ალან პოს "აშერთა სახლის დაცემა" და შირლი ჯექსონის "ბორცვის სახლის მოჩვენება". საინტერესოა, რომ კინგი ნაწარმოების რამდენიმე ადგილას საკმაოდ მყარად განიხილავს ალკოჰოლიზმის პრობლემას, რადგან მთავარი პერსონაჟი ჯეკ ტორანსი ხშირად სვამს და როგორც იკვევა ხანდახან ცოლშვილს ფიზიკურადაც უსწორდება.

ცხადია, აღნიშნული ნაწარმოები დღემდე ასეთი პოპულარული ვერ იქნებოდა, რომ არა სტენლი კუბრიკისეული ეკრანიზაცია, რომელმაც სასპენსის ჟანრი სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანა. ფილმში ბევრი რამაა შეცვლილი და დამატებული (შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესო მომენტები). მაგალითად, ფილმის საფინალო სცენა ლაბირინთში ვითარდება, წიგნში კი ჯეკ ტორანსი აფეთქების შედეგად იღუპება, გაყინულ ქალს და ბიჭუნას კი შავკანიანი მზარეული გადაარჩენს, რომელიც კუბრიკთან ნიკოლსონის პერსონაჟის ხელით კვდება. "ნათებაში" ნაჩვენები ლაბირინთი კი ნატურალური ზომისაა და კინოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ დეკორაციად მიიჩნევა.

ფილმის შექმნის ისტორია და ცალკეული დეტალები არა ნაკლებ საინტერესოა, ვიდრე თავად ნაწარმოები ან მისი ეკრანიზაცია. სტივენ კინგი გადაღებებში ძალიან აქტიურად ერეოდა, რის გამოც კუბრიკთან მუდმივად კამათი მოსდიოდა. მაგალითად, მას სურდა, რომ ჯეკ ტორანსის როლი ჯონ ვოიტს შეესრულებინა. ასევა მიიჩნევდა, რომ უენდის როლს ქერა და სულელური გარეგნობის ქალი უფრო მოუხდებოდა, რომელსაც სახეზე ეწერებოდა, რომ ცხოვრებისეულ განსაცდელს პირველად შეეჯახა. სხვათა შორის, უენდის როლზე საკუთარი კანდიდატურა ჰყავდა ნიკოლსონსაც - ჯესიკა ლანჟი, რომელთანაც იმ პერიოდში ბობ რაფელსონის ფილმზე "ფოსტალიონი ყოველთვის ორჯერ რეკავს" მუშაობდა. რაც შეეხება თავად ნიკოლსონს, პირველი და ერთადერთი კანდიდატურა ჯეკ ტორანსის როლზე არც ის ყოფილა. როგორც მოგვიანებით სტენლი კუბრიკი იხსენებდა, იგი აღფრთოვანებული იყო მარტინ სკორსეზეს ფილმების ვარსკვლავ რობერტ დე ნიროს თამაშით (ამ დროისთვის უკვე გამოსული იყო "ტაქსისტი", "ცოფიანი ხარი", "ნიუ იორკი, ნიუ იორკი"). ასევე ძალიან მოსწონდა რობინ უილიამსი, რომელიც იმ პერიოდში სერიალ "მორკი და მინდიში" თამაშობდა, თუმცა საბოლოოდ ფილმში არც ერთი მათგანი არ მოხვდა.

გადაღებებზე განსაკუთრებული გარემო იყო შექმნილი. გადამღები ჯგუფის შესაბამის ფსიქოლოგიურ მდგომარეობამდე მიყვანის მიზნით კუბრიკმა ყველას დევიდ ლინჩის "საშლელისთავა" ანახა. განსაკუთრებული წნეხის ქვეშ იყო უენდის როლის შემსრულებელი შელი დიუვალი. იმისთვის, რომ მსახიობი სრულ სასოწარკვეთამდე მიეყვანა, კუბრიკმა მთელ გადამღებ ჯგუფს მასთან წესიერი ურთიერთობა, შექება, თბილი სიტყვები აუკრძალა. გარდა ამისა, ხშირად უყვიროდა და უხეირო თამაშისთვის ლანძღავდა. შედეგმა კი მეთოდი ნამდვილად გაამართლა დიუვალის პერსონაჟი ნამდვილად ისტერიკის უმაღლეს მწვერვალზეა ასული. დიდებულ სამსახიობო თამაშს ემატება სისხლის გამყინავი მუსიკა, სასტუმრო "ოველოკის" მკაცრი და ცივი არქიტექტურა, მათემატიკური სიზუსტით გათვლილი კადრები და შედეგად ვიღებთ ფილმს, რომელსაც მართალია ერთი კინოჯილდოც კი არ აქვს (!), მაგრამ ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო სასპენსად და ეკრანიზაციად მიიჩნევა.

# დაშლილები და სასურველები

## "აბბას" აღდგენა მსმენელის 25%-ს სურს

ჩვენ ყველას გვყავს საყვარელი შემსრულებლები და ჯგუფები, რომელთა ცოცხალ კონცერტსაც ალბათ სიამოვნებით დავესწრებოდით, თუმცა სამწუხაროდ, მათი უმეტესობა აღარ არსებობს ჯგუფები იშლება, მუსიკოსები კვდებიან და ასე შემდეგ. სწორედ ამ შემთხვევას ეხმიანებოდა ბრიტანეთის ერთ-ერთი მუსიკალური არხის მიერ ჩატარებული გამოკითხვა, რომელსაც უნდა გამოევლინა, ყველაზე მეტად რომელი ჯგუფის აღდგენა სურს მსმენელს. აღმოჩნდა, რომ შვედური "აბბა" ამ მხრივ ყველაზე სასურველია.

გამოკითხულთა 25% პირდაპირ ოცნებობს ან ჯგუფი აღდგეს და ერთი კონცერტი მაინც ჩაატაროს ან ვინმემ დროის მანქანა გამოიგონოს და 70-იანი წლების ევროპაში გადაისროლოს. "აბბას" ისტორია სწორედ ამ პერიოდიდან იწყება. სხვადასხვა ადგილობრივი ჯგუფის ცალკეული წევრებისგან შემდგარი კვარტეტის შესახებ შვედეთმა და შესაბამისად მსოფლიომაც 1974 წელს გაიგო, როდესაც ჯგუფის პირველი ჰიტი "ვატერლოო" ჩაიწერა და რომლითაც შვედეთი "ევროვიზიის" სიმღერის კონკურსზე მონაწილეობდა. მაშინ ხმის მიცემის პროცედურა რამდენადმე განსხვავებული იყო, "ვატერლოომ" 15 მონაწილე ქვეყნისგან 24 ქულა მიიღო და კონკურსის უპირობო ფავორიტად იქცა. ამის



შემდეგ ჯგუფის წევრთა სახელებისგან მიღებული აბრევიატურა მსოფლიოში შვედეთის მეფეზე პოპულარულიც კი გახდა. მათი პრაქტიკულად ყველა სიმღერა ჰიტ აღლუმების სათავეში ხვდებოდა, ისმოდა ქუჩაში, წვეულებებზე, ტელევიზიით, რადიოთი. ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, რომ "აბბას" აღდგენა მსმენელს ასე ძალიან სურს.

13%-ით მეორე ადგილზეა სტინგის ძველი ჯგუფი "პოლისი". მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის დაშლის შესახებ ოფიციალური განცხადება არასდროს გაკეთებულა, ფაქტია, რომ მუსიკოსებმა ოფიციალურად მოღვაწეობა 1986 წელს შეწყვიტეს. მნიშვნელოვანი რამ მოხდა 2007 წელს, როდესაც "პოლისი" "გრემის" დაჯილდოების ცერემონიალზე გამოვიდა და რამდენიმე ძველი ჰიტი შეასრულა. სწორედ მაშინ გაკეთდა განცხადება, თითქოს ჯგუფი მსოფლიო ტურნეს გეგმავდა, თუმცა თაყვანისმცემლები კონცერტებს დღემდე ამაოდ ელიან და სწორედ ამიტომაც ოცნებობენ.

"პინკ ფლოიდის" აღდგენა და მის კონცერტზე წასვლა გამოკითხულთა 11%-ს სურს. ოფიციალურად ჯგუფი 1985 წელს დაიშალა, თუმცა დროდადრო ცალკეულ კონცერტებს მაინც მართავენ. ჯგუფის წევრები უფრო სოლო კარიერით არიან დაკავებული და ძველ დიდებას ასე იხსენებენ ხოლმე. "პინკ ფლოიდს" ერთი პროცენტით ჩამორჩება "ოაზისი", რომელმაც ოფიციალურად არსებობა მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს შეწყვიტა, მაგრამ როგორც ჩანს მსმენელს ისე ჰყვარებია, რომ უკვე მონატრებულის კატეგორიაში გადავიდა. 90-იანი წლების ბრიტ პოპის უპირობო ლიდერმა ნამდვილად დატოვა საკუთარი კვალი თანამედროვე მუსიკაში, თუმცა იმდენი ძალა და შესაძლებლობა არ ეყო, რომ ლეგენდად ქცეულიყო.

თაყვანისმცემლები დღემდე ჰყოლია "სპაის გერლზსაც" გოგონების კვინტეტს, რომელმაც 90-იანი წლების დასაწყისში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა და პოპ მუსიკის მწვერვალზეც აღმოჩნდა. თუმცა შედეგი ყოველთვის არ ნიშნავს ხარისხს. გოგონები ჩაცხრნენ და დაიშალნენ. ორი წლის წინ "სპაისებმა" კიდევ ერთხელ მოინდომეს ფანების აფორიაქება და მსოფლიო ტურნე წამოიწყეს, თუმცა ეს იმდენად უხეიროდ გააკეთეს, რომ ტურნე შუა გზაზე შეწყვიტეს და შინ ქმარ-შვილს დაუბრუნდნენ.

ყოველ ხუთშაბათს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და "24 საათის" ერთობლივი პროექტი

**ხელნაწერები**



# უძველესი ქართული მოხატული ხელნაწერი ჯრუჭის I ოთხთავი

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერებიდან ჯრუჭის მეათე საუკუნის ოთხთავი უძველესი ქართული მოხატული ხელნაწერია ჯრუჭის მონასტერში დაცული კოდექსი თბილისში ექვთიმე თაყაიშვილმა 1919 წელს ჩამოიტანა.

შატბერდის მონასტერში ოთხთავი 936 წელს, გრიგოლ მირდატის ძის დაკვეთით გადაუნუსხავთ, "დაიწერა წმიდა ესე სახარება შატბერდს, ელითა უცბად მჩხრეკალისა გაბრიელისითა."

იმ დროის გემოვნებისა და მოთხოვნის შესაბამისად სადა, მოურთავი ტექსტის სილამაზეს მხოლოდ მონოქრომული ასომთავრული განსაზღვრავს.

გადაწერიდან ოთხი წლის შემდეგ, 940 წელს, ხელნაწერი მინიატურებით მოუხატავთ. მხატვარ თევდორეს, რომელიც თავს "კამარათა მწერალს" უწოდებს სახელი დაფარულად, სარკისებრ წაუწერია საწყის გვერდზე.

ჯრუჭის ოთხთავი ტაო-კლარჯეთის მხატვრული სკოლის ნიმუშია. როგორც ჩანს, ამ მხარეში ადრეული პერიოდიდან არსებობდა ხელნაწერი წიგნისა და მათ შორის, ოთხთავის, მხატვრული გაფორმების ტრადიციაც.

მე-9-10 საუკუნეების ხელნაწერებში მინიატურები ტექსტის წინ, ცალკე რვეულში იყო თავმოყრილი. ჯრუჭის მხატვარი იმ დროისათვის ინოვაციურ, განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს: ოთხთავის მხატვრული სახე, მორთულობის განაწილება ამ შემთხვევაში მინიატურათა შესაბამის ადგილზე ჩართვას გულისხმობს. შემხვედრ ფურცლებზე, მახარებელთა ცალკეულ ფიგურებთან ერთად, ხელნაწერის დეკორის გამდიდრების მიზნით, სიუჟეტიდან აღებული ცალკეული სცენებიც ჩნდება: წმინდა მათესთან - ჩვილედი ღმრთისმშობლის გამოსახულება, წმინდა მარკოზთან - ბრმის, წმინდა ლუკასთან - ეშმაკეულის, წმინდა იოანესთან კი განრღვეულის განკურნება.

გაფორმების ტრადიციული ელემენტები - კვადრიფოლიუმი და კამარები - კი კვლავ ტექსტის წინაა წამძღვარებული.

სატიტულო კომპოზიცია ოთხყურა ჯვარი ე.წ. კვადრიფოლიუმი ეტრატის ბუნებრივ ფონზე მოწითალო-მოყვითალო ფერთა შეწყვილებული ზოლით იკვრება.

კამარები კი, სახარების წინ თავსდება და მდიდრულად დეკორირებული ხელნაწერის ფურცლებს ქმნიან. კესარიის ეპისკოპოსის ევსებიოსის (260-340 წწ.) სახელთან გაიგივებული საინდექსო სისტემა აწესრიგებდა ოთხთავის ოთხ კანონიკურ ტექსტში თანხვედრილი ადგილების დადგენას ლიტურგიკული წლის განმავლობაში.

რვა გვერდზე განაწილებული კამარების ნახევარწრიული და ნალისებრი თაღები მაღალ ბურჯებზეა გადატყორცნილი. მხატვარი ერთმანეთის გვერდით თამამად იყენებს როგორც იონიური, ასევე კორინთული ორდერის მარმარილოსებრ დაფერილი სვეტების იმიტაციას, აკანთის ფოთლის ორნამენტს. ქართული ხელნაწერი ამ გვიანანტიკურ ტრადიციათა გამომხატველ მოტივთა სიუხვით ქრისტიანული აღმოსავლეთის სამყაროსთან კავშირს ავლენს. ანტიკურობიდან მომდინარეობს მახარებელთა ტრიუმფალური თაღის ნიჟარისებრი ზედანიც.

განკურნების სცენათა მოკლე იკონოგრაფიული ვერსია გამორიცხავს თხრობით მხარეს; მინიატურები აღიქმება არა როგორც მოვლენა, არამედ როგორც სახარების, მისი მთავარი იდეის, ღვთაებრივი ძალის გამომხატველი.

ანტიკური ხანის არქიტექტურული დეკორი, მაცხოვრის ახალგაზრდა, უწვერული სახე, კომპოზიციების ლაკონიური სქემა, მახარებელთა ხელის მტევნის გადიდებული, ექსპრესიული ფორმა ადრექრისტიანული ხანის იკონოგრაფიასთან სიახლოვეს გვიმჟღავნებს.

საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ოთხთავის განკურნების სასწაულთაგან ორი - განრღვეულისა და ბრმის კომპოზიციები - ლიტურგიკული ხასიათისაა და აღდგომიდან სულიწმიდის მოფენამდე განკუთვნილ საეკლესიო საკითხავებშია ჩართული.

ჯრუჭის ოთხთავის მხატვარი უპირველეს ყოვლისა ნახატის ოსტატობითა და არტისტიზმით გამოირჩევა; მას თავისუფლად გამოჰყავს სხეულის მოხაზულობა, რთული რაკურსები, სამოსის მრავალრიცხოვან ნაკეცთა რთული დინება. მისი ფერადოვანი გამაც თავისებურია: დაუფერავ ეტრატზე გამჭვირვალე, აკვარელისებრი საღებავი თხელ ფენადაა დადებული. ოქროსა და ყავისფერის შეხამებით კი მეტად გამომსახველ, ექსპრესიულ სცენებს ქმნის.

მინიატურათა მხატვრულ-სტილური ერთიანობა, კონტურის ხაზის, ნახატის უპირატესობა ჯრუჭის ოთხთავის დასურათებაში მთელი სიცხადით გამოვლინდა.

*ნინო ქავთარია*

*ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

26 ნოემბერი, ხუთშაბათი, 2009 წელი. №258 24 საათი

# ასეთი ნანატრი "ცივი ომი"

პირველი გვერდიდან

რუსული გაგებით ევროპა, უპირველეს ყოვლისა, ზნედაცემული სამყაროა. ამიტომ, თუ ევროპის გადარჩენა ვინმეს შეუძლია, ეს მხოლოდ რუსეთია, თავისი "მაღალი ზნეობითა" და "ჭეშმარიტი მართლმადიდებლური რწმენით". აქვე მინდა აღვნიშნო, დღევანდელმა რუსმა იდეოლოგებმა ამოქექეს ნაფტალინიანი იდეა: მოსკოვი - მესამე რომი. ზუსტად ერთი საუკუნის წინ, 1910 წელს გამოვიდა ეპისკოპოს კირიონის - შემდგომ 1918 წელს, მუხანათურად მოკლული, საქართველოს კათალიკოს პატრიარქის კირიონ II-ის - წიგნი: "ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში" (მეორე გამოცემა 2005 წელს), სადაც მან მეცნიერულად გააცამტვერა რუსეთის ეს მანიაკალური იდეა. ეს "ფიქცია", ავტორის განმარტებით, დამყარებულია შეთხზულ ლეგენდებზე და ელემენტალურად ყალბ სიგელზე. რუსეთის პირველმა მეფემ იოანე მრისხანემ 1561 წელს ეს სიგელი ქრთამით შეიძინა, სადაც ხელმოწერებიც გაყალბებულია და ტექსტიც ჩამატებულია. იქვე ავტორი მიუთითებს, რომ ევროპამ რუსეთი ლამის ამერიკასთან ერთად აღმოაჩინა. ამიტომაც, ბიზანტიასთან "მიტმასნება" რუსულ სახელმწიფოს და მის პირველ მეფეს სათანადო ევროპულ "წონას" მატებდა. ასე "იწერებოდა"(!!!) რუსული ისტორია.

ევროპის პოლიტკორექტულობას დაემატა მისი პრაგმატული ინტერესები, რუსეთის მძლავრი "დემოკრატიული" PR-კომპანიები და კიდევ ბევრი სხვა ფაქტორი, რის შედეგადაც მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. რუსეთს "ეპატია" ჩეჩნეთი, ბესლანი, "ნორდ-ოსტი", მოკლული ჟურნალისტები და უამრავი მსხვერპლი კავკასიაში, სადაც მსხვერპლის რაოდენობა დღითიდღე მატულობს. საქართველოს "პატიება" უკვე შეუძლებელია, მაგრამ აქ, მოდით, კარგად გავერკვეთ.

რას ველოდებით ევროპისგან? ხმლით ევროპა მაშინაც არ გვიცავდა, როდესაც ეს იარაღი მთავარი იყო პოლიტიკაში, ახლა - მითუმეტეს. ყველამ კარგად გაიაზრა - ევროპა არ იომებს. პირიქით, ყველაფერს ილონებს, რომ ომი არ დაუშვას. მიუხედავად ასეთი ევროპული "მუხანათობისა", დღევანდელი ევროპა ისეთია, როგორიც საჭიროა მშვიდობის შესანარჩუნებლად. ცივილიზაცია ველარ დაუშვებს რუსეთთან დაპირისპირებას. "ცივი ომი" რუსეთისთვის სანატრელია. ასეთ პირობებში რუსეთის სტატუსი საგრძნობლად გაიზრდება. დასავლეთის მხრიდან ნებისმიერი სახის სამხედრო დაპირისპირება რუსეთის ძალის აღიარება იქნება. ეს რუსეთს საშუალებას მისცემს, ქვეყნის შიგნით შექმნას დიდი მტრის ხატი, რითაც მოახდენს რუსეთის ხალხების კონსოლიდაციასა და იმპერიის სიცოცხლის გახანგრძლივებას. რუსეთისთვის მისი ძალის "უგულვებელყოფა" ყველაზე საშინელი სასჯელია. კი, რუსეთი დიდია, სამხედრო პოტენციალი ჯერ კიდევ გააჩნია, მაგრამ ცივილიზებულ მსოფლიოსთან შედარებით მისი ძალა საგრძნობლად ნაკლებია; სათანადოდ, შესაძლოა რუსული ძალის "იგნორირების" პოლიტიკა. ამიტომაც არანაირი ომი, გარდა კონკურენტულისა, რუსეთს აღარ ექნება. ნიუტონის კანონის თანახმად, ძალა უდრის უკუძალას. უკუძალა რომ არ წარმოიშვას, ძალა არ უნდა იყოს. ამიტომაც ეს დაპირისპირება გადადის ეკონომიკურ ფაზაში. რუსეთის არათავისუფალ ეკონომიკას ელის სასტიკი კონკურენტული ბრძოლა. ასეთი "უსისხლო" ბრძოლა კი სულ სხვა განზომილებაა. ეს იქნება უახლეს ისტორიაში რუსეთის მესამე ეკონომიკური შერკინება ცივილიზაციასთან. პირველი დაიწყო ხრუშჩოვის "დათბობის" პერიოდში, რასაც წინ უძღოდა "კარიბის კრიზისი". მაშინ საბჭოეთის დევიზი იყო: "დავეწიოთ და გავუსწროთ". მეორე იყო გორბაჩოვის "პერესტროიკა", ავღანეთის ომის ფონზე. და ახლა, საქართველოსთან ომის შემდეგ, მსოფლიო დგას რუსეთის "ახალი პერესტროიკის", ან "მოდერნიზაციის" ზღურბლზე. ყველა ეს კრიზისები და ომები ნათლად აჩვენებდა რუსული ეკონომიკის არაკონკურენტუნარიანობას და უსუსურობას.

"ქალბატონი" ევროპა მრავალფეროვანია. კონსენსუალური სისტემა ევროპის საქმიანობას ძალიან ტლანქს ხდის. ამას ემატება წამყვანი ქვეყნების - გერმანიისა და საფრანგეთის "გენეტიკური მეხსიერება". იტალია სულიერად საკმაოდ ახლოსაა რუსეთთან. რა გასაკვირია, მეორე მსოფლიო ომამდე იტალია ჩვეულებრივი "აგრარულ-ფეოდალური" სახელმწიფო იყო. ახალი შეთანხმებით, ევროპას თავისი პრეზიდენტი ჰყავს. ეს უდავოდ პროგრესული და იმედისმომცემი ნაბიჯია ევროპისთვის. ოპერატიული მმართველობა უეჭველად უფრო დინამიკური გახდება, მაგრამ ევროპის პრაგმატული ინტერესები არ შეიცვლება. შვედეთმა რუსეთს "ჩრდილოეთის ნაკადის" მშენებლობაზე თანხმობა მისცა. "სამხრეთის ნაკადიც" გაგრძელდება. უფრო მეტიც, ევროკავშირი მზადაა, დაეხმაროს რუსეთს ეკონომიკის "მოდერნიზაციაში". მაგრამ ამის "საფასურად" ნაბუკოც ამუშავდება და აღმოსავლეთ ევროპისკენ, და სათანადოდ, ჩვენსკენაც მაქსიმალური ყურადღება იქნება მომართული. ევროპის პოლიტკორექტულობა იმითაა კარგი, რომ ის თანაბრად აფასებს ყველას საკუთარი სტანდარტების მიხედვით. სათანადოდ ევროსტანდარტებთან მიახლოვებულ ქვეყანას მხარდაჭერის უფრო მეტი გარანტია აქვს. დღევანდელი რუსული დემოკრატიის "ველი" მთლიანად "ასფალტირებულია". სანამ რუსეთის ფედერაციის შემადგენელი სუბიექტები არ იქნებიან დამოუკიდებლები, მანამდე ამ ქვეყნების ხალხები ვერ დაიწყებენ დემოკრატიის მშენებლობას. მათი დამოუკიდებლობა კი შესაძლოა ორივე შემთხვევაში: იქნება ეკონომიკის დეცენტრალიზაცია, თუ არა. უბრალოდ, პირველ შემთხვევაში ეს პროცესი ნაკლებად მტკივნეული იქნება. "რომ გავერთიანდეთ, უნდა გავიმიჯნოთ," - ნათქვამია სახარებაში. რუსეთის ხალხებიც, შესაძლოა, შემდეგ გაერთიანდნენ ევროკავშირის მაგვარად, მაგრამ მანამდე რთული და ძალიან მძიმე გზა ექნებათ გასავლელი. არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ რუსეთის დემონტაჟმა უსისხლოდ ჩაიაროს, ამიტომაც დასავლური პოლიტიკა უპირველესად გამიზნულია ომისა და აგრესიების თავიდან ასაცილებლად. რუსეთი მაქსიმალურად უნდა დაუახლოვდეს ცივილიზებული ქვეყნების ეკონომიკას. ამ შემთხვევაში რუსეთი იძულებული იქნება, თავისი ეკონომიკა მოიყვანოს ცივილიზებულ სტანდარტებში. მაგალითად: **რუსეთის გაერთიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რუსული ბანკებისთვის და ბიზნესისთვის ნამდვილი კოშმარი იქნებოდა.** თავის დროზე, რუსეთის ბანკების ასოციაციამ მთავრობას თხოვნით მიმართა, რომ ამ ორგანიზაციაში შესვლისას, როგორმე რუსული ბანკების ინტერესები დაეცვათ. რუსეთმა ევროპისკენ "ფანჯარა" კი არა, "ალაყაფის ჭიშკარი" უნდა გახსნას. რა თქმა უნდა, იმპერიამ იცის, რომ დემოკრატია და თავისუფალი, დეცენტრალიზებული ეკონომიკა მისთვის დამღუპველია. რუსული ბიზნესი მთლიანად ადმინისტრირებულია და მას დასავლური ბიზნესის კონკურენციის უნარი არ გააჩნია. ამიტომაც ცდილობს, საქართველოს "დაჩოქებით" ევროპისა და მისი ფასეულობებების გზების გადაკეტვას. რუსი იდეოლოგები, სრული სერიოზულობით უნერგავენ მოსახლეობას, რომ ლიბერალური ფასეულობები დამღუპველია "რუსი მუჟიკისთვის". გამოთქმაცაა ასეთი: "რაც კარგია გერმანელისთვის, რუსისთვის სიკვდილია". პრინციპში ეს სიმართლეა, იმ შემთხვევაში, თუ "მუჟიკობაა" მთავარი. ცივილიზებულობა კი მამაკაცობაა, და არა "მუჟიკობა". რა არის დღევანდელი ცივილიზებული სტანდარტების დედააზრი? ბევრს საუბრობენ თავისუფალ ბაზარზე, ლიბერალურ ფასეულობებზე, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ვიტყოდი, რომ ეს არის პატივისცემა, პატივისცემა და კიდევ ერთხელ პატივისცემა ადამიანის, მისი საქმიანობის, ეროვნებისა და რელიგიისა. პატივისცემა ყველაფერში და ყველასთან მიმართებაში, დაწყებული ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობებიდან, სახელმწიფო პოლიტიკით დამთავრებული. პატივისცემა ბიზნეს-პარტნიორებისა, მომხმარებლისა თუ თანამშრომლების მიმართ, საჯარო მოხელისა თუ მოქალაქის მიმართ და ა.შ. პოლიცია, რომლის დანახვა მოქალაქეს უქმნის უსაფრთხოების შეგრძნებას, სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქის პატივისცემაა. კეთილმოწყობილი გზები, ეზოები და პარკები ისევ პატივისცემის გამოხატულებაა. ასეთ განზომილებაში გადასვლა იმპერიისთვის ყველაზე კარგი "წამალია", უფრო სწორედ "საწამლავი"! ბატონი ობამა ჩავიდა მოსკოვში თავისი ოჯახის სრული შემადგენლობით. ეს იყო ნამდვილი დემოკრატიული "ინექცია". ქალბატონი კლინტონი ყაზანს ესტუმრა!!! მაგრამ ამ საკითხს აქვს მეორე უფრო სერიოზული, პრაგმატული მხარე. გერმანიის გაერთიანების მაგალითი დღესაც "აშინებს" ევროპას. ამ გაერთიანებას მოჰყვა სერიოზული, ეკონომიკური პრობლემები, რასაც გერმანია დღემდე იმუშებს. საერთო ეკონომიკური მაჩვენებლები გერმანიაში გაერთიანების პირველ წლებში ძალიან გაუარესდა. აღმოსავლეთ გერმანელებმა კულუარებში "მუქთახორების" იმიჯი დაიმსახურეს. თვითონ შეგიძლიათ შეაფასოთ, რა ელის ცივილიზაციას, თუ რუსეთის იმპერიის "მუქთახორები" ერთბაშად შეესევიან დანარჩენ მსოფლიოს. ასე რომ, მსოფლიოს წინაშე ურთულესი ამოცანაა დასახული, მაგრამ ეს აღარაა გადაუწყვეტელი პრობლემა, როგორც შესაძლოა ბევრს მოეჩვენოს. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ევროპას დღეს უფრო მეტი "გარჯა" მოუწევს და უფრო "ძვირი" დაუჯდება რუსეთის დაშოშმინება. აგვისტოს ომი, მეტწილად, ევროპის მხრიდან პოლიტიკური "დათმობებით" რუსეთის გათავხედების შედეგია. ომის დროს ევროპული პოლიტიკა იმაშიც კი ვერ გაერკვა, რომელ ფარგლებს გულისხმობდა რუსეთი, როდესაც აცხადებდა, საქართველოს ტერიტორიას დავტოვებო. პოლიტკორექტულობა არ ნიშნავს უპრინციპობას.

ქართული ეკონომიკა ჩართულია ამ კონკურენციაში. ევროპას სრულიად პრაგმატულად სჭირდება ენერგოუშიშროება, ამიტომაც ენერგომიწოდება რაც უფრო დივერსიფიცირებული იქნება, უკეთესია. აქედან გამომდინარე, საქართველო, ჩემი აზრით, საბედნიეროდ, განიხილება თანასწორ მონაწილედ ამ "ტენდერში". ასე რომ, ჩვენ რეალური ომის გარდა, კიდევ კონკურენტული ბრძოლა გვაქვს. ეს ძალიან ძნელი და ურთულესი პირობებია, მაგრამ არის დადებითი ფაქტორიც. მიუხედავად იმისა, რომ გვყავს უწესო და არაკეთილსინდისიერი კონკურენტი, "არბიტრაჟი" და "დაცვა" მაინც სანდოა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის სრული ლიბერალიზაცია სავსებით სწორი ნაბიჯია. საქართველო ბერლინის კედლის აქეთ რუსულ მხარეზე იმყოფებოდა. მისი ბიზნეს-იდეოლოგია არაფრით არ განსხვავდებოდა რუსულისგან. ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში საქართველოს ხელისუფლებამ დიდი ქვეყნების მაგვარად უნდა მოახდინოს ეკონომიკის რეგულირება. დიდი ქვეყნები იმიტომაც არიან დიდები, რომ მათ ასეთი რეგულირებისთვის გააჩნიათ სათანადო მარაგიც, ინსტრუმენტებიც და, რაც მთავარია, ეკონომიკის მართებული იდეოლოგია. რაც ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობა ადეკვატურად აღიქვამს ეკონომიკის კანონებს. საქართველომ ჯერ კარგად უნდა ისწავლოს თანამედროვე ეკონომიკური იდეოლოგია, კანონები და, რაც უმთავრესია, უნდა შეცვალოს თავად საქმიანობის ფსიქოლოგია. "მუქთახორობა", რბილად რომ ვთქვათ, ჩვენც არ გვაკლია. **ლიბერალური ეკონომიკა და ხისტი, დაუნდობელი კონკურენცია ერთადერთი გზაა თანამედროვე ფსიქოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.** სანამ პოსტსაბჭოური (არა მარტო ქართველი) ბიზნესმენი წარმატებულია, ის თვლის, რომ ყველაფერს სწორად აკეთებს. როდესაც ეწყება რაიმე პრობლემები მის ბიზნესს, ჯერ ადანაშაულებს თანამშრომლებს, შემდეგ პარტნიორებს, შემდეგ ხელისუფლებას. ცივილიზებულ ბიზნეს-ფსიქოლოგიაში ყველაფერი პირიქითაა. იქაური ბიზნესმენი ძირითადად საკუთარ შეცდომებს იძიებს, ასწორებს და შედეგად წარმატებასაც აღწევს. ასეთი ადამიანი პირველ რიგში საკუთარ შრომასაც აფასებს და სხვისი ნაშრომის პატივისცემის უნარიც გააჩნია. ბიზნესის მთავარი დანიშნულებაა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ბიზნესს შეუძლია ასევე მოთხოვნილების შექმნაც, ეს უკვე უმაღლესი "პილოტაჟია". მაგრამ ბიზნესის დონის ამაღლება შეუძლია მომხმარებელსაც. სანამ იქნება მომხმარებელი, რომელიც სრულიად ანტისანიტარულ პირობებში, საეჭვო წარმოშობის ხაჭაპურს ყიდულობს, მანამდე ასეთი "ბიზნესი" იარსებებს. ნებისმიერი ევროპელისთვის საკმარისია, თბილისის ქუჩებში ნახოს თუნდაც ის ექსტრემალი მძღოლები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან იმაში, თუ ვინ ვის უფრო მარჯვედ "ჩაუჭრის" გზას, რომ დარწმუნდეს, რამდენად ჩამოვრჩებით ევროპას. იმდენს ვლაპარაკობთ კულტურაზე და სიყვარულზე, რომ უკულტურობა პროტესტის ნიშნად მთავარი მოთხოვნილება გახდა. ადამიანის უფლებების დაცვა ნიშნავს სათანადო ვალდებულებას თითოეული ადამიანისგან. ამიტომაც არ ვართ ჯერჯერობით არც ნატოში და არც ევროკავშირში. დასკვნა მარტივია: **სამშობლოს გამთლიანებისთვის, ერთმანეთის საქმიანობის ელემენტალური პატივისცემაც კი დიდი საქმე იქნება. ეს ყველას შეუძლია, მაგრამ ყველას არ უნდა!!!** დღეს საქართველო გლობალური დაპირისპირების ეპიცენტრია. სათანადოდ აზროვნებაც გლობალური უნდა იყოს. მადლობა ღმერთს, საქართველოში ასეთი ცვლილებები მიმდინარეობს. მაღალი დონის წარმოებების რაოდენობა მატულობს. მძიმედ, მაგრამ ფსიქოლოგია იცვლება. ლარსის გახსნა სახელმწიფოს კეთილი ნების გამოხატვაა და სავსებით შეესაბამება ევროპულ იდეოლოგიას. რა თქმა უნდა, ეს ნაბიჯი შეიცავს საფრთხეებს, მაგრამ მსოფლიო სტანდარტების მისაღწევად საჭიროა ხისტი, მკაცრი და შეუვალი პროფესიონალური შრომა. გარდა ამისა, რეგიონში დემოკრატიული ლიდერობა მძიმე ტვირთია. **კარგი იქნებოდა, რომ ქვეყნის ლიბერალიზაციის პარალელურად ქვეყანაში დაინერგოს შრომის ანაზღაურების ყოველკვირეული ციკლი, როგორც ყველა წამყვან ქვეყანაში. ასეთი სისტემა ყველა სხვა დადებითი ფაქტორის გარდა, უდაოდ, დემოკრატიის შეუქცევადობის ერთ-ერთი გარანტია და მშრომელი ადამიანის პატივისცემაა.**

ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. კრემლი ყველაფერს ილონებს, რომ საქართველოზე კონტროლი აღადგინოს. შედეგად ევროპაზე ეკონომიკური და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ზეწოლაც აღარ გაუჭირდება. არა მგონია, ევროპამ ამის რამენაირი შანსი მისცეს. ევროპას ისტორიული შანსი მიეცა - აზიისკენ მშვიდობიანი და მომგებიანი გზა გაიკვალოს. შეგნებულად აღარ ვეხები ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას. ეს უნიკალური ქვეყანა, რომელმაც "ცივი ომი" მოიგო, სავსებით იმსახურებს "პერსონალურ" სადღეგრძელოს. ასე რომ, "ცივი ომი" კრემლის მხოლოდ ნატვრად დარჩება. თუმცა, აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო, კრემლს ორი თავი აქვს. მეორე თავის "დამოუკიდებელი" პოზიცია თანდათან იკვეთება. რუსეთის დე-იურე პრეზიდენტის ბოლო გამოსვლას უკვე ეტყობა ახალი "გარდაქმნის", ან, თუ პირდაპირი თარგმანით ვიხელმძღვანელებთ, "ახალი გადაშენების" პოლიტიკის სურვილი. სხვა პერსპექტივა რუსეთს აღარ გააჩნია. "ომის მდგომარეობა" თანდათან გადაედინება კონკურენტული ბრძოლის განზომილებაში. აქ კი, როგორც ფეხბურთშია, მეტოქის უხეშობაზე ყველაზე კარგი პასუხი გოლის გატანა და გამარჯვებაა.

"ომის" თაობისთვის ძალიან ძნელია აზროვნების ინერციის დაძლევა. განსაკუთრებით პოსტსაბჭოურ სივრცეზე. განსაკუთრებით საქართველოში იმიტომ, რომ იმ დროს, როდესაც მსოფლიოს ფერები ემატებოდა, ვითარდებოდა და მდიდრდებოდა, საქართველო განუწყვეტელ ომში იყო. ქართველი ადამიანი მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტინქტით იყო დაკავებული. ქედს ვიხრი ყველა ქართველის წინაშე, ვინც ეს ყველაფერი გადაიტანა. მაგრამ აუცილებელია ომის აზროვნების ინერციის დაძლევა. სამყაროც და ადამიანიც მრავალფეროვანია. გამოსავალი მხოლოდ ღირსეულ მშვიდობაშია. მსოფლიოს თანამეგობრობას ასეთი ეკონომიკური დაახლოების შედეგად უფრო მეტი საბაბი ექნება რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ, რაც უეჭველად მოემსახურება საქართველოს გამთლიანებასა და კეთილდღეობას.

სულ რაღაც 70 წელი იარსება საბჭოთა კავშირმა. მთელი მისი ისტორია ომების ისტორიაა. 45 წელი გრძელდებოდა "ცივი ომი" და მისი დამთავრებისთანავე საბჭოური იმპერიაც დამთავრდა. არადა მისი დანგრევა დაუჯერებელი იყო. ვინმეს ეპარება ეჭვი, რომ ომი ამ იმპერიის მთავარი "საზრდო" იყო? იმპერიის მემკვიდრე "აჩრდილმა" ისტორიას 18 წელი "გამოსტყუა" და "რკინის ფარდის" ნარჩენებისგან ახალი კედელი მავთულხლართებისგან ააგო. ნუთუ, ასეთი საშიშია ეს "აჩრდილი"?

გამოდის, რომ "მუჟიკი" რასპუტინი, რომელმაც ცარიზმს ძირი გამოუთხარა, იყო პირველი პუტინი, თუ რუსული სლენგიდან გადავთარგმნით მის გვარს. რას, "რაზ" - ერთი, პირველი. თავისი გამოთქმებით, საქციელით და "ბრტყელი" ხუმრობებით დღევანდელი პუტინი, სრულიად შეესაბამება "მუჟიკის" წოდებას, რაც ბევრი რუსის სიამაყის საგანია. საუბედუროდ, "მუჟიკებს" მხოლოდ ნგრევის ნიჭი გააჩნიათ, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ამ "შინაურ" ნგრევაში გულწრფელად მინდა, "წარმატება" ვუსურვო.

ღმერთია ჩვენი მფარველი.

# მადლიერების წერილი

ცაგარელის ქუჩაზე მდებარე უმწეოთა სასადილო, რომელსაც ხელმძღვანელობს ქ-ნი მადონა გერსამია და მზარეული ინდირა კაკაბაძე მომსახურე პერსონალთან ერთად კეთილსინდისიერად გვემსახურებიან მოხუცებს. თანაგრძნობით, ღიმილითა და კეთილი გულით გვეგებებიან. რომელიმე ჩვენთაგანის ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით მიუსვლელობის შემთხვევაში დაადგენენ მიზეზს და გვეხმიანებიან. მაგალითად ერთ მოსადილეს მოულოდნელად ბარძაყის ძვალი გაუტყდა, წაქცევის შედეგად და საავადმყოფოში გაუკეთდა ოპერაცია. ჩვენ მოსადილეებმა ვისაც რა შეგვეძლო ისე დავეხმარეთ შევკრიბეთ 1-2-3-4-5 ლარი ხოლო ხელმძღვანელებმა სოლიდური თანხა მიუმატეს ასეთი თანაგრძნობის ფუძემდებელია ქ-ნი მადონა გერსამია და ინდირა კაკაბაძე.

ჩვენ სასადილოში იდიალური სისუფთავეა. კერძები მზადდება კალორიული და გემრიელი. უმწეოთა სასადილოებს შორის მისაბაძია. ჩვენგან დიდ მადლობას იმსახურებს ვაკე-საბურთალოს გამგებელი ბატონ დათო გელაშვილი და ქალბატონი ინგა ტაბატაძე. მათ არასოდეს არ გამორჩებათ მხედველობიდან ჩვენთვის განკუთვნილი დახმარების გაწევა.

მადლობა მოსადილეთა სახელით მათ ვინც ხალხზე და უმწეო ადამიანებზე ზრუნავს, ღმერთმა გვიმრავლოს ქვეყანაში ასეთი ქველმოქმედი ადამიანები.

*უმწეო პენსიონერთა სახელით:*
*ელენა, ნათელა და სხვ.*

# სპორტი

## ტოჩინოშინს ველარ აჩერებენ




*ტოჩინოშინი ბაშოს ლიდერთა შორისაა*

ფუკუოკას "კოკუსაი სენთრ-ში" მიმდინარე სუმოისტთა წლის უკანასკნელ სუპერტურნირზე ახალგაზრდა ქართველი რიკიში ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი) ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში იმყოფება და ბრძოლას ბრძოლაზე იგებს. გუშინ ქართველმა რიგით მეცხრე გამარჯვება მოიპოვა და ბაშოს ლიდერთა შორის გახლავთ. ტოჩინოშინმა იორიკირის ილეთით მოკანამის დამარცხება შეძლო. სამწუხაროდ ახალგაზრდა კოლეგას ვერაფრით აუბა მხარი ლევან ცაგურიამ, კოკაიმ გუშინ ტოიჩიბიკისთან კოტენაგეს ილეთით დათმო ბრძოლა და მეტად მძიმე ვითარებაში ჩაიგდო თავი. ვეტერან ქართველ სუმოისტს ახლა 7 მარცხი და ოთხი გამარჯვება აქვს, ანუ თუ კოკაიმ დარჩენილ ოთხ დღეში ერთი დაპირისპირება მაინც წააგო ბაშოს უარყოფითი ბალანსით დაასრულებს და რეიტინგშიც დაქვეითდება. ანლოგიურ ვითარებაშია ძუროს დივიზიონის ქართველი დებიუტანტი გაგამარუ, რომელმაც კოკაის დარად მეშვიდე მარცხი გუშინ იწვნია.

სანამ დღევანდელი ბრძოლების მოკლე ანონსზე გადავიდოდეთ გვინდა თქვენი ყურადღება ტოჩინოშინზე და მის სამომავლო შანსებზე გავამახვილოთ. უკვე აშკარაა, რომ ლევანი რეიტინგში დაწინაურდება და წინსვლაც სოლიდური იქნება, ქართველმა დარჩენილი ოთხი ბრძოლა რომც წააგოს შედეგი მაინც შთამბეჭდავი ექნება, ხოლო თუ ტოჩინოშინმა ერთი ან ორი ბრძოლა კიდევ მოიგო რეიტინგში სოლიდურ ნაბიჯს გადადგავს წინ. ახლა ალბათ უპრიანი იქნება გადავხედოთ თუ რა მაჩვენებლები აქვთ რეიტინგში ტოჩინოშინზე წინ მდგარ სუმოისტებს. შეგახსენებთ, რომ ამჟამად გორგაძე მერვე მაეგაშირას რანგში ასპარეზობს. ბაშოზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე უკვე აშკარაა, რომ დეკემბრისთვის ვაკანტური იქნება ერთი ოძეკის, ადგილი, არსებობს დიდი ალბათობა, რომ ორივე კომოსუბიმ უარყოფითი ბალანსით დაასრულონ ბაშო და შესაბამისად ეს ადგილებიც გათავისუფლდება, მძიმე ვითარება აქვს ერთ სეკივაკესაც.

ტოჩინოშინის მსგავსად წარმატებულად გამოდის აღმოსავლეთის მეხუთე მაეგაშირა ტოინოშიმა და იგი ერთადერთია იმ სუმოისტებს შორის, რომლებიც რეიტინგში ტოჩინოშინზე მაღლა დგანან და დღესდღეობით ქართველის დარად მხოლოდ ორი მარცხი აქვთ განცდილი, თუ ბაშოს დასრულებამდე ტოჩინოშინმა პოზიციები არ დათმო, გამორიცხული არაა, რომ ქართველმა არათუ პირველ ან მეორე მაეგაშირობას არამედ კომუსუბის ტიტულსაც კი გამოკრას ხელი და წელი ასე დაასრულოს.

რაც შეეხება დღევანდელ დღეს, გაგამარუს მეტოქე კაიჰო იქნება, რომელსაც უკვე რვა ბრძოლა აქვს წაგებული და რეიტინგში დაქვეითება არ ასცდება. ტოჩინოშინი აღმოსავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირა ტაკამისაკირის დაუპირისპირდება და ქართველს გამარჯვება მართებს, ვინაიდან მის დღევანდელ მეტოქეს აქამდე მხოლოდ სამი ბრძოლა აქვს წაგებული და რეიტინგში დაწინაურების თვალსაზრისით ტოჩინოშინის ერთ-ერთი მთავარი კონკურენტია. კოკაის მეტოქე კი აღმოსავლეთის მეექვსე მაეგაშირა ვაკენოსატო იქნება, ამ ბრძოლას ორივე სუმოისტისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ვინაიდან ორივეს უკვე შვიდ-შვიდი დაპირისპირება აქვს წაგებული.

## უილბლოთა ათეული



*მილანის ლეგენდარულმა კაპიტანმა კარიერა ისე დაასრულა, რომ "ოქროს" ბურთი არ ღირსებია*

სულ ცოტაც და გავიგებთ თუ ვინ გახდა "ფრანს ფუტბოლის" ვერსიით 2009 წლის საუკთესო ფეხბურთელი. სააგენტო goal.com-მა კი იმ ათი ფეხბურთელის სია შემოგვთავაზა, რომლებსაც არსდროს მოუგიათ "ოქროს ბურთი", არადა მთელი თავისი კარიერით ამას ნამდვილად იმსახურებდნენ. ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ 1995 წლის შემდგომ პერიოდზე, როდესაც შეიცვალა "ოქროს ბურთის" მინიჭების ფორმატი. შეგახსენებთ, რომ მანამდე არჩევანი მხოლოდ ევროპელ ფეხბურთელებზე კეთდებოდა, 1995 წლის შემდეგ კი ევროპის კონტინენტზე მოთამაშე არაევროპელ ფეხბურთელებსაც ანიჭებენ "ოქროს ბურთს".

**10.დავორ შუკერი** - ხორვატი ფორვარდი, რომელსაც ორჯერ ჰქონდა "ოქროს ბურთის" მოგების შანსი, მაგრამ ორჯერვე დამარცხდა. 1996 და 98 წელბში დავორის დამსახურებით ხორვატიის ნაკრებმმ ჯერ ევროპის ჩემპტონატზე მოახდინა ფურორი, შემდეგ კი მსოფლიოს პირველობაზეც, მაგრამ ეს მაშინ არავინ დააფასა. 1998 წელს შუკერმა რონალდოს შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა. შუკერი თავისი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე გახლდათ.

**9.პეტერ შმეიხელი** - ალბათ მართლლაც უსამართლობაა, რომ "ოქროს ბურთს" ძირითადად მინდვრის მოთამაშეებს აძლევენ და მეკარეებს რატომღაც ივიწყებენ. ბევრი დარწმუნებული იყო, რომ 1999 წელს "ოქროს ბურთს" დანიელი კიპერი მოიგებდა, მისი დახმარებით ხომ "მანჩესტერმა" იმ სეზონში ტრიპლეტი შეასრულა, თუმცა რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, შმეიხელი იმ სეზონში სამეულშიც კი ვერ მოხვდა.

**8.რაული** - გადახედეთ ამ ფეხბურთელის კარიერას და დარწმუნდებით, რომ იგი იმსახურებს "ოქროს ბურთს". სამჯერ იყო ახლოს ამ ტიტულის მოგებასთან და სამეჯერვე დამარცხდა. 2001 წელს მას მაიკლ ოუენმა მოუგო, მართალია ოუენის ნიჭში ეჭვის შეიტანა არ გვსურს, მაგრამ ალბათ სწორედ ამ წელს მოხდა ყველაზე დიდი უსამართლობა "ოქროს ბურთის" არსებობის სიტორიაში.

**7.ოლივერ კანი** - მიუნხენის "ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ლეგენდა, 2202 წლის მუნდიალის საუკთესო ფეხბურთელი "ოქროს ბურთს" მაინც ვერ ეღირსა, ერთი კია თუ შმეიხელი არ დაასახელს საუკეთესოდ ალბათ არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ კანი დატოვეს ყურადღების გარეშე.

**6.ალესანდრო ნესტა** - შესაძლოა, უკანასკნელი ათწლეულის ყველაზე ნიჭიერი მცველიც გახლავთ, როდესაც მას ტრავმები არ აწუხებს და ფორმაშია შეუდარებელია. 2003 და 2007 წლებში "მილანის" ტრიუმფის ერთ-ერთი მთავარი შემომქმედი მუდმივად ჩრდილში რჩება, იგი სამეულშიც არასდროს ყოფილა.

**5.ლილიან ტურამი** - შესაძლოა ყველა დროის საუკთესო ფრანგი მცველი, 1998 წლის მუნდიალის ერთ-ერთი მთავარი გმირი. ნესტას მსგავსად არასდროს მოვხედრილა სამეულში.

**4.კაფუ** - არ არსებობს ტიტული, რომელიც ამ ფეხბურთელს არ მოუგია, თუმაც "ოქროს ბურთის" მინიჭების დროს დიდად არც მცველებს სწყალობენ. თქვენ წარმოიდგინეთ ნომინანტთა სიაშიც არ მოხვედრილა.

**3.ჯანლუიჯი ბუფონი** - თანამედროვეობის უდიდესი კიპერი. 2006 წელს მოგებული მუნდიალის შემდეგ ახლოს იყო "ოქროს ბურთის" მოპოვებასთან, მაგრამ მაშინ უპირატესობა კანავაროს მიანიჭეს.

**2.ტიერი ანრი** - "არსენალის" ყველა დროის საუკეთესო მეგოლე, საფრანგეთის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი, "არსენალის" ისტორიაში საუკეთესო ფორვარდი, საფრანგეთის ისტორიაში ერთ-ენრთი საუეთესო ფორვარდი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მსოფლიოს ამ უტიტულოვანეს ფეხბურთელს "ოქროს ბურთი" არასდროს მოუგია.

**1.პაოლო მალდინი** - ამ გვარისა და სახელის შემდეგ კომენტარიც ზედმეტია. მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი მარცხენა მცველი. მისი ტიტულების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, სამწუხაროდ ამ ტიტულებს "ოქროს ბურთი" აკლია.

### სეოკ-ის გენერალური ასამბლეა

27-28 ნოემბერს ლისაბონი უმასპინძლებს ევროპის ოლიმპიური კომიტეტების რიგით 38-ე გენერალური ასამბლეას, რომლის მუშაობაშიც "ბებერი კონტინენტის" ყველა ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები მიიღებენ მონაწილეობას. სეოკ-ის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე პორტუგალიის დედაქალაქში 25 ნოემბერს გამთენიისას გაემგზავრებიან.

გენერალურ ასამბლეაზე არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილება, ჩვენთვის კი საინტერესო "თბილისი-2015"-ის პროექტია. შეგახსენებთ, რომ საქართველოს დედაქალაქს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობა სურს, სადაც ჩვენი უმთავრესი კონკურენტი ჩეხური ბრნო იქნება.

ლისაბონში სეოკ-ის ხელმძღვანელები კიდევ ერთხელ შეხვდებიან ეოკ-ის პრეზიდენტს პატრიკ ჰიკს და სხავადხვა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მესაჭეებს, ასამბლეის მონაწილეებს დაურიგდებათ თბილისის, როგორც კანდიდატი ქალაქის საპრეზენტაციო ბუკლეტები.

www.geonoc.ge

### ჭანტურიას მორიგი გოლი

"ბარსელონას" ქართველი ლეგიონერი 16 წლის შემტევი გიორგი ჭანტურია გოლების გატანის იშტაზე მოვიდა. შეგახსენებთ, რომ სანაკრებო თამაშებით გამოწვეული პაუზის დროს "ბარსამ" ბოლივიურ კლუბთან გამრთა ამხანაგური მატჩი, მაშინ პეპ გვარდიოლამ ჭანტურია ძირითად გუნში ათამაშა და ქართველმა ფორვარდმა ჯერ პენალტი აიკიდა, შემდეგ კი თავადვე მოახერხა ამ პენალტის გატანა.

ახლა 16 წლის ქართველმა უკვე "ბარსას" ჟუვენილ B-ში გამოიჩინა თავი. "ლეიდას" ახალგაზრდებთან გასვლითი მატჩი კატალონიელებმა ანგარიშით 2:0 მოიგეს და მეორე ბურთი სწორედ ჭანტურიამ გაიტანა.

კატალონიური კლუბის ვებგვერდზე ისიც წერია, თუ როგორ გაიტანა ქართველმა გოლი. ჭანტურიას "ლეიდას" საჯარიმოში ორი მცველი მოუტყუებია და ცხრიანში გაუტანია.

### გრანტმა "პორტსმუთი" ჩაიბარა

პრემიერლიგის კლუბ "პორტსმუთს", ებრაელი სპეციალისტი აბრაამ გრანტი ჩაიბარებს. ამ სეზონში "პომპეი" საკმაოდ წარუმატებლად თამაშობს და ამჟამად პრემიერლიგის გათამაშების ცხრილის ფსკერზე იმყოფება, ცხადია ასეთ ვითარებაში არავის გაუკვირდა, რომ გუნდის ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან დაითხოვა "პორტსმუთის" მთავარი მწვრთნელი პოლ ჰარტი. საინტერესოა, რომ ჰარტს გუნდში დარჩენა და ტექნიკური დირექტორის პოსტზე მუშაობა შესთავაზეს, მაგრამ დაწუნებულმა მწვრთნელმა ეს თანამდებობა იუარა.

რაც შეეხება გრანტს მისი დანიშვნა მთავარი მწვრთნელის პოსტზე დროის ამბავი იყო. შეგახსენებთ, რომ ებრაელი სპეციალისტი "პორტსმუთში" მიმდინარე წლის ოქტომბრიდან სპორტული დირექტორის თანამდებობაზე მუშაობს.

მომდევნო ტურისთვის კი, რომელშიც "პორტსმუთი" "მანჩესტერ იუნაიტედს" უმასპინძლებს, გუნდს ჰარტის ყოფილი თანაშემწეები - პოლ გროვსი და იან ოანი მოამზადებენ.

### "პაკ დე პრანსი" სპონსორს ელის

სულ მალე პარიზის ლეგენდარულ სტადიონ "პარკ დე პრანსს" შესაძლოა სახელი შეეცვალოს. ეს საფეხბურთო არენა საფრანგეთის დედაქალაქის კუთვნილებაა, თუმცა პარიზის მერია ეტყობა სტადიტონის შესანახად ბიუჯეტში ფულს ვერ იძიებს და ამიტომაც გადაწყდა "პარკ დე პრანსი" ხანგრძლივვადიანი იჯარით რომელიმე სოლიდურ კომპანიას გადაეცეს.

უკვე დაინიშნა ტენდერიც, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საფეხბურთო კლუბი პსჟ, რომელიც საშინაო შეხვედრებს სწორედ ამ არენაზე ატარებს და წარმატების შემთხვევაში, დედაქალაქელები საკუთარი წლიური შემოსავლის 10-15 მილიონი ევროთი გაზრდას გეგმავენ.

პარიზული კლუბის მთავარი აქციონერი ამერიკული ფონდი Colony Capital-ია და კონკურსში გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად სწორედ ის მიიჩნევა. სტადიონის რეკონსტრუქციაზე ამერიკელები დაახლოებით 70 მილიონი ევროს დახარჯვას აპირებენ.

"პარკ დე პრენსის" მოდერნიზაცია იმ შემთხვევაშიც ჩატარდება, თუ საფრანგეთი 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას ვერ მოიპოვებს.

იმისათვის, რომ პროექტი უფრო ეფექტური გამოდგეს, Colony Capital-ის ხელმძღვანელობა სტადიონისთვის სახელის შეცვლასაც არ გამორიცხავს.

## წარუმატებელი სტარტი

სამიწუხაროდ წარუმატებელი სტარტი აიღო საკალათბურთო ევროთასის 2009-10 წლების გათამაშეაში ვლადიმერ ბოისას "ზადარმა". ხორვატულმა კლუბმა პირველ შეხვედრაში ბოისას ყოფილ გუნდ ბერძნულ "არისს" უმასპინძლა და ანგარიშით 68:73 დამარცხდა.

ვოვამ ასპარეზობა მასპინძელთა სასტარტო ხუთეულში დაიწყო და მოედანზე 33.06 წუთი დაჰყო, რა დროშიც გუნდს 8 ქულა, 7 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება შესძინა.

წარუმატებლობა შეემთხვა ლაშა გამყრელიძის "მიტელდოიჩერს", რომელიც გერმანული ბუნდესლიგის გამოტოვებულ შეხვედრაში ბრემერჰავენის "ეისბარენს" ესტუმრა და 59:75 წააგო.

გამყრელიძემ "მგლების" სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა და 23.44 წუთში 10 ქულა მიითვალა.

## ბრალეულობა არ დაუმტკიცდათ

აგერ უკვე 2 წელიწადია აპენინებზე მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი, რომელიც "იუვენტუსის" ტრიადის ბრალეულობის დადგენას ცდილობდა. "მოჯიგეიტად" ცნობილი სკანდალი ეტყობა დასრულდა და რაც ყველაზე მოულოდნელია "იუვენტუსის" სამივე მაღალჩინოსანი თემიდან უდანაშაულოდ ცნო.

ლუჩანო მოჯის, ანტონიო ჯირაუდოს და რობერტო ბეტეგას ფინანსურ მაქინაციებში ედებოდათ ბრალი. არსებობდა ეჭვი, რომ "იუვეში" მუშაობის პერიოდში, ფეხბურთელების შეძენისას, ისინი საბუთებში მოთამაშის არასწორ სატრანსფერო ღირებულებას აფიქსირებდნენ, დარჩენილ ნაწილს კი, თითქოს ტრიადა ერთმანეთში ინაწილებდა.

დაიკითხა ასამდე მოწმე, შესწავლილ იქნა ტრიადის მმართველობის პერიოდში განხორციელებული ყველა ტრანსფერი, მაგრამ იტალიელმა სამართალდამცავებმა მოჯის, ბეტეგასა და ჯირაუდოს დანაშაულის დამადასტურებელი ვერანაირი დოკუმენტი ვერ აღმოაჩინეს. შედეგად, ფაქტების არარსებობის გამო, გუშინ სასამართლომ მათ ყველა ბრალდება მოუხსნა.

## ბაბელის მოლოდინი

"ლივერპულის" ჰოლანდიელი ფორვარდი რაიან ბაბელი აცხადებს, რომ იანვრის სატრანსფერო პერიოდში დატოვებს მერსისაიდულ კლუბს თუ მისდამი დამოკიდებულება არ შეიცვლება.

22 წლის შემტევი ფეხბურთელის უკმაყოფილების მიზეზი არასათანადო სათამაშო პრაქტიკაა. "მერსისაიდელთა" თავკაცი რაფა ბენიტესი ახალგაზრდა ჰოლანდიელს დიდად არ სწყალობს და ამ უკანასკნელს დროის უმეტესი ნაწილის გატარება სათადარიგოთა სკამზე უწევს.

"თამაშის საშუალება თითქმის არ მეძლევა. შესაბამისად, არ მაქვს პერსონალური აპლოდისმენტების მიღების შანსი. ამგვარ სიტუაციაში ჩავარდნილი ფეხბურთელისთვის ორი ვარიანტი არსებობს - ან საერთოდ დაასრულოს კარიერა, ან გააგრძელოს ბრძოლა. მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და დანებებას აშკარად არ ვაპირებ. მით უფრო, რომ საკუთარ თავს საკმაოდ ნორმალური დონის მოთამაშედ მივიჩნევ. ბენიტესის საქციელი ვერაფრით ვერ ამიხსნია. პირველივე ინგლისურ სეზონში პრემიერლიგის ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად მაღიარეს. ჩემი წარუმატებლობებიც მას შემდეგ დაიწყო. ძირითად შემადგენლობაში თამაში პრაქტიკულად აღარ მიწევს. მე კი, ასეთ ყოფას ნამდვილად ვერ შევეგუები და ადრე თუ გვიან, აქ თუ სხვაგან, საკუთარი სიმართლის დამტკიცებას მაინც შევძლებ", - განაცხადა ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა.

## ნევილი საოპერაციოა

"ევერტონის" კაპიტანი ფილ ნევილი ალბათ კიდევ კარგა ხანს იუქმებს. 32 წლის ფეხბურთელს სექტემბრის შემდეგ არ უთამაშია, ნევილმა ტრავმა სექტემბრის ბოლოს "ფულემთან" გამართულ მატჩში მიიღო, თავიდან ექიმები ვარაუდობდნენ, რომ ყველაფერი ქირურგიული ჩარევის გარეშე ჩაივლიდა, თუმცა ახლა გაირკვა, რომ ნევილს ოპერაცია ესაჭიროება.

"ნევილი მუხლზე მიკროოპერაციას გაიკეთებს. მოედანზე მისი დაბრუნება კიდევ რამდენიმე კვირით გადაიდო", - განაცხადა "ევერტონის" მთავარმა მწვრთნელმა დევიდ მოიესმა.

## ენდო საუკეთესო აზიელია

აზიის კონტინენტზე უკვე მოასწრეს 2009 წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა. ეს საპატიო ტიტული იაპონიის ეროვნული ნაკრებისა და "გამბა ოსაკას" 29 წლის ნახევარმცველმა იასუხიტო ენდომ მოიპოვა.

საუკეთესოთა სიაში მეორე ადგილზე, სირიელი ფირას ალ-ჰატიბი გავიდა ("ალ-არაბი"/"ალ-კადსია", ქუვეითი), ხოლო მესამეზე - ირანელი ჰადი აგილი ("სეპაჰანი"). მეოთხე პოზიცია წილად იაპონელ კენგო ნაკამურას ("კავასაკი ფრონტალე") ხვდა, მეხუთე კი, ბაჰრეინელ საიდ მოჰამედ ადნანს ("ალ-ჰორი", ყატარი).

"ჩემთვის, მიმდინარე წელიწადი ისეთი წარმატებული არ აღმოჩნდა, როგორიც წინა, როდესაც "გამბამ" აზიის ჩემპიონთა ლიგა მოიგო. თუმცა, აღიარებამ ძალიან გამახარა", - განაცხადა ენდომ.

# "ლივერპული" ლიგას დაემშვიდობა

სამშაბათს გამართულმა ჩემპიონთა ლიგის მატჩებმა ფლეიოფის მონაზილე კიდევ ორი გუნდის ვინაობა გაარკვია. "არსენალმა" შემდეგ ეტაპზე თამაში უპრობლემოდ დაიბევა, "ფიორენტინამ" უმოტივაციოდ დარჩენილი "ლიონის" დამარცხებით გაინაღდა ფლეიოფის საგზური და რაფა ბენიტესის "ლივერპული" და ჩემპიონთა ლიგის მიღმა დატოვა, ახლა მერსისაიდელები უკვე პრემიერლიგის გათამაშებასა და ევროპულ ლიგაზე გადაერთვებიან, გამომდინარე იქიდან, რომ "ლივერპულს" ინგლისის ჩემპიონობის შანსიც პრაქტიკულად დაკარგული აქვს უნდა ვივარაუდოთ, რომ "წითელბის" მთავარი ამოცანა ევროპის ლიგის მოგება იქნება, რაზეც უკვე გააეკეთა მინიშნება სტივენ ჯერარდმა.



მოურინიომ მარცხი აღიარა.

სამშაბათის მთავარი მატჩი კი "ნოუ კამპზე" გაიმართა. მესისა და იბრაგიმოვიჩის გარეშე დარჩენილმა "ბარსელონამ" "ინტერს" უპრობლემოდ მოიგო და დაგვანახა, რომ მომავალი ელ კლასიკოსთვის სრულ მზადყოფნაშია. ახლა კი ტრადიციულად მატჩის შემდეგ გაკეთებულ კომენტარებს გაგაცნობთ.

**ხოსეპ გვარდიოლა (ბარსელონას მთავარი მწვრთნელი):** "ეს გამარჯვება დაგვეხმარება ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებაში, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ჩვენ კარგი მატჩი გავმართეთ და მინდა ავღნიშნო, რომ ამჟამად ყველაფერი კარგად მიდის. რა თქმა უნდა გამიხარდებოდა მინდორზე მესი და იბრაგიმოვიჩიც, რომ ყოფილიყვნენ, მაგრამ ფეხბურთელების ჯაანმრთელობით ვერ გავრისკავ არსებობდა ალბათობა იმისა, რომ ეს ფეხბურთელები ხანგრძლივი დროით დაგვეკარგა. მინდა მივულოცო ჩემს მოთამაშეებს, მათ ბრიწყინვალე ფეხბურთი აჩვენეს. საერთოდ სარისკოა შემტევი ფეხბურთის თამაში, როდესაც მეტოქე გუნდში ისეთი ფორვარდები თამაშობენ, როგორებიც მილიტო და ეტოო არიან, თუმცა ჩვენ ჩვენს სტრატეგიას ვერ ვუღალატებთ, "ბარსელონას" გააჩნია საკუთარი ხელწერა".

**ჟოზე მოურინიო (ინტერის მთავარი მწვრთნელი):** "პირველ ტაიმში ესპანელებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს ვიდრე ჩვენ. მეორე ტაიმში ვითარება გამოვასწორეთ. ერთ-ერთ ეპიზოდში მსაჯს პენალტი უნდა დაენიშნა, ანგარიში 2:1, რომ გამხდარიყო შანსი გაგვიჩნდებოდა, თუმცა მესმის, რომ "ნოუ კამპზე" ვთამაშობდით. ასეთივე ეპიზოდი ჩვენს საჯარიმოში, რომ მომხდარიყო მსაჯი პენალტს უყოყმანოდ დანიშნავდა. არ იფიქროთ მარცხს მსაჯობას ვაყრალებდე, ვაღიარებ, რომ მეტოქემ სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. "ბარსამ" უკეთ ითამაშა და ეს ფაქტია, ჩვენ კი შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი არ დაგვიკარგავს ყველაფერი ჩვენს ხელთაა".

**არსენ ვენგერი (არსენალის მთავარი მწვრთნელი):** "პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მეორეში ოდნავ დავაგდეთ ტემპი და ანგარიშის შენარჩუნებას ვცდილობდით. მიხარია, რომ ათი წელი ზედიზედ ვახერხებთ ჩემპიონთა ლიგის ფლეიოფში გასვლას. რა თქმა უნდა ამ ჯგუფში ფავორიტებად ვითვლებოდით, სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო. თუ ჩვენს მიერ განვლილ გზას მთლიანობაში შევაჯამებთ უნდა ითქვას, რომ შესაშურ სტაბილურობას ვუჩვენებთ. გამიხარდა თუ არა "ლივერპულის" წარუმატებლობა? რაღა თქმა უნდა არა. ჩემპიონთა ლიგა ისეთი ტურნირია, რომ ყველა ფავორიტი როდი ამართლებს სტატუსს. ასეა თუ ისე, "ლივერპულის" ნაცვლად ფლეიოფში სხვა ძლიერი გუნდი ითამაშებს".

**რაფაელ ბენიტესი (ლივერპულის მთავარი მწვრთნელი):** "საბოლოო ჯამში რაც მოხდა საკუთრივ ჩვენი ბრალია. წინა თამაშებში დაშვებული შეცდომების გამო ტურნირს მიღმა დავრჩით. ხალხი ფიქრობს, რომ ჩვენ ყოველწლიურად უმაღლესი დონის ფეხბურთი უნდა ვაჩვენოთ, მაგარმ ასე არ ხდება. თუ გაავაანალიზებთ ჯგუფური ეტაპის მიატჩებს "ლიონთან" მატჩის მიწურულს გაშვებულმა ორმა გოლმა ოთხი ქულა დაგვაკარგვინა. ერთიც, რომ არ გაგვეშვა ბრძოლას გავაგრძელებდით. ახლა უკვე ვერაფერს შევცვლით. შეცდომები უნდა გავითვალისწინოთ და პოზიტიურზე ვიფიქროთ. ახლა ჩვენი მიზანი ევროპის ლიგაა".

**სტივენ ჯერარდი (ლივერპულის კაპიტანი):** "ფეხბურთი სამართლიანი სპორტია და იღებ იმას რასაც იმსახურებ. სამწუხაროა, რომ ჩვენი ბედი მხოლოდ ჩვენზე არ იყო დამოკიდებული. რა თქმა უნდა იმედგაცრუებულები ვართ, მაგრამ ტრაგედია არ მომხდარა ევროპის ლიგაზე ვითამაშებთ და ამ ტურნირის მოგება გვმართებს.

**ვალერი გაზაევი (დინამოს მთავარი მწვრთნელი):** "დაძაბული მატჩი იყო, ბევრი ორთაბრძოლებით ფეხბურთელები არც თავს ინდობდნენ და არც მეტოქეს. ჩემი ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ, გამარჯვებასთან ახლოს ვიყავით, გვქონდა საგოლე მომენტები მაგრამ ვერ გამოვიყენეთ, ორი მომენტი ჩვენს კართანაც შეიქმნა, რა თქმა უნდა ვალდებულები ვიყავით მოგვეგო, მაგრამ საბოლოო ჯამში არც ეს შედეგია ურიგო."

**ანდრეი შევჩენკო (დინამოს ფორვარდი):** "რუბინი" კარგი გუნდია, რომელსაც ფლეიოფში გასვლის რეალური შანსი აქვს, ჩვენ კი ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში "ბარსელონას" დამარცხება გვჭირდება".

**კურბან ბერდიევი (რუბინის მთავარი მწვრთნელი):** "როგორც ვვარაუდობდი თამაში საკმაოდ მძიმე გამოდგა. შედეგი სამართლიანად მიმაჩნია".

**მარკუს ბაბელი (შტუტგარტის მთავარი მწვრთნელი):** "ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ, თავიდანვე აგრესიული სტილი ავირჩიეთ. მიხარია, რომ ბიჭებმა ბოლოს და ბოლოს საკუთარი პოტენციალის გამოვლინება შეძლეს. წინ ურთულესი მატჩი გველის, რომელიც ფინალის ტოლფასი იქნება.

**რიკარდო მონტოვილო (ფიორენტინას ნახევარმცველი):** "ჩვენ ბრწყინვალე მატჩი გავმართეთ და ვფიქრობ ამაში ეჭვი არავის ეპარება. ეს ჩვენთვის წლის მატჩი იყო და უმაღლეს დონეზე გვამართეთ. შემდეგ ეტაპზე გასვლა დიდი საჩუქარია ფლორენციისთვის"

# ჰაუგი შუმახერის დაბრუნებას არ გამორიცხავს

"მერსედეს მოტორშპორტის" შეფმა ნორბერტ ჰაუგმა უარი განაცხადა იმ ინფორმაციის უარყოფაზე, რომლის მიხედვითაც, მომავალ სეზონში გერმანული გუნდის მანქანით მიხაელ შუმახერი იასპარეზებს. თუმცა, იმავდროულად, გუნდის შეფმა როს ბრაუნმა განაცხადა, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის დაბრუნების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია მხოლოდ "მედიის ფანტაზიის ნაყოფია და სხვა არაფერი".

"მიხაელი შეიძლებოდა შარშან დაბრუნებულიყო და ამას "ფერარისთვის" გააკეთებდა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის ახალი კარიერის დაწყებას არ აპირებს", - განაცხადა ბრაუნმა (სურათზე შუმახერთან ერთად).

"ვფიქრობ, ამ ჭორებთან შეგუება მოგვიწევს. რაც როსმა ამ საკითხთან დაკავშირებით თქვა, ის გასათვალისწინებელია. კარგად მესმის, სანამ მეორე პილოტის ვინაობას გამოვაცხადებთ, ასეთ ჭორებს ყოველთვის გავიგებთ", - განაცხადა ჰაუგმა.



*შუმახერის სამეფო რბოლებში დაბრუნებას ერთნი ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევენ, მეორენი...*

კითხვაზე, კატეგორიულად ხომ არ უარყოფს შუმახერის დაბრუნების შესაძლებლობას, ჰაუგმა შემდეგი უპასუხა: "განა ფორმულა 1-ში რაიმეს კატეგორიულად თქმა შეიძლება? როსმა ყველაფერი თქვა და მე ამაზე დასამატებელი არაფერი მაქვს".

ამ თემაზე დაწვრილებით საუბრისგან თავს "მერსედეს GP-ს" მთავარი აღმასრულებელი ნიკ ფრაიც იკავებს. "ამ თემაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. აქ ახლა ნიკოს შესახებ ვსაუბრობთ. როსმა ყველაფერზე ამომწურავი პასუხი გაგცათ". მანვე დასძინა, რომ მეორე პილოტის თაობაზე, "მერსედესი" აჩქარებას არ აპირებს. მისი ვინაობა კი ალბათ, დეკემბერში გამოცხადდება.

"რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, თუ ორივე პილოტს ერთდროულად გაგაცნობდით, მაგრამ ამჯერად ეს შეუძლებელია. ახლა დროში შეზღუდულები არ ვართ, მაგრამ თუ მეორე პილოტი შობის დღესასწაულამმდე არ გვეყოლება, ,ერე გადაწყვეტილების მიღება გაგვიძნელდება, რადგან ინჟინრებმა დროულად უნდა იცოდნენ პილოტის პარამეტრები. იმედი მაქვს, რომ მეორე პილოტის ვინაობა შობამდე გვეცოდინება".

*http://formula1ge.blogspot.com*

# ერთგული ფაბრეგასი

ცოტა ხნის წინ ესპანურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზაფხულში სესკ ფაბრეგასი პირენეებზე დაბრუნდება და "ბარსელონაში" გააგრძელებს კარიერას. კატალონიურ კლუბში საპრეზიდენტო არჩევნები მოახლოვდა და პრეზიდენტობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი სანდრო როსელი იძლევა პირობას, რომ, მისი არჩევის შემთხვევაში, ის ფაბრეგასს იყიდის.

ესპანეთში ფაბრეგასის ტრანსფერზე ისე ხშირად საუბრობენ, რომ მოსაბეზრებელიც გახდა, თუმცა, ამას წინათ საინტერესო ინფორმაცია ბრიტანულ მედიაშიც გავრცელდა. კერძოდ, ითქვა: ფაბრეგასი და ვენგერი ჯენტლმენურად შეთანხმდნენ, რომ ზამთარში სესკი ტრანსფერზე არ იფიქრებს, ზაფხულში კი კლუბი მის ტრანსფერს წინ არ აღუდგება. დასახელდა ფაბრეგასის შესაძენად საჭირო თანხაც - 60 მილონი გირვანქა სტერლინგი.

ფეხბურთელმა ყველაფერი უარყო. ესპანეთის ნაკრებისა და




*სესკ ფაბრეგასი კარიერის ბოლომდე "მეთოფეობას" აპირებს*

"არსენალის" 22 წლის ნახევარმცველი აცხადებს, რომ ლონდონური კლუბის დატოვებას არ აპირებს. მეტიც, მზადაა კარიერის ბოლომდე "მეთოფე" იყოს.

"გავრცელებული ხმები საერთოდ არ მადარდებს. ბოლო სამი სეზონია არ წყდება საუბარი კატალონიაში ჩემი შესაძლო დაბრუნების თაობაზე, მაგრამ, როგორც ხედავთ, ჯერ კიდევ "არსენალში" ვთამაშობ. პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ჯერჯერობით ეს გამორიცხულია. უდიდესი კლუბის წევრი ვარ და მინდა, მისთვის ბოლომდე დავიხარჯო. წინ რთული სეზონი გველის და ყველაფერს, რამაც შესაძლოა ხელი შემიშალოს "არსენალში" თამაშზე კონცენტრირებაში, სასწრაფოდ ვიგდებ გონებიდან. ლონდონში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და კარიერის ბოლომდე აქ დარჩენას არ გამოვრიცხავ", - განაცხადა სესკ ფარეგასმა.

"ბარსას" აღზრდილმა ნახევარმცველმა 2003 წელს, 16 წლის ასაკში დატოვა კატალონია. ფაბრეგასი დიდ ფეხბურთელად სწორედ არსენ ვენგერმა აქცია. ის "არსენალში" ჩამოყალიბდა ნამდვილ ოსტატად და გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ამ გუნდის ერთგული იქნება.

"ბარსელონას" გარდა, ფაბრეგასის გადაბირებას მადრიდის "რეალიც" ცდილობს. ფლორენტინო პერესის თქმით, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში მისი მთავარი სამიზნე სწორედ ფაბრეგასი იქნება.

# ფიფა სკანდალებს განიხილავს

4 დეკემბერს კეიპტაუნში გაიმართება 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა, მანამდე კი, ორი დღის განმავლობაში, ფიფას მაღალჩინოსნები საჭირბოროტო საკითხებით, კერძოდ, ბოლოდროინდელი საფეხბურთო სკანდალების განხილვით იქნებიან დაკავებული.

ამასთან დაკავშირებით ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა მოიწვია აღმასკომის საგანგებო სხდომა. პირველ რიგში საუბარია საფრანგეთ-ირლანდიის მატჩსა და ტიერი ანრის ხელით თამაშზე. ირლანდიელებმა ფიფაში აპელაცია შეიტანეს და მატჩის გადათამაშება მოითხოვეს, თუმცა, ფიფას წესდებით, მსაჯის შეცდომის გამო გადათამაშება არ ინიშნება. ასე რომ, გამონაკლისი არ დაუშვეს. სამაგიეროდ, 2 და 3 დეკემ-



*ფიფა სკანდალებზე იმსჯელებს*

ბერს ამ საკითხს მსოფლიო ფეხბურთის მამები განიხილავენ, ალბათ მსაჯსაც გააკრიტიკებენ, ერთ-ორ ტკბილ სიტყვას ანრიზეც იტყვიან - აქაოდა, ასეთ დიდ მოთამაშეს ასეთი რამ არ ეკადრებოდაო, ირლანდიელებს გულის მოოხების საშუალებას მისცემენ, მაგრამ საეჭვოა, რამე შეიცვალოს. მსაჯების შეცდომები აქამდეც გვინახავს და არც მომავალში ვართ ამისგან დაზღვეული.

ამავე სხდომაზე განიხილავენ სლოვენია-რუსეთის მატჩს და სლოვენიელი ფანების საქციელსაც, ტრიბუნებიდან რუსეთის მეკარეს იგორ აკინფეევს რაღაც საგნებს რომ ესროდნენ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ფიფას მაღალჩინოსნები შეისწავლიან, ჩაწყობილ თამაშებს ეხება. უეფა ამ თემაზე კარგა ხანია მუშაობს და სპეციალური კომიტეტიც შექმნა. ეჭვქვეშ დგას არაერთი მატჩი, მათ შორის, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის შეხვედრებიც კი. დაკავებულია 17 ადამიანი, მათ შორის, კლუბ "პოტენცას" პრეზიდენტი. მოკლედ, ევროპელებმა საქმეს სერიოზულად მოკიდეს ხელი. ახლა ჯერი ფიფაზეა.

# ათიანების სერიალი

ზურაბ თალაკვაძე

რაღაც აშკარად აკლდა იტალიის ჩემპიონატს. ინგლისური მილიარდებისა და ესპანური ვარსკვლავური სერიალების ფონზე ოდნავ უკან დახეულმა სერია A-მ ბოლო ტურში დაიბრუნა ის, რის გამოც ფეხბურთი ფეხბურთია და არა მცდელობა, იყოს ის, რაც უნდა იყოს. უკანასკნელ ტურში "იუვენტუსს" ალესანდრო დელ პიერო, "რომას" კი ფრანჩესკო ტოტი დაემატა. და მარტო ამ ორ გუნდს? არა, ნაღდად არა. მთლიანად ჩემპიონატს.

ალემ "ბებერ ქალბატონს" ნახევარ საათზე ოდნავ მეტში მოტივაცია და ქარიზმა შემატა, "რომას" სიმბოლომ კი მთლად სამი გოლით დაიქუხა, თავის გუნდს "ბარისთან" მოაგებინა, "იუვენტუსმა" კი "უდინეზეს", თავის სტილში, 1:0 აჯობა.

წელს ეს გუნდები რადიკალურად განსხვავებული მიზნებისთვის იბრძვიან და, პრინციპში, ფაბიო კაპელოს ეპოქის "რომას" თუ არ ჩავთვლით, ყოველთვის ასე იყო. "იუვე" იტალიური, "რომა" კი რომაული ფეხბურთის სახეა, თუმცა დედაქალაქში იმითაც ბედნიერები არიან, რომ ტოტი ჰყავთ.

დელ პიეროს სერია A-ში 169 გოლი აქვს გატანილი, ტოტიმ კი შიდა პირველობაზე "რომას" ფანები 187-ჯერ წამოაყენა ფეხზე. ტიტულებით, ისევ და ისევ გუნდის მასშტაბურობის გამო, ალე "პუპონეზე" უსაშველოდ წინაა, მაგრამ ინდივიდუალურად ვერც ერთი ვერ გახდა ევროპაში ან მსოფლიოში საუკეთესო და ალბათ, ვერც ვერასოდეს გახდება. ისევე როგორც რაული და ისევე როგორც თავის დროზე უდიდესი გერმანელი იურგენ კლინსმანი. ყოველთვის 1995 წლის სეზონი მახსენდება, როდესაც კლინსმანი შეუდარებელი იყო, მაგრამ საუკეთესოდ (ფეხბურთის პოპულარიზაციისა და კიდევ ბევრი რაღაცის გამო) ჟორჟ ვეა აღიარეს.




*ორი ლეგენდა - ტოტი და დელ პიერო*

"იუვედან" დელ პიეროს წასვლაზე უკვე დიდი ხანია ფიქრობენ და ბოლო წლებია, ვინ აღარ მოსინჯეს ალეს პოზიციაზე. სებასტიან ჯოვინკო ძალიან ნიჭიერია, მაგრამ დელ პიერო ვერ არის და ვერც ვერასოდეს გახდება. დიეგო კარგი ბიჭია, მაგრამ "რომასთან" დუბლის მერე უფრო "ვერდერის" კალიბრის ვარსკვლავია, ვიდრე "იუვეს" დონის გრანდის ლიდერი. მოკლედ, დიეგოა და არა დელ პიერო.

9 ნოემბერს ალესანდრო 35 წლის გახდა და, მისივე თქმით, წასვლას არსად აპირებს. ვერც ვერავინ ეტყვის, წადიო.

ტოტი კი დელ პიეროზე ორი წლით უმცროსია და კიდევ ბევრს შეყრის. იქნებ ჩემპიონთა ლიგაზეც გაიყვანოს გუნდი და მეტი ვერაფერი მოიგოს, მაგრამ სიმბოლო სიმბოლოა და მას გაფრთხილება უნდა.

საერთოდ, ბრუნო კონტის მერე, იტალიელებს შემტევ-შემქმნელი, წინსართი "სუპერით", რობერტო ბაჯოს, დელ პიეროსა და ტოტის გარდა, არც არავინ ჰყოლიათ. მთლად ამათი დონის ვერ იყო ჯანფრანკო ძოლა, ფაბრიციო მიკოლის უნდა დაეგლიჯა და ვერ დაგლიჯა, მანამდე კი ჯანლუკა ვიალის გენერაციასა და იმავე "რომაში" იყო ჯუზეპე ჯანინი, მაგრამ ვერც ის გახდა ვარსკვლავი. მოკლედ, ბაჯო, დელ პიერო და ტოტი.

რობიმდე ვერც "პინტურიკიო" მივა და ვერც ტოტი, რადგან ბაჯო იყო ფენომენი, ესენი კი, სულ მცირე, ერთი საფეხურით დაბლა დგანან.

და რომელი რონალდინიო, კრიშტიანუ რონალდო... ჯერ იმის ნახევარი გააკეთონ, რაც ალეს და ფრანჩესკოს გაუკეთებიათ და მერე ითამაშონ, ოღონდ საკუთარ ფინტებში არ დაიკარგონ.

შარშან, როდესაც დელ პიერო მთელ "იუვეს" მარტო მიათრევდა, "რომას" დღევანდელი ბოსი კლაუდიო რანიერი კაპიტნისადმი მიძღვნილ კომპლიმენტებში იხრჩობოდა. "რეალს" ორჯერვე გაუტანა, "ზენიტს" სადღაც სოლოლაკიდან დაურტყა და მეკარემ ბურთი მხოლოდ ბადეში შევარდნილი დაინახა. იყო სხვა, ძირითადად შედევრი გოლები, ბოლოს კი ალეც დაიღალა და ეს მთლიანად გუნდს დაეტყო. ტოტი კი ტრავმიანობდა, შუალედში გოლს გოლზე ხატავდა და ასე, ერთმანეთის გვერდით იმტკიცებდნენ ლეგენდის სტატუსს ალესანდრო და ფრანჩესკო.

ერთმანეთსაც დიდ პატივს სცემენ, ბაჯოზე კი დელ პიერომ პირდაპირ თქვა, ერთადერთი, ვისაც დიეგო მარადონას შევადარებ, მარტო რობი არისო.

"ოქროს ბურთის" გარეშე, მაგრამ ბევრ ნაოქროსბურთალზე მეტით დაასრულებენ კარიერას აპენინელი გიგანტები და ალბათ ფეხბურთის სირცხვილიცაა, რომ ინდივიდუალურად არც ერთი არასოდეს არ გამოურჩევიათ.

## მაიკონი დასაჯეს

სერია A-ს ბოლო ტურში "ინტერისა" და "ბოლონიას" შეხვედრაში "ნერაძურის" ბრაზილიელმა მცველმა მაიკონმა გვერდით არბიტრს სიტყვიერი შეურაცხოფა მიაყენა, რის გამოც წითელი ბარათი მიიღო. ცხადი იყო, რომ მაიკონის სასჯელი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარულმა კომიტეტმა ეს ინციდენტი განიხილა და ბრაზილიელს ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მისცა. რაც იმას ნიშნავს, რომ მილანურ კლუბს ორი უმნიშვნელოვანესი მატჩის გამართვა მოუწევს ერთ-ერთი ძირითადი ფეხბურთელის გარეშე. მაიკონი გამოტოვებს ძსან სიროზე" გასამართ მატჩს ძფიორენტინასთან:" და გასვლით შეხვედრას "იუვენტუსთან".

## ჩორლუკა "იუვენტუსში" არ გადადის

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ბრიტანული გაზეთები "ტოტენჰემის" მცველ ვედრან ჩორლუკას აქტიურად ამგზავრებდნენ ტურინის "იუვენტუსში" ფეხბურთელის აგენტი მარიო მამიჩი აცხადებს, რომ მისი კლიენტი არსად წასვლას არ აპირებს.

"იუვენტუსი"? ჩორლუკას "ტოტენჰემთან" 5-წლიანი კონტრაქტი აკავშირებს და ფეხბურთელს აღებული ვალდებულების ბოლომდე შესრულება აქვს გადაწყვეტილი. ჩემი კლიენტის მიმართ სხვა გუნდების ინტერესის თაობაზე არაფერი ვიცი. როგორც იტალიური, ასევე, სხვა ევროპული ქვეყნების კლუბებისთვის ცნობილია თუ რა პოზიცია უკავია "ტოტენჰემს" ჩორლუკასა და მოდრიჩის მიმართ" - განაცხადა მამიჩმა.

## მორიგი დაკავება

საფეხბურთო მაფიის წინააღმდეგ ბრძოლა აქტიურ ფაზაში შედის. ამ რამდენიმე დღის წინ იტალიელმა სამართალდამცავებმა "პოტენცას" პრეზიდენტი დააკავეს, ახლა კი ცნობილი გახდა, რომ ხორვატულმა პოლიციამ დააკავა სლოვენიის მოქალაქე, რომელსაც გერმანიაში და სხვა წამყვან ევროპულ საფეხბურთო ქვეყნებში მატჩების "ჩაწყობაში" მონაწილეობა ედება ბრალად.

38 წლის დრაგან მიხალიჩი, რომელიც თაღლითობასა და ფულის "გათეთრებაშია" ეჭვმიტანილი, ხორვატიისა და სლოვენიის საზღვარზე დააკავეს. სლოვენიელის ექსტრადიციას ითხოვენ გერმანელები. როგორც ცნობილია, სწორედ ამ ქვეყნის პროკურატურამ დაიწყო ამ საქმის ძიება და გერმანელი სამართალდამცავების სიაში 200 ადამიანი ფიგურირებს, რომლებიც ევროპის 9 ქვეყანაში თამაშების "ჩაწყობაში" არიან ეჭვმიტანილი. მათგან, 15 გერმანიაშია დაკავებული, ხოლო 2 - შვეიცარიაში.

## ამერიკელებმა მხარდაჭერა დაიბევეს

კონკაკაფი მსოფლიოს 2018, ან 2022 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველ ქვეყანათა შორის მხარს ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუჭერს.

მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის სექტემბერში მექსიკამ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, კონკაკაფის რეგიონიდან მუნდიალის მასპინძლობის მსურველ ერთადერთ ქვეყნად აშშ დარჩა და კონფედერაციის პრეზიდენტმა ჯეკ უარნერმაც საკუთარი პოზიცია ნათლად დააფიქსირა - მან შტატებს სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

აშშ-მ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს 1994 წელს უმასპინძლა, ახლა კი მისი კონკურენტები ავსტრალია და ბელგია-ჰოლანდია არიან - ამ ორმა ევროპულმა ქვეყანამ მასპინძლობისათვის ფიფას ერთობლივი განაცხადი წარუდგინეს. 2018 წლის არა, მაგრამ 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი ყატარს და კორეასაც აქვთ.

## მილანი გაიყიდება?

ალბანელმა მაგნატმა რეზარტ ტაკიმ განაცხადა, რომ უნდა "მილანის" აქციების შეისყიდის, იმ შემთხვევაში, თუ გუნდის მფლობელი სილვიო ბერლუსკონი მათ გაყიდვას გადაწყვიტავს. ტაკი უკვე შეხვდა "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტ გალიანის, თუმცა უარყო ხმები, რომ თითქოსდა გარიგება უკვე შემდგარიაო.

"ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია, მე უბრალოდ ვთქვი, რომ თუ შანსი მექნება, "მილანის" აქციებს ვიყიდი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე საკონტროლო პაკეტის მართვაზე არ მიდგება და ბერლუსკონი მხოლოდ მათ ნაწილს გაასხვისებს".

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ხნის წინ ტაკის განზრახული ქონდა "ბოლონიის" აქციების ყიდვა, მაგრამ საბოლოოდ ამ საქმისგან არაფერი გამოვიდა და ეხლა მილანს დაადგა თვალი.

## სონგი "არსენალს" არ დატოვებს

კამერუნის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა, ალექსანდრ სონგმა ლონდონის "არსენალთან" კონტრაქტი გაახანგრძლივა.

ხელშეკრულების თანახმად, ინგლისურ კლუბში 2015 წლამდე დარჩება.

სონგი "არსენალში" 2005 წლიდან თამაშობს და ამ დროის განმავლობაში "მეთოფეთა" მაისურით ყველა ტურნირში ერთად 95 მატჩი ჩაატარა (3 გოლი). კამერუნის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში მას 12 შეხვედრა უთამაშია.

# დელ პოტრო ფედერერს ელის

ზურაბ თალაკვაძე

გახსოვთ წლევანდელი, მართლა ძალიან მაგარი საჩოგბურთო სეზონის ბოლო სასლემო? ინტრიგა, ცრემლი, ორი სხვადასხვა სტილის დაპირისპირება, გამოცდილება და ახალგაზრდული, ჯიგრული მოურიდებლობა... კიდევ ბევრი ეპითეტ-შედარების მოშველიება შემიძლია, მაგრამ ამაზე გავჩერდები და უბრალოდ, გაგახსენებთ, რომ ამერიკის ღია პირველობის ფინალში არგენტინელმა ხუან მარტინ დელ პოტრომ შვეიცარიელ როჯერ ფედერერს მოუგო და კარიერაში პირველად დაიდგა სლემგვირგვინი. ამჯერად, ტანდილელი გოლიათი ლონდონის სუპერტურნირის ნახევარფინალში რომ გავიდეს, როჯერი ერთხელაც უნდა დაასტატისტოს და ეს რაც შეიძლება, ნაკლები გეიმის წაგებით გააკეთოს.

მაგარია, არა? ასე, შეკვეთით, ყველა დროის უდიდესი ჩოგბურთელის დამარცხება რომ გჭირდება. და თანაც, რაც შეიძლება ნაკლები ზიანით შენთვის.

არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატზე შვეიცარიელი მისთვის ერთ-ერთ უხერხულ ოპონენტს, სქოთ ენდი მარეის ხვდებოდა, ხოლო დელ პოტროს კი შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედი რომ გაეცოცხლებინა, ულაპარაკოდ უნდა ეჯობნა ესპანელი ფერნანდო ვერდასკოსთვის.

არგენტინელისთვის უკეთესი იქნებოდა, მარეის ემარჯვა და მერე, ფედერერისთვის, ასეც და ისეც უნდა მოეგო, ოღონდ გეიმებს არანაირი მნიშვნელობა აღარ ექნებოდა. გავიდოდა ხუან მარტინი მეორე ადგილზეც და ნახევარფინალშიც.

მარეის ძლევის შემთხვევაში, ფედერერი ნებისმიერ შემთხვევაში გაინაღდებდა სეზონის ბოლოს უძლიერესის წოდებას, თუმცა ამ ჯახს სხვა დატვირთვაც ჰქონდა. გახსოვთ შარშანდელი სამუნდიალო მატჩი ამ ორს შორის? როჯერს ორი ტურის მერე თითო მოგება-წაგება ჰქონდა და ნახევარფინალში რომ გასულიყო, ენდი უნდა დაემარცხებინა, ამ უკანასკნელისთვის კი როჯერთან წაგების შემთხვევაშიც კი, საფლეიოფო გზაზე მაინც მწვანე შუქი აკაშკაშდებოდა.

მარეიმ პრინციპულობა გამოიჩინა, ბოლომდე ეომა როჯერს და ყველა დროის ერთ-ერთ გამორჩეულ შეხვედრაში შვეიცარიელი ბრძოლას გამოთიშა. მერე, ნახევარფინალში კოლია დავიდენკოსთან ისეთი დაღლილი იყო, რომ პირველ სეტშიღა გაიბრძოლა, ბოლოს კი ჩოგნის მოქნევის ძალაც აღარ შერჩენოდა.

ფედერერმა წლევანდელი ტურნირი ვერდასკოსთან პირველი სეტის წაგებით დაიწყო და მართალია, პირენეელს მერე მოუგო, მთლათ ძველებურად ვერ დომინირებდა. მარეისაც სამი სეტის გაძლება მოუხდა, თუმცა მეტოქე გაცილებით სერიოზული ჰყავდა - სქოთმა დელ პოტროს აჯობა.

ფედერერმა პირველი სეტი ამჯერადაც წააგო და ნაღდად რთული იყო იმისი წარმოდგენა, რომ როჯერი თითქმის უნაკლოდ მოთამაშე მარეის მაინც დაამარცხებდა.

არადა, როჯერმა ეგრევე გატეხა მარეი და ბრეიკით დაწინაურდა. უბრალოდ (ამას ნამატჩევს ფედერერიც იტყვის), ეს უფრო ენდის უაზრო შეცდომებს მოჰყვა, ვიდრე როჯერის უპირატესობას და სეტის ბოლომდე მარეიმ არათუ დაიბრუნა მოწოდება, 3:2-ზე ერთხელაც დააბრეიკა მეტოქე და უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. საბოლოოდ, 6:3 მარეის სასარგებლოდ.

"ერთფეროვნად ვთამაშობდი, ენდი კი დაფრინავდა. როგორც კი უფრო აგრესიული გავხდი, თამაშის ტემპი გავზარდე და ბექჰენდიდანაც ნაკლები შეცდომის დაშვება დავიწყე, დავმშვიდდი და თავდაჯერებულობაც დამიბრუნდა", - ესეც ფედერერის სიტყვებია.

მეორე სეტში უკვე შვეიცარიელი დომინირებდა. ფორჰენდით როჯერმა



როჯერ ფედერერმა ენდი მარეის მოუგო

10 გათამაშება მოიგო, მაშინ, როდესაც პირველ სეტში იდენტურად მხოლოდ ორი (!) გათამაშება დაასრულა თავის სასარგებლოდ. 4:2-ზე შვეიცარიელი იღებს მარეის მოწოდებას, თავისაზე ოდენ ერთ ქულას კარგავს და დამაჯერებლად მიჰყავს სეტი საბოლოო გამარჯვებამდე 6:3.

ბოლო სეტში კი ბრძოლა აღარ ყოფილა. მარეი ელემენტარულ სიტუაციებშიც კი ცდებოდა, როჯერმა კი თავს მოდუნების საშუალება არ მისცა და ერთ ამოსუნთქვაზე გაიარა მთელი დისტანცია. 24 წუთში როჯერმა 6:1 გადაუარა მასპინძელთა იმედს და როგორც მანამდე გითხარით, ახლა ზედიზედ მეორედ არ უნდა წააგოს დელ პოტროსთან და ნახევარფინალშია. ან წააგოს და ისე არა, რომ არ ეყოს.

"როჯერი ფენომენია, მაგრამ ნებისმიერი მეტოქის დამარცხებაა შესაძლებელი და საწყენია, რომ პირველ სეტში მოპოვებული უპირატესობა ვერ შევინარჩუნე. ვერდასკოსთანაც რთული მატჩი მელის, თუმცა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად მარტო მოგება მინდა და ყველანაირად ვეცდები, ფანებსა და საკუთარ თავს იმედი არ გავუცრუო", - ეს კი მარეის სიტყვებია.

ფედერერმა ამ მოგებით მეხუთედ გაინაღდა სეზონის ბოლოს წლის საუკეთესოს წოდება და ამ მაჩვენებლით კიდევ ორ ლეგენდას, ამერიკელებს, ჯიმი კონორსსა და პიტ სამპრასს გაუტოლდა. მას მერე, რაც 1973-ში ერთეულთა კლასიფიკაციის დღევანდელი სისტემა შემოვიდა, ამ სამის გარდა, პირველ ადგილზე სეზონი ამდენჯერ არავის ჩაუმთავრებია.

"რა თქმა უნდა, ძალიან დიდ პატივს ვცემ ჯიმისაც და პიტსაც, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ შედეგის გაუმჯობესება არ მსურს. სამუდამო რეკორდი არ არსებობს", - მიაჩნია ფედერერს, რომელმაც შეხვედრა 4 ორმაგი შეცდომით დაასრულა.

დელ პოტრომ კი კინაღამ მოგებული მატჩი დათმო. პირველი ორი სეტის გაცვლის შემდეგ, მესამეში არგენტინელმა ეგრევე აიღო ვერდასკოს მოწოდება და საბოლოოდ, 5:2 გავიდა წინ. მერე იყო ოთხი გამოუყენებელი მატჩ პოინტი, უამრავი უნებლიე შეცდომა და ფერნანდომაც ანგარიში გაათანაბრა, მჯობნის ვინაობა კი ტაი-ბრეიკმა გაარკვია.

აქ კი დელ პოტროს უფრო მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა და საჩოგბურთო ლატარეაც მისი დამაჯერებელი გამარჯვებით, 7:1 დასრულდა, მთლიანად მატჩი კი დელ პოტრომ 6:4, 3:6, 7:6 მოიგო. საინტერესოა, რომ ტურნირის დაწყებიდან, ერთადერთი შეხვედრა არ გაიწელა სამ სეტამდე და გამონაკლისი რაფაელ ნადალი გახდა, რომელიც ორ სეტში შვედ რობინ სოდერლინგთან დამარცხდა. ესპანელი გუშინ დავიდენკოს ხვდებოდა, სოდერილინგის მეტოქე კი ტურნირის მოქმედი ჩემპიონი და ფავორიტი, ნოვაკ ჯოკოვიჩი უნდა ყოფილიყო.

მიმოხილვას კი დელ პოტროს კომენტარით დავასრულებ: "ფედერერი საუკეთესოა და როდესაც იცი, რომ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად უძლიერესის დამარცხება გჭირდება, ეს მოტივაციას გიზრდის. ვერაფერს შეგპირდებით გარდა იმისა, რომ გავალ კორტზე და ვეცდები, ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი ვითამაშო".

# დიურანის ფენომენი

ზურაბ თალაკვაძე

ამ გუნდს ჯერ გამოცდილება აკლია, თუმცა რამდენიმე სეზონის მერე, თუ რა თქმა უნდა, "თანდერის" ბოსები დღევანდელი შემადგენლობის ბირთვს შეინარჩუნებენ, დასავლეთის კონფერენციას კიდევ ერთი გრანდი შეემატება. "სან ანტონიო" დაბერდა და მაქსიმუმ, კიდევ ორი სეზონი იომოს უმაღლესი მიზნებისთვის, "ლეიკერსის" მეგავარსკვლავი კობი ბრაიანტიც არაა უბერებელი, სხვები კი გრანდებში არც არასოდეს შედიოდნენ. ასე რომ, ლიგის მომავალი უკვე დღესვე შეიძლება დავუკავშიროთ "ოკლაჰომასა" და მის ახალგაზრდა ფენომენს, კევინ დიურანს. და არა იმიტომ, რომ ბოლო შეხვედრაში ამ გუნდმა ძალიან ძლიერ "იუტას" მისსავე ბუნაგში, სტუმართმოყვარეობაზე აცრილ "დელტა სენტრში" მოუგო. უბრალოდ, ძალიან მაგარია დიურანი და ლებრონ ჯეიმსს თუ არ ჩავთვლით, ეს კაცი დღესვე მირჩევნია კარმელო ენტონის და სხვა ახალგაზრდა ვარსკვლავებს. "დენვერის" კაპიტანიც კარგი ბიჭია, მაგრამ კევინი მასზე მრავალმხრივი და რთულად გასაჩერებელია.

"ოკლაჰომას" "ჯაზისთვის" გასვლაზე 2007 წლის მერე არ უჯობნია. მაშინ გუნდი ჯერ კიდევ სიეტლში იყო და "სუპერსონიქსის" სახელით ცდილობდა ელიტაში დაბრუნებას. ანუ იქ, სადაც "სონიქსი" ბოლოს გარი პეიტონის, შონ კემპის, დეტლეფ შრემფის, ნეიტ მაკმილანისა და სემ პერკინსის დროს იყო. მაშინდელი გუნდი ერთხელ სუპერფინალშიც გავიდა, სადაც ჯორდან-პიპენ-როდმანის "ჩიკაგოსთან" 2:4 დამარცხდა.

დღეს სულ სხვა სიტუაციაა. გუნდს ჰყავს ახალი მფლობელები, ახალი ბოძი დიურანის სახით, მაგარი ნიჭიერი ახალგარზდები ჯეფ გრინის, ტაბო სეფოლოშასა და რასელ უესტბრუკის შემადგენლობით, საკმაოდ ნორმალური ცენტრი (ნენად კრსტიჩი) და კარგი სამწვრთნელო შტაბი. მოკლედ, დიდი გუნდის ასაშენებლად საჭირო საფუძველი ჩაყრილია და მომავალი გვიჩვენებს, რამდენად სწორი იყო ამხელა ავანსების გაცემა.

როგორც წესი, "ჯაზი" საკუთარ კედლებში ყველასთვის რთულად დასამარცხებელი გუნდია. წელს კი კარლოს ბუზერსა და მის თანაგუნდელებს შინ საქმეები მთლად კარგად ვერ მისდით და ამ შეხვედრის ჩათვლით, "იუტას" საკუთარ მოედანზე ჩატარებულ შვიდ მატჩში უკვე სამი წაგება დაუგროვდა.

"წინ დიდი გზაა გასავლელი, მაგრამ თუ ფლეი ოფში გასვლა და იქ საკუთარი მოედნის უპირატესობის მოპოვება გვინდა, სოლტ ლეიკ სიტიში უფრო კარგად უნდა ვითამაშოთ. ჯერ საკმაოდ შორს ვართ იდეალური კონდიციებისგან", - მიაჩნია ბუზერს, რომელმაც უკანასკნელი შეხვედრა 26 ქულითა და საკმაოდ კარგი დაცვით დაასრულა.

"იუტას" წარმატება მეტწილად დერონ უილიამსზეა დამოკიდებული, აღნიშნულ მატჩში კი ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გამთამაშებელს შვეიცარიელი სეფოლოშა იჭერდა და დერონმაც ამ სეზონში უსუსტესი მატჩი გამართა.

38 წუთში უილიამსმა თამაშიდან 14-ში 5 სროლა გამოიყენა და მიუხედავად იმისა, რომ მატჩი 9 შედეგიანი გადაცემითა და 7 მოხსნით დაასრულა, ზუსტად ამდენივე შეცდომა დაუშვა და ბლომად იოლი სროლა გააფუჭა. საბოლოოდ, დერონმა შეხვედრა მოკრძალებული ათი ქულით ჩაამთავრა, სეფოლოშას კი ამაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვოდა.

კევინ დიურანი კი დაფრინავდა. "თანდერის" ლიდერს თავიდან რენდი ბრიუერი აეჩრდილა, მერე კი მასპინძელთა გამოცდილმა თავკაცმა ჯერი სლოუნმა კევინს მეურვედ ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო დამცველი ანდრეი კირილენკო დაუყენა, თუმცა შედეგი იგივე იყო - დიურანი თუ თავად ვერ აგდებდა, უკეთეს სასროლ პოზიციაში მყოფ თანაგუნდელს პოულობდა და სტუმარიც მეთოდურად ზრდიდა უპირატესობას.



კევინ დიურანი შეუჩერებელი იყო

გადამწყვეტი დარტყმა მასპინძელმა მესამე მეოთხედში მიიღო, როდესაც "ოკლაჰომამ" თამაშიდან თითქმის ყველაფერი ჩააგდო, "იუტას" ლიდერებს, მეტწილად კი უილიამსსა და თუქრ ცენტრ მეჰმეთ ოქურს არაფერი გამოსდიოდათ. უკანასკნელი მეოთხედის წინ სტუმრები 16 ქულით დაწინაურდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ბოლოსკენ "ჯაზი" მეტოქეს შვიდ ქულამდეც კი მიუახლოვდა, "თანდერმა" მაინც მოიგო ეს პრინციპული დაპირისპირება და მიმდინარე რეგულარულის მეთხუთმეტე შეხვედრაში მერვე გამარჯვება მოიპოვა. აღსანიშნავია ისიც, რომ "ჯაზის" გარდა, კევინ დიურანის საძმომ ამ სეზონში გასვლაზე ასევე აჯობა "სან ანტონიოს", სხვებთან კი თავი არ შეურცხვენია.

"ჯაზის" წაგება იმანაც განაპირობა, რომ სტუმრებმა ფავორიტს ძალიან ბევრი, 24 შეცდომა დააშვებინეს, რაშიც არა მარტო სეფოლოშა იყო "დამნაშავე".

უბრალოდ, იმ დღეს "თანდერი" ჯანზე იყო და შეიძლება, "იუტაზე" გაცილებით ძლიერი გუნდიც კი დაეჩოქებინა. სლოუნის ბიჭები კი ამ წაგებით საერთო ცხრილში "ოკლაჰომას" ერთი მოგებითა და ადგილით ჩამორჩნენ.

ზემოთ კრსტიჩი ვახსენეთ და ბარემ გეტყვით, რომ ვეტერანმა ცენტრმა შეხვედრა 8 ქულით, 6 მოხსნითა და 4 შედეგიანი გადაცემით დაასრულა. მთავარმა გმირმა, ანუ დიურანმა კი 28 ქულით, 8 (!) შედეგიანი გადაცემითა და 5 მოხსნით დაიქუხა. მთლად ლებრონი და კობი ვერაა, მაგრამ როგორც გითხარით, კარმელოზე მაგარი ნამდვილად არის.

**NBA. რეგულარული**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი-ნიუ იორკი | 100:90 |
| იუტა-ოკლაჰომა | 94:104 |
| დენვერი-ნიუ ჯერსი | 101:87 |
| დალასი-გოლდენ სტეიტი | 103:111 |
| ტორონტო-ინდიანა | 123:112 |
| ვაშინგტონი-ფილადელფია | 108:107 |

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT

## შპს "ჰაიდელბერგცემენტ კავკასია" აცხადებს ტენდერს საკუთარ მფლობელობაში არსებული ობიექტების დაცვის მომსახურებაზე.

დაინტერესებულ კომპანიებს სატენდერო მასალების წაღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კავკასია"
მელიქიშვილის ქ. N 16, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 47 47 47
+995 77 57 75 12
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.com
თამარ დარახველიძე
წინადადებების მიღების ბოლო ვადაა: 2009 წლის 10 დეკემბერი.

---

25 ნოემბერი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟოO პრეტენზია ი/მ ჯუმბერ ტეტემაძის, ლეილა აბესლამიძის, დავით მახაჭაძისა და მინდია დევაძის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **53 076.65 აშშ დოლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 10 დეკემბერს 13:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხეებს ი/მ ჯუმბერ ტეტემაძე, მცხ: ქ.ბათუმი, იმნაძის ქ.N5, ლეილა აბესლამიძე, მცხ: ქ.ბათუმი, ი.ნონეშვილის ქ.N1, ბინა N6, დავით მახაჭაძე, მცხ: ქედა, სოფელი ვაიო და მინდია დევაძე, მცხ: ქედა, სოფელი აგარა.

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 16 ნოემბერს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს "საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯისთვის" უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა".

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

"განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N993 ბრძანებით ა(ა)იპ "წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიისთვის" ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის გაცემის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2009 წლის 04 ნოემბერს. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა".

---

## ქალაქ თბილისის მერი

**010.260.020.38.101.013.811 ბრძანება N55**
**24.11.2009წ.**
**17 ნოემბერი 2009წ.**

"ქ. თბილისის მერიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ"
ქალაქ თბილისის მერის 2008 წლის 27 მარტის N24
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. "ქ. თბილისის მერიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2008 წლის 27 მარტის N24 ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
" 2. სამუშაო დღე იწყება 9:00 სთ-ზე და მთავრდება 18:00 სთ-ზე.".
2. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

ქ.თბილისის მერი გიორგი უგულავა

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 11 ნოემბრიდან დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს "მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ კომპლექსი გონისთვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მიუთითოს ვინაობა".

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

"განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N1002 ბრძანებით ა(ა)იპ "ინდიგოსთვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2009 წლის 09 ნოემბერს. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა".

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

"განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 18 ნოემბრის N1011 ბრძანებით შპს "ზუგდიდის სამედიცინო პროფესიული სასწავლო ცენტრისთვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2009 წლის 12 ნოემბერს. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა".

---

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

ა/წლის 31 ოქტომბერს გაზეთ "24 საათში" საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია "სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ". აუქციონში გამოცხადებული ობიექტი N23 საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 20 ნოემბრის N1-1/2706 ბრძანების საფუძველზე ჩაშლილად გამოცხადდა და შესაბამისად შეწყდა საბუთების მიღება აღნიშნულ ობიექტზე.

---

## ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

